PRIME Time

N16 (266) ორშაბათი, 28 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

თავდაცვის სამინისტრო აბვისტოს ომის შესახებ კვლევის ნაწილს ასაიდუმლოებს

EXCLUSIVE

ვისი გვარები მოხვდა ალასანიას უწყების საიდუმლო დოკუმენტში

დეპუტატ კახა ოქრიაშვილს ადამიანის გატაცების ორგანიზებაში ადანაშაულებენ

SCANDAL

ბერუაშვილების ოჯახი დამნაშავეთა დასჯას 22 წელია ითხოვს

ვლადიმერ ბერუაშვილი: „კახას ძმა მეგობრობდა ჩემს ბიჭთან, ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში... „ნაკოლი“ სწორედ ოქრიაშვილებმა მისცეს კარიაულს“

EXCLUSIVE

ვინ არის ქალი, ვისაც კრისტიან მაკნალტმა მთელი ქონება დაუტოვა და რატომ არ ხმაურდება უკანასკნელი წერილი

SCANDAL

პაატა დათუაშვილი: „წერილში გარკვეული მიზეზებია დასახელებული, რასაც მხოლოდ მისი რამდენიმე მეგობარი გავიგებთ“

რა გახდა „სენატის“ დიჯეის თვითმკვლელობის მიზეზი

SCANDAL

ლევან ვასაძე არჩევნების შემდეგ პარტიას შექმნის და მხარს გიორგი მარგველაშვილს დაუჭერს

EXCLUSIVE

ვინ რა პირობით დარჩება კოალიციაში

თინა ხიდაშელი: „საკითხი ისე კი არ დგას, რომ რესპუბლიკელები ან თავისუფალი დემოკრატები წავლენ, არამედ, ვინც გადაწყვეტს, რომ კოალიციის სადამფუძნებლო დეკლარაციიდან პრინციპულად ამოვარდა, სწორედ ის წავა“

EXCLUSIVE

გიორგი გაბუნია: „X ფაქტორმა“ პირადი მტერი გამიჩინა“

„გამარჯობას აღარ მეუბნებიან, მეკითხებიან, - გიორგი, შარვალი ხომ არ გიჭერსო?“

განათლების სამინისტროს სკანდალური ინიციატივა

სკოლებში ჰიპნოზი ინერგება

ლევან ზარდალიშვილი: „ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ არსებობს თერაპია, რომლის ჩაწერაც არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელია – ეს გახლავთ ჰიპნოთერაპია!“

EXCLUSIVE

„თუ ისინი სერიოზულად განიხილავენ, რომ ჰიპნოზით უმკურნალონ ბავშვებს სკოლებში, ეს კატასტროფაა“

სამეფო ტახტს კიდევ ერთი პრეტენდენტი ჰყავს?

EXCLUSIVE

უფლისწულ გიორგის ბაგრატოვანთა ტახტზე კონკურენტი გამოუჩნდა?!

„არის ინფორმაცია, რომ მეფე ხუან-კარლოსმა დაიბარა პრინცი ხუანი და ჰკითხა, საქართველოს მეფობა ხომ არ გინდაო. სწორედ იმ პერიოდში საქართველოშიც მიდიოდა პოლიტიკური საუბრები ამ ახალგაზრდას შესახებ. თუმცა, მაშინ მის წინააღმდეგ წავიდა მიხეილ სააკაშვილი”

Prime Time უკანონო ტენდერების სქემას შიფრავს

ჟურნალისტური მოკვლევა, რომელიც შეესაძლოა, საგამოძიებო ორგანოს დაინტერესების

EXCLUSIVE საგანი გახდეს

„ჩვენ არ ვარკვევთ კომპანიების ურთიერთდამოკიდებულებას, ყველას სადამფუძნებლო დოკუმენტებს ხომ არ ამოვიღებდით. ეს არის ცალსახად საგამოძიებო ორგანოების საქმე და ალბათ, დაიდება კიდეც კომპეტენტური დასკვნა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა გახდა „სენატის“ დიჯეის

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

გახმაურებული საქმის უცნობი დეტალები

ვინ არის ქალი, ვისაც კრისტიან მაკლანტმა მთელი ქონება დაუტოვა და რა წერია წერილში, რომელიც თვითმკვლელობამდე დაწერა

ამ ტრაგედიაში პასუხები არ არსებობს. ცრემლზე მეტი კითხვაა და თვითმკვლელის ყველაზე უახლოესი მეგობრებიც კი მას ბურუსით მოცულს უწოდებენ... ამბობენ, რომ ძალიან ბევრი დეტალია გასარკვევი და დასადგენი...

ირლანდიის მოქალაქე კრისტიან მაკნალტი საქართველოში საცხოვრებლად ქალიშვილთან ერთად რამდენიმე წლის წინათ ჩამოვიდა. ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც ფილმებში ხდება ხოლმე, როდესაც ახალ ცხოვრებას ახალი ადგილიდან იწყებენ, ახალი მეგობრები, ახალი სამსახური, ახალი სიყვარული...

საქართველოში კრისტიანი თურქეთიდან გადმოვიდა. 41 წლის დიჯეი, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწეობდა და საბოლოოდ თბილისში დარჩენა გადაწყვიტა.

15 წლის ტამარა მაშინ კიდევ უფრო პატარა იყო და მამასთან ერთად მარტო ცხოვრობდა. მანამ სანამ კრისტიანმა საქართველოში საკუთარი სიყვარული იპოვა... ტამარას დედის შემდეგ კრისტიანს ქართველი გოგო, ეკა შეუყვარდა. სწორედ ამ ქორწინებიდან ჰყავს მას 4 წლის მარკი, თუმცა ოჯახური იდილია დაახლოებით ერთი წლის წინათ დასრულდა. ყოფილი მეუღლე დაშორების მიზეზებზე, ბუნებრივია, ხმამაღლა არ საუბრობს, მაგრამ ამბობს, რომ განქორწინების შემდეგაც ის და კრისტიანი საუკეთესო მეგობრებად რჩებოდნენ და ურთიერთობას კრისტიანის სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდნენ.

როგორც ამბობენ, დიჯეი მხიარული, ენერგიული და მეგობრული ადამიანი იყო, თუმცა ჰქონდა სერიოზული ჩავარდნები... თითოეული მეგობრის საუბარი ერთმანეთს ჰგავს. ყვებიან, რომ კრისტიანს ყველა საკითხზე შეეძლო ხუმრობა, მეგობრების გამხნევება, გვერდში დგომა, თუმცა, როგორც კი თავად ეწყებოდა „ცუდი პერიოდი“, ყველას მხარდაჭერას გაურბოდა, სახლში იკეტებოდა, ზარებს არ პასუხობდა და სამსახურშიც არ დადიოდა. ამ დროს მის ძებნას აზრი არ ჰქონდა... ასეთი პერიოდი მაქსიმუმ 4-5 დღე გრძელდებოდა და საკმაოდ ხშირად მეორდებოდა.

სწორედ ასეთი პერიოდი ჰქონდა დიჯეის ბოლო ერთი თვის განმავლობაში. როგორც მეგობრები ამბობენ, ამ დროს მიიღო მყარი გადაწყვეტილებაც სუიციდის შესახებ.

კრისტიან მაკნალტის ყოფილი მეუღლე: „მე ჩემს ყოფილ ქმარს ვგლოვობ დღესდღეისობით, არც ქონებაზე მინდა საუბარი და არც სხვა არაფერზე“



ელენე წიკლაურთან ერთად

მზადება დაახლოებით ერთი კვირით ადრე დაიწყო. მოაწესრიგა საკუთარი საბუთები, ისე რომ არავინ გაუფრთხილებია და საკუთარი, საკმაოდ სოლიდური ქონება ბოლო სიყვარულს, ელენე წიკლაურს დაუტოვა.

კრისტიანი სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ნოტარიუსთან მარტო მივიდა, სწორედ ამის შემდეგ ის მიდის სახლში, მანქანას აყენებს ზუსტად ისე, როგორც მუდმივად აკეთებდა. ამ დეტალით მისი მეგობრები ხაზს უსვავენ იმას, რომ კრისტიანი ბოლო წუთებშიც აბსოლუტურად გაწონასწორებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, შედის სახლში, საკუთარ კომპიუტერში წერს გამოსამშვიდობებელ წერილს და სიცოცხლეს სიკვდილით ასრულებს...

პირველად გარდაცვლილი კრისტიანი საკუთარმა შვილმა, ტამარამ ნახა და მამის მეგობარს დაურეკა. სწორედ ეს ორი პიროვნებაა ჯერჯერობით დაკითხული. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, თუმცა მეგობრები დამოუკიდებლად ცდილობენ კრისტიანის საქციელის გამოცნობას. ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა, რომელმაც ჩვენთან სახელისა და გვარის გამხელა არ ისურვა, გვითხრა, რომ უახლოეს დღეებში თავად გასცემენ პასუხებს ყველა კითხვას, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ მათ აქვთ.

კრისტიან მაკნალტის მეგობარი:

– ჩვენ თავად დავუკავშირდებით „პრაიმტაიმს“, ოღონდ ჯერ თავად უნდა გავარკვიოთ რაღაცები, ბევრი რამ ჩვენთვისაც გაუგებარია. რებუსებით ხომ არ დაგელაპარაკებით? ამიტომ ჯერ თავად გავარკვევთ და მერე, ხვალ, ზეგ გიპასუხებთ.

ტამარამ საუბარი არ ისურვა, გოგონამ ერთადერთი, რაც გვითხრა, არის ის, რომ მამის დატოვებული წერილი პირადულია, რომელიც მას და ელენეს ეხებათ...

ტამარა, კრისტიან მაკნალტის ქალიშვილი:

– ვერაფერს გეტყვით, წერილი პირადულია ჩემთვისაც და მისი შეყვარებულისთვისაც.

ტამარას დედა პორტუგალიის მოქალაქეა და ის თბილისში კრისტიანის დაღუპვის შემდეგ ჩამოფრინდა. გოგონას დედას, კრისტიანის გადაწყვეტილებით, დედობის უფლება აქვს ჩამორთმეული. შესაბამისად, ტამარას საკუთარი დედა მრავალი წელია, არ უნახავს. მის ჩამოსვლამდე ტამარას ქრისტიანის მეგობრები უვლიან. როგორც ამბობენ, მამა-შვილი ხშირად კამათობდნენ და ურთიერთობაში პრობლემებიც ჰქონდათ. თუმცა მეგობრები ამ დეტალში ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ ხედავდნენ, თინეიჯერ ქალიშვილთან პრობლემები გარდაუვალია, – აცხადებენ ისინი...

ტამარას, როგორც ამბობენ, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, სად გააგრძელებს ცხოვრებას, ბიოლოგიურ დედას გაჰყვება პორტუგალიაში, თუ საქართველოში დარჩება ელენეს მეურვეობის ქვეშ, როგორც ეს კრისტიანმა საკუთარი ანდერძით განსაზღვრა.

ყველაზე ქაოსური ამ ისტორიაში სწორედ ეს დეტალია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დიჯეიმ საკუთარი ქონება სწორედ ელენესა და ტამარას დაუტოვა, თუმცა ტამარას სრულწლოვანებამდე მთლიან ქონებას სწორედ ელენე განკარგავს და 15 წლის ტამარაზე მეურვეობაც სწორედ ელენეს ეკისრება. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კრისტიანის ერთ-ერთმა მეგობარმა განაცხადა, რომ ელენე არ აპირებს, უარი განაცხადოს ქონებაზე და ასევე, მზად არის, ხელი მოანეროს ტამარას მეურვეობაზე. ეს ყველაფერი უცნაურია იმდენად, რამდენადაც კრისტიანმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მეგობრებთან გულახდილად საუბრის დროს განაცხადა, რომ შეყვარებულთან მორიგი ჩხუბის შემდეგ, ელენეს შერიგებაზე ვეღარ ითანხმებდა და სწორედ ამიტომ აღარ უნდოდა მას სიცოცხლე...

ვახო ფოფხაძე, კრისტიანის მეგობარი:

– ჰქონდა პერიოდები, როცა თავის თავში იკეტებოდა, არავის არ ეკონტაქტებოდა, სახლში იყო და გარეთ არ გამოდიოდა ხოლმე. ასეთ პერიოდებში მეგობრების ზარებსაც არ პასუხობდა.

– მიზეზს გიხსნიდათ ხოლმე?

– მიზეზს ხშირად გვეუბნებოდა, ძირითადი პრობლემა იყო ის, რომ შეყვარებულთან ჩხუბობდა. კონკრეტულად რატომ ჩხუბობდა, არ ამბობდა.

– შეყვარებული, ანუ ელენე წიკლაური?

– დიახ.

– ბოლოს ელენესთან ნაჩხუბარი იყო?

– კი, ბოლოს ნაჩხუბრები იყვნენ. ხშირად ჩხუბობდნენ, ერთხელ მოვიტაცეთ მე და კრისტიანმა ელენე, მერე არ დაულაგდათ ურთიერთობა. ბოლოს მაგაზე ნერვიულობდა. სულ ამბობდა, არ დამილაგდა ურთიერთობა, ყველაფერი დამიგროვდა და ძალიან დავიღალეო...

– როგორც ამბობენ, ადრეც ჰქონდა კრისტიანს თვითმკვლელობის მცდელობა...

– კი, ადრეც ჰქონდა სუიციდის მცდელობა. შეშინების მიზნით აკეთებდა ხოლმე ასეთ რაღაცებს, ზაფხულში ქობულეთშიც იჩხუბეს და ზღვაში იხრჩობდა თავს, ძლივს გადაარჩინეს. ერთხელ დანა დაიდო ყელზე... პირველი ნამდვილად არ ყოფილა ეს შემთხვევა.

– მეგობრებმა წაიკითხეთ წერილი?

– კი, მეგობრებმა ვნახეთ წერილი.

– ქონებაზეც ბევრი კითხვა გაჩნდა...

– როგორც ვიცით, დილით ნოტარიუსთან იყო და ყველაფერი მოაწესრიგა, ისე როგორც თავად უნდოდა.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა წერილის დეტალებიც. როგორც ამბობენ, მასში ძირითადად ელენესა და ტამარაზეა საუბარი. კრისტიანი წერილში ელენეს სიყვარულს უხსნის და პატიებას სთხოვს, რომ საკუთარი სიყვარული და გრძნობები ვერ გადმოსცა ისე, როგორც ეს რეალობაში იყო... წერს, რომ ყველაფერს მხოლოდ ელენესთვის აკეთებდა და რადგან მისგან საბოლოოდაც უარი მიიღო, სიცოცხლის გაგრძელების აზრს ვერ ხედავდა... წერილის ბოლოს ელენეს, ტამარასა და მეგობრებს გამოემშვიდობა – „ახლა კრისტიანის გარეშე იცხოვრებთ“...

ელენე და კრისტიანი ერთმანეთს

პაატა დათუაშვილი: „როგორც ვიცი, ისე დაწერილ წერილსა და ვიღაცის მიერ ბეჭედდარტყმულ ქაღალდს იურიდიულად ძალა არ აქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თვითმკვლელობის მიზეზი

ელენე წიკლაური: „არაფერი არ არის გადაწყვეტილი და არაფერი არ არის მანდ ნათქვამი, რომ მე დამიტოვა თუ ვის დაუტოვა. ყველაფერი გაირკვევა, როგორც წესია“

დაახლოებით ერთი წლის მანძილზე ხვდებოდნენ. მათ ერთმანეთი კლუბ „სენატში“ გაიცნეს და, როგორც მეგობრები ამბობენ, ყველგან ერთად დადიოდნენ. თუმცა ძალიან ხშირად ჩხუბობდნენ და ხშირად მიზეზი ეჭვიანობა იყო. მეგობრები ვერც კი იხსენებენ ჩხუბის მიზეზებს. ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ელენემ ერთხელ ყოფილ მეუღლეზე იეჭვიანა და ამის გამო საკმაოდ დიდხანს არ ელაპარაკებოდა კრისტიანს... „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ელენემ კონკრეტული პასუხი, თანახმაა თუ არა, მიიღოს დატოვებული ქონება, არ დააფიქსირა. ორი სახლი, ორი მანქანა, ერთი კომერციული ფართი საბურთალოზე და გარკვეული თანხა – ეს არის ქონება, რომელიც, სავარაუდოდ, დავის საგანი გახდება. ელენე აცხადებს, რომ საკითხი სამართლებრივად გადაწყდება...

ელენე წიკლაური, კრისტიან მაკნალტის შეყვარებული:

– არ ვიცი, არაფერი არ არის გადაწყვეტილი და არაფერი არ არის მანდ ნათქვამი, რომ მე დამიტოვა თუ ვის დაუტოვა. ყველაფერი გაირკვევა, როგორც წესია, და ამას გაარკვევენ გამომძიებლები.

– თქვენი დაკითხვა ხომ არ მომხდარა?

– არა.

– შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენი ხანია იცნობთ კრისტიანს?

– დიდი ხანია... რა მნიშვნელობა აქვს... კარგად იყავით.

კრისტიანს საკუთარ ანდერძში არ ჰყავს მოხსენიებული თავისი პატარა შვილი, მარკი. ბიჭუნა დედასთან ერთად ცხოვრობს. ეკას განცხადებით, კრისტიანის დაღუპვის შემდეგ მას არაფერზე არ შეუძლია ფიქრი, გარდა ყოფილი მეუღლისა.

ეკა, კრისტიანის ყოფილი მეუღლე:

– ბავშვი დამრჩა მარტო გასაზრდელი და არაფრის თქმა არ მინდა. არის ხალხი, ვისაც ექნება საშუალება, ინფორმაცია მოგაწოდონ მომხდართან დაკავშირებით.

– როგორც ცნობილია, ქონება მხოლოდ ელენესა და ქალიშვილს დაუტოვა...

– განსაკუთრებით ამ თემაზე არ მინდა საუბარი. მიმაჩნია, რომ, როცა ადამიანი ახალი გარდაცვლილია, ამ თემაზე საუბარი მიუღებელია. იმ ადამიანმა თავისი სურვილი დატოვა და გაირკვევა თავისთავად. მე ჩემს ყოფილ ქმარს ვგლოვობ დღესდღეისობით, არც ქონებაზე მინდა საუბარი და არც სხვა არაფერზე.

– როდის დაშორდით?

– როცა დავშორდით ოფიციალური განქორწინება რამდენიმე თვის შემდეგ გაკეთდა. ერთ წელზე მეტია, ერთად აღარ ვართ. კი, პრობლემები გვქონდა, მაგრამ ჩემი შვილის მამაა და ვმეგობრობდით ბოლომდე. დაშორების შემდეგაც გვქონდა კონტაქტი და ახლოს ვიყავით საკმაოდ. ბავშვსაც ხშირად ნახულობდა.

– თქვენი დაშორების მიზეზი ელენე იყო?

– არა, ელენეს მაშინ არც იცნობდა.

ბუნებრივია, ახლა ქონებაზე საუბარი ყველას უჭირს, მათ შორის ყოფილ მეუღლესაც, მეგობრებსაც, შვილსაც, თუმცა ფაქტია, რომ მინიშნებები უკვე გაკეთდა. მკვლელობის ვერსიაც კი გავრცელდა, თუმცა, მეგობრების განცხადებით, კომპიუტერს უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა და დადასტურდა, რომ მასზე კრისტიანის ნათითურებია. გარდა ამისა, მეგობრები ამბობენ, რომ კრისტიანის ცხოვრებაში სუიციდისკენ მიდრეკილება ადრეც შეიმჩნეოდა. ბოლო შემთხვევამდე დიჯეის ორჯერ უცდია თავის მოკვლა, ერთხელ ზღვაში დახრჩობით და ერთხელ დანით, თუმცა ორივე შემთხვევაში მისი გადარჩენა მეგობრებმა შეძლეს. შესაბამისად, მეგობრები მკვლელობას გამორიცხავენ და ამბობენ, რომ კრისტიანს მტრები არ ჰყავდა...

კრისტიანის მეგობრის, პაატა დათუაშვილის განცხადებით, მან იცის გარკვეული დეტალები, რომლის თქმასაც არ აპირებს, თუმცა ისინი მკვლელობას გამორიცხავენ.

პაატა დათუაშვილი, კრისტიანის მეგობარი:

– საქართველოში ჩამოვიდა გარკვეულწილად თავისი საქმეების გამო, ალბათ, ეს უკვე ბიზნესს უკავშირდებოდა.

– და არა დიჯეის საქმიანობას?

– დიჯეის საქმიანობით დაკავებული იყო თავის ქვეყანაშიც, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც, ერთ-ერთი თურქეთია და აქაც იგივე საქმიანობა დაიწყო. თან ახლოს იყო ქვეყანასთან, სადაც რაღაც-რაღაც საქმეებს აკეთებდა პარალელურად. იყო „ივენთების“ ორგანიზატორი, ასევე, იყო ჯგუფის ხელმძღვანელიც. საერთოდ, ჰქონდა პერიოდები, როცა ხდებოდა დეპრესიული და თავის თავში იკეტებოდა. ასეთ დროს სულ სჭირდებოდა მეგობრების, საყვარელი ადამიანების თანადგომა. განსაკუთრებით სჭირდებოდა ისეთი სითბო, ალბათ, რომელსაც ძმაკაცები ვერ ვაძლევდით.

– დეპრესიების მიზეზები იცოდით?

– ასეთ საკითხებზე ჩვენთან არ იხსნებოდა. როგორც ვიცი, ადრეც ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. თუმცა, საერთოდ, ძალიან მხიარული ადამიანი იყო, ყველაფერზე ხუმრობდა. ის, რაც მოხდა, ჩვენთვის ძალიან წარმოუდგენელი იყო.

– ბოლოსაც დეპრესიული პერიოდი ჰქონდა?

– კი, ჰქონდა, ბოლო ერთი თვე სრულიად პარალიზებული იყო, თავის თავში ჩაიკეტა. ამ დროს ჩვენც ისე აქტიურად არ გვეკონტაქტებოდა. ბოლოს ჩემთან წინა ორშაბათს იყო მოსული გადაცემაში, ამოვიდა, მნახა და მალევე წავიდა. აღარ ჰქონდა კომუნიკაცია ადამიანებთან, კლუბებთან. ძირითად დროს სახლში ატარებდა.



– ელენეზე გიყვებოდათ მეგობრებს?

– ეს მისი პირადი გეგმები იყო, ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი ერთად იყვნენ, კლუბებში ან სადმე გასართობად თუ მივდიოდით, ისინიც მოდიოდნენ. დაახლოებით ერთი წელი იყვნენ ერთად.

– სხვა პრობლემები ჰქონდა?

– ამ ადამიანს არ ჰქონია პრობლემები არც ფინანსური და არც კარიერაში. ამიტომ ვერ ვიტყვი, რატომ შეიძლებოდა ასეთი რამ გაეკეთებინა.

– წერილი წაიკითხეთ?

– წერილი მეგობრებმა წავიკითხეთ. თავს შევიკავებ დეტალებზე საუბრისგან.

– წერილის წაკითხვის შემდეგ, მეგობრებმა მაინც გაეცით პასუხები კითხვებს?

– მეგობრები, ალბათ, რაღაცას მაინც ვიპოვით ამ წერილში, რომ საკუთარ თავს გავცეთ პასუხები.

„ახლა კრისტიანის გარეშე იცხოვრეთ“...

– მიზეზს ასახელებს წერილში კონკრეტულად?

– წერილში გარკვეული მიზეზები არის დასახელებული, რასაც მხოლოდ მისი რამდენიმე მეგობარი გავიგებთ.

– მიზეზი სიყვარულია?

– წერილის შინაარსის თქმისგან თავს შევიკავებ.

– ქონება მთლიანად ელენეს დაუტოვა, რაც ძალიან ბევრ კითხვას აჩენს...

– კი, ნამდვილად იყო ელენე მოხსენიებული წერილში, ამ დეტალს გეტყვით. წერილში კრისტიანს ენერა, რომ ქონება მინდა განკარგოს ელენემო. ნოტარიუსის წერილშიც იგივეს წერდა. მე არ ვიცი, რამდენად აქვს ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტს იურიდიული ძალა, რადგან თქვენ კარგად იცით, რომ, როდესაც მსგავსი წერილი დგება, ადამიანი ფიზიზელ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, იქვე უნდა იჯდეს ექიმი, რომელსაც შემოწმებული ეყოლება ეს ადამიანი და ხელი ექნება მოწერილი, რომ იმ მომენტში ეს ადამიანი არ იყო ან წამლის, ან სასმელის ზემოქმედების ქვეშ. ეს ჩვეულებრივი წესია. როგორც ვიცი, ისე დაწერილ წერილს და ვიღაცის მიერ ბეჭედდარტყმულ ქაღალდს იურიდიულად ძალა არ აქვს.

– არსებობს ეჭვი, რომ შეიძლება იმ მომენტში რაიმეს ზემოქმედების ქვეშ იყო?

– არანაირი ეჭვი არ არის, ეს ადამიანი ალკოჰოლს მხოლოდ მაშინ იღებდა, როდესაც მეგობრებთან ერთად იყო. არ იყო ისეთი, მით უმეტეს, ასაკიც არ ჰქონდა ისეთი, რომ არაფიზიზელ მდგომარეობაში საჭესთან დამჯდარიყო. უმიზეზოდ საერთოდ არ სვამდა.

– ნარკოტიკები?...

– ეს გამორიცხულია, კრისტიანი ნარკოტიკებისგან ძალიან შორს იყო...

– ბოლო დღეებში თუ გქონდათ ურთიერთობა?

– ვიცი, რომ წინა დღეებში რაღაც საბუთები მოუწესრიგებია, გადაფორმებებიც გაუკეთებია. წინა კვირის განმავლობაში ცდილობდა, საბუთები მოეწესრიგებინა. ადგილზე მისულებს ჩვენ დაგვხვდა პასპორტი და რაღაც საბუთები, წერილთან ერთად, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს კარგად ჰქონდა დაგეგმილი...

– ტამარა საქართველოში რჩება საცხოვრებლად?

– ტამარას მომავალზე რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ, როგორც ვიცი, ელენე აპირებს, ხელი მოაწეროს კრისტიანის შვილის მეურვეობაზე. მეტი არაფერი ვიცი. თუმცა დადასტურებით ამასაც ვერ გეტყვით.



ყოფილ მეუღლესთან, ეკასთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეპუტატ კახა ოქრიაშვილს ადამიანის

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დმანისის მაჟორიტარსა და ბიზნესმენს, კახა ოქრიაშვილს შესაძლოა, დეპუტატის უფლებამოსილება შეუჩერონ. შესაბამისი უწყებებისგან სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმას ითხოვს ბერუაშვილების ოჯახი. დაზარალებული საკუთარი სამართლის პოვნას ზუსტად ოცდაორი წელია ცდილობს. მცდელობაში ქვეყანამ სამი ხელისუფლება გამოიცვალა, თუმცა საქმე წინ არც ერთი ნაბიჯით არ დაძრულა. ამასობაში კი დანაშაულის ხანდაზმულობის 25-წლიანი ვადაც იწურება. ბერუაშვილს იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება მაქსიმალურად გამოიყენებს დარჩენილ რამდენიმე წელს და დამნაშავეებს მრავალწლიანი პაუზის შემდეგ მაინც გამოავლენს და ადეკვატურად დასჯის.

ბერუაშვილების ოჯახი დამნაშავეთა დასჯას უკვე 22 წელია ითხოვს

მაჟორიტარ დეპუტატს მისივე რაიონის მკვიდრი, ვლადიმერ ბერუაშვილი საკუთარი შვილის გატაცების ორგანიზებაში სდებს ბრალს. ისტორია ძველია, თუმცა გაუხმაურებელი. ოქრიაშვილის მისამართით კითხვები ხმამაღლა არასოდეს დასმულა, მიუხედავად იმისა, რომ გატაცებულის ოჯახი წლების განმავლობაში გაუჩერებლად ჩიოდა, პრეზიდენტის, პარლამენტისა და სამინისტროების სახელზე უამრავ საჩივარს აგზავნიდა და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ცდილობდა.

დიმიტრი ბერუაშვილი დმანისელი სტუდენტი იყო, რომელიც საკუთარ დასთან ერთად თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მათთან საკმაოდ ხშირად მიდიოდა ვაჟა ოქრიაშვილი, დიმიტრის მეგობარი. ვაჟა ოქრიაშვილი დეპუტატ კახა ოქრიაშვილის ძმაა. ურთიერთობა მეგობრებს შორის 1992 წელს დაიძაბა, მაშინ როდესაც დიმიტრი უცხო პირებმა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და ოჯახს სამი დღის მერე, საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ დაუბრუნეს.

დანაშაული მაშინ მოხდა, როდესაც დიმიტრი დილით ლექციებზე მიდიოდა. საკუთარი გატაცების დეტალებს დაზარალებული მოგვიანებით ჩვენებაში დეტალურად იხსენებს.

დიმიტრი ბერუაშვილი, დაზარალებული: „1992 წლის 29 მარტს დილის 9 საათისთვის როცა გამოვედი ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 23 ნომრიდან დაახლოებით 100 მეტრში იდგა „ვაზ-06“ მარკის თეთრი ფერის ჟიგული. მასში იჯდა მძღოლი, მანქანასთან ახლოს იდგა ახალგაზრდა მამაკაცი. როდესაც მას მივუახლოვდი და გვერდი უნდა ჩამეარა, დამიძახა თავისთან და მითხრა: თქვენს ქუჩაზე ბაითია გატანილი და შენ გაბრალებენო. მე მარტო ვიყავი და ვუთხარი, თავი დამანებე-თქო და გზა განვაგრძე. ამ დროს ძალით ჩამსვეს მანქანაში, გვერდით მეჯდა უცნობი პირი. ამავე დროს ავტომანქანის წინა სავარძელში ჩაჯდა მესამე უცნობი კაცი. წავედით აეროპორტის გზაზე. ჩემს გვერდით მჯდომმა კაცმა თავი დამახრევინა და თავზე გადამაფარა ბუშლატა და იარაღი მომადო წელზე. მანქანამ გადაუხვია მარჯვნივ, ვიარეთ დაახლოებით 10 წუთი, დამტვრეული გზა იყო. მანქანა გაჩერდა, გადმომიყვანეს, გავიარეთ დაახლოებით 20-25 ნაბიჯი და შემიყვანეს შენობაში, შენობა იყო აშენებული ბლოკებით, ჰქონდა ერთი რკინის კარი... ერთმა კაცმა მითხრა, რომ წერილი უნდა დამეწერა მშობლებისთვის, მე ვუთხარი, რომ არ დავწერდი და მიპასუხა: არ დაწერ და მერე ნახე, რაც მოგივაო... ეს რომ მელაპარაკებოდა, ამ დროს მეორე იჯდა პატარა სკამზე და ხელში ატრიალებდა შპრიცს. მეორე კაცმა შემოიტანა ოთახში იაშიკი, ზემოდან დაადო ფანერკა, მომცა პასტა და ფურცელი და დამიწყო კარნახი. მე ვწერდი, ის მკარნახობდა. წერილი რამდენჯერმე დამახევინეს და თავიდან დამაწერინეს... წერილის წერას რომ მოვრჩით, თავიდან ბოლომდე გამჩხრიკეს, დამაწვინეს, ხელ-ფეხი გამიკრეს, ხელებით ლოგინის თავზე მიმაბეს, ფეხებით – ბოლოზე. გასვლისას მითხრეს, თუ სიგარეტი ან რამე დაგჭირდება, დაიყვირე და მოგხედავენო... საღამოს მომიტანეს საჭმელი და არაყი ლიმონათის ბოთლით. გამითავისუფლეს ხელები და დავჯექით საჭმელად. დაასხეს პირველი ჭიქა და ტოგომ უთხრა გოდერძის, სანთელი აენთო რადგან ოთახში არაფერი არ ჩანდა. სანამ ტოგო დალევდა პირველ ჭიქას, გოდერძიმ მითხრა, წერილი ავიტანეთ მამაშენთან და ხვალ 7სთ-ზე ჩამოვა და ჩამოიტანს 3 მილიონ ფულს და გაგიშვებთო. შემდეგ ტოგომ დალია ერთი ჭიქა, სადღეგრძელო თქვა, თქვა, მოდი ყველა კაი კაცს გაუმარჯოსო. დავლიეთ, შემდეგ გოდერძიმ დალია და ყველა გაჭირვებულს გაუმარჯოსო, იმათ ვინც ციხეში ზის, ვინც საავადმყოფოშიაო“...

„წავედით აეროპორტის გზაზე. ჩემს გვერდით მჯდომმა კაცმა თავი დამახრევინა და თავზე გადამაფარა ბუშლატა და იარაღი მომადო წელზე“

ბუნებრივია, გამტაცებლებს შორის დღევანდელი დეპუტატი არ ყოფილა, არც მისი ძმა. გამტაცებლები ბერუაშვილებისთვის სრულიად უცხო პირები იყვნენ. თუმცა ერთ-ერთი მათგანი, ტოგო კარიაული მოგვიანებით დიმიტრი ბერუაშვილმა ჯერ ქუჩაში შემთხვევითი შეხვედრის დროს იცნო, კიდევ უფრო მოგვიანებით კი ის მეგობრის, ოქრიაშვილის ოჯახში ნახა. სწორედ მაშინ დაუკავშირეს ბერუაშვილებმა ოქრიაშვილები გამტაცებლებს და დღესაც აცხადებენ, რომ ეგრეთწოდებული „ნაკოლი“ დანაშავეებს შეძლებულ ოჯახზე სწორედ მათივე მეგობარმა, კახა და ვაჟა ოქრიაშვილებმა მისცეს.

ვლადიმერ ბერუაშვილი, დაზარალებულის მამა:

– რატომ აიღეთ ეჭვი ოქრიაშვილებზე?

– ჩემი შვილები ცხოვრობდნენ ტაბიძის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში, ვაჟა ოქრიაშვილი, კახას ძმა მეგობრობდა ჩემს ბიჭთან, ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში, გიტარაზე უკრავდნენ, „ნაკოლი“ სწორედ ოქრიაშვილებმა მისცეს კარიაულს. ის კარიაული მე საერთოდ არ მიცნობდა, არც ის იცოდა, რა თანამდებობა მეკავა, ოქრიაშვილებმა უთხრეს, რომ აღმასკომის თავმჯდომარე იყო, ბევრი ფული აქვს, კარგი სამეგობრო ჰყავს და მოდი, დავაყაჩაღოთო. ფული პირადად მე გადავეცი კარიაულს დღის ოთხ საათზე და სწორედ მაშინ ვნახე პირველად ტოგო კარიაული.

– საჩივარი არ დაგიწერიათ თავიდანვე, ან გატაცების მომენტში არ მიგიმართავთ დასახმარებლად სამართალდამცავებისთვის?

– არა, რადგან მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ, გოგოსაც მოგიკლავთ და ბიჭსაცო. ამიტომ თავი შევიკავე, მეშინოდა, უბედურება არ მომხდარიყო.

– რა თანხა გადაეცით?

– 300 ათასი რუბლი და 200 ათასი რუბლის ღირებულების ოქრო. ახლაც ჩამოწერილი მაქვს, რამდენი ბეჭედი და „ცეპი“ მივუტანე. მაშინ კარიაულს ვუთხარი, მთა მთას არ შეხვდება, მაგრამ კაცი კაცს აუცილებლად გადაეყრება სადმე-მეთქი. უკვე შემდეგ, როდესაც საქმის ძიების დროს ამოცნობაზე დაგვიბარეს მე და ჩემი ბიჭი, მაშინ გავახსენე ჩემი სიტყვები. ჩუმად ჩაილაპარაკა, მახსოვსო...

– დააკავეს მაშინ კარიაული?

– არა, დაიბარეს, მაგრამ გამომძიებელმა მეორე დღესვე გაუშვა და როცა ვიკითხე, რატომ გაუშვით-მეთქი, აქეთ შემომიბრუნეს კითხვა, რაც გადაიხადე, ის არ დაგიბრუნ-



საქართველოს მთავრობის
კანცელარია

CHANCELLERY OF THE
GOVERNMENT OF GEORGIA

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ასლი: ბ-ნ ვლადიმერ ბერუაშვილს

მის: დაბა დმანისი, 9 აპრილის ქ. №34/18

გეგზავნებათ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე საქართველოს მთავრობის კანცელარიაში მ.წ. 12 მარტს შემოსული მოქალაქე ვლადიმერ ბერუაშვილის №8594 განცხადება.

გთხოვთ განიხილოთ და პასუხი აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
საქმისწარმოების სამსახურის
უფროსი

ლევან ერიკაშვილი

N10815
26.03.2013

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გატაცების ორგანიზებაში ადანაშაულებენ

EXCLUSIVE

„თავი შევიკავე, მეშინოდა, უბედურება არ მომხდარიყო“

ქეთევან ბახტაძე

ესო? ვუთხარი, რომ ჩემთან არავინ მოსულა და მაშინ დამარიგეს, ხომ იცი, სადაც ცხოვრობს, წადი და გამოართვი, რაც გეკუთვნისო. გეგმა ჰქონდათ, რომ მე კარიაულთან მივეყვანე და შემდეგ გამოძალვის დანაშაულით დამიჭერდნენ. ამოცნობიდან რომ გამოვედით გარეთ, იქვე ახლოს იდგა ოქრიაშვილი და კარიაულს ელოდებოდა, ძმაკაცებთან ერთად. ჩვენ რომ დაგვინახა, ხმამაღლა დაილაპარაკა, სად არის ამდენხანს ტოგო, რესტორანში საჭმელები ცივდებაო.

– საქმეს ვინ იძიებდა?

– თავდაპირველად გიორგი ჩივიაშვილი, შემდეგ ის გადაიყვანეს კახეთში პროკურორად და ჩემი საქმე ჩააბარეს ბალახაშვილს. ერთი თვის შემდეგ ამ ბალახაშვილმა თვითონ მთხოვა, მოდი, მიჩივლე, თქვი, რომ ჩემით არ ხარ კმაყოფილი და მოითხოვე, სხვას მისცენ ეს საქმეო. მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა, კახა ოქრიაშვილი მაწვებაო.

– თქვენ არ შეხვედრიხართ პირადად ოქრიაშვილს?

– ოქრიაშვილი ერთხელ მოჰყვა დანაშაულის ერთ-ერთ მონაწილეს, გოდერძი ციხელაშვილს ჩვენთან სახლში, როცა მოსალაპარაკებლად მოვიდნენ. ციხელაშვილი ოქრიაშვილის ნათესავია დედის მხრიდან. მეორედაც მოვიდა ჩემთან სამსახურში, მაშინ უკვე დეპუტატი იყო. მითხრა, ტოგოს ტყუილად აბრალებ, არაფერში არ არის დამნაშავეო და რომ შევეპასუხე, „ნაკოლი“ შენ მიეცი და ორივე დამნაშავეები ხართ-მეთქი, გაბრაზებული გავარდა ოთახიდან. ეს იყო დაახლოებით 12 წლის წინათ. მას შემდეგ აღარც მინახავს.

– იყო დაკითხული ამ თემაზე ოქრიაშვილი?

– როგორც ვიცი, დაკითხვაზე იყო. ბოლოს დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ ისევ გამომიძახეს მეც და ჩემი შვილიც. ყველა საბუთი თავიდან წარვადგინეთ. ჩემი შვილი საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, აუცილებლად ჩამოვა და ხელახლა მისცემს ჩვენებას.

გატაცების მომენტში დამნაშავეები დაზარალებულს საკუთარ სახეებს არ უმალავდნენ. შესაბამისად, ოჯახს სრული ინფორმაცია ჰქონდა ორი მათგანის შესახებ და წლების განმავლობაში საკუთარი ძალებით ცდილობდნენ სიმართლის გარკვევას. სწორედ ამიტომაც პერიოდულად ოჯახის წევრებს სატელეფონო მუქარებით აფრთხილებდნენ, მამას მინიშნებას ქალიშვილზე უკეთებდნენ. ვლადიმერ ბერუაშვილის განცხადებით, სწორედ ამიტომ ვერ ბედავდნენ ისინი საჩივრის შეტანას დანაშაულის ჩადენიდან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

დაზარალებული, დიმიტრი ბერუაშვილი დღეს რუსეთში ცხოვრობს. ქვეყნის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება ოჯახმა სწორედ გატაცების შემდეგ მიიღო და იმედი აქვთ, რომ დამნაშავეების დასჯის შემდეგ დიმიტრი ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნდება.

წლების განმავლობაში დიმიტრიც და მისი მშობლებიც საჩივრებს სხვადასხვა უწყებებში აგზავნიდნენ, ეცვლებოდათ გამომძიებლები, პროკურორები, თუმცა საქმე გახსნამდე არც ერთ ჯერზე არ მისულა. მთავარი დამნაშავე ტოგო კარიაული მხოლოდ სამი დღით ჰყავდათ დაკავებული 1997 წელს, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ოჯახში ორმა წევრმა ამოიცნო დამნაშავე – მამამ, რომელმაც შვილის გამოსასყიდი პირადად გადასცა, და შვილმა, რომელიც სამი დღის განმავლობაში სწორედ ტოგოს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ვლადიმერ ბერუაშვილს დღესაც დეტალურად ახსოვს ფულის გადაცემის მომენტი. მისი განცხადებით, ფულთან ერთად კარიაულს მან ოქროულობაც გადასცა, რომელიც ნათესავების დახმარებით შეაგროვა.

ვლადიმერ ბერუაშვილი, დაზარალებულის მამა: „გატაცებიდან მეორე დღეს მისივე დაწერილი წერილით მომთხოვეს 3 მილიონი რუსული რუბლი. მივეცი 200 ათასი რუბლი და 300 ათასი რუბლის ღირებულების ოქრო. პირველ აპრილს დიმიტრი დამიბრუნეს სახლში. ფულის გადაცემა მოხდა შემდეგნაირად: ბორტმოქმედების სატელეფონო მითითების თანახმად, 30 მარტს დღის 17 საათზე სასტუმრო „ივერიასთან“ მივედი. გავაღე ჩემი მსუბუქი ავტომანქანის ოთხივე კარი, ავხადე საბარგული, ავტომანქანაში ვიყავი მარტო, წინა საქარე მინასთან არსებული სარკე ისე დავაყენე, რომ დამენახა უკანა ფონი, მალე უკანა სავარძელში ჩამიჯდა ორი ახალგაზრდა. ერთ მათგანს ეხურა ნაქსოვი ქუდი და წვერი ჰქონდა მოშვებული. მან გააჩხაკუნა იარაღი, მომაბჯინა მარჯვენა გვერდზე და მიბრძანა, საბურთალოს ბაზრის მიმართულებით წავსულიყავი. არმისული ამ ბაზართან, გადამახვევინეს, გამაჩერეს შენობებს შორის, თაღის ქვეშ, აიღეს გადასაცემი თანხა, ფასეულობით, და წავიდნენ ფეხით. მაიძულეს, 5 წუთის განმავლობაში მანქანა ადგილიდან არ დამეძრა“.

მიუხედავად ბევრი დეტალისა, კარიაულმა სამართალდამცავებთან მხოლოდ რამდენიმე დღე გაატარა და გამომძიებელმა ის ძალიან სასაცილო მიზეზით გაათავისუფლა – პირადი საუბრისას შეატყო, რომ კარგი კაცი იყო...

ქეთევან ბახტაძე, ბერუაშვილების ადვოკატი:

– დანაშაულიდან დაახლოებით 20 წელია გასული, დაზარალებული გამუდმებით ჩივის, საქმე არ არის არც შეჩერებული, არც დახურული, ახლაც ძიებაშია. ამდენი წელია, ადგენენ დამნაშავეებს. ამ დანაშაულს, ამ მუხლს 25-წლიანი ხანდაზმულობა აქვს, შესაბამისად კიდევ არის დრო. სწორედ ამ დროის გაყვანას ცდილობს დამნაშავეების მხარე და ამდენი წელი გაწელეს კიდეც, მაგრამ ახლა აღარ გამოუვათ. დაზარალებული ხელს პირადად ადებს კახა და ვაჟა ოქრიაშვილებს და მათ მეგობარს, ტოგო კარიაულს.

– დაზარალებული ამჟამად რუსეთში ცხოვრობს?

– კი, მამამ გაუშვა ამ ფაქტიდან მალევე, რადგან ის ძალიან განიცდიდა მომხდარს და ამბობდა, რომ გამტაცებლებს არ შეარჩენდა. დანაშაულისა და დაპირისპირების არიდების მიზნით ოჯახმა გადაწყვიტა, რუსეთში გაეშვა. დამნაშავე ტოგო კარიაული დღესაც ოქრიაშვილთან მუშაობს კომპანიაში, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირია. თავის დროზე 1997 წლის 1-ელ ივნისს დააკავეს კარიაული, 3 ივნისამდე არ აღიძრა საქმე, ალბათ, შეგნებულად. ამასობაში გავიდა კანონით დადგენილი ვადა და რომ არ ჩათვლოდათ უკანონო პატიმრობად, კარიაული გამოუშვეს. გამომძიებელს საქმეში ძალიან სასაცილო მიზეზი ჰქონდა ჩაწერილი: დავრწმუნდი, კარიაულის კარგ კაცობაშიო.

მართალია, დანაშაულიდან თითქმის 22 წელია გასული, მაგრამ ოჯახი სამართლიანობის აღდგენას მათთან მიმართებაში დღემდე ითხოვს. თავად დეპუტატი, კახა ოქრიაშვილი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.

კახა ოქრიაშვილი, დეპუტატი:

– არ ვაკეთებ სისულელეებზე კომენტარს. მასე მეც შემიძლია გითხრათ, რომ თქვენც ხართ დამნაშავე... ზუსტად ასევეა ეს საქმეც, არ გავაკეთებ სისულელეებზე და პარანოიააყოლილ ხალხზე კომენტარებს.



„მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ, გოგოსაც მოგიკლავთ და ბიჭსაც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამეფო ტახტს კიდევ ერ

სალომე გოგოხია

საქართველოს პატრიარქთან გამართულ სააღდგომო მიღებაზე ბაგრატოვანთა შტოს წარმომადგენლის, პრინც ხუანის გამოჩენას საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია უკვე მოჰყვა. დავით და ანა ბაგრატიონების განქორწინების შემდეგ, მონარქიის აღდგენაზე საუბარი თითქოს მინელდა. თუმცა, სამეფო ოჯახის ახალი სახის გამოჩენა უკვე გახდა იმის თქმის საფუძველი, რომ შესაძლოა, სამეფო ტახტს ახალი პრეტენდენტი გამოუჩნდეს.

უფლისწულ გიორგის ბაგრატოვანთა ტახტზე კონკურენტი გამოუჩნდა?!

შეგახსენებთ, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრედ უკვე მოიაზრება პატარა უფლისწული გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონი. სამეფო კლუბის წევრის, გიორგი ბურჯანაძის თქმით, რამდენიმე წლის წინ პრინცი ხუანი ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატურად განიხილებოდა საქართველოს მომავალ სამეფო ტახტზე.

ბურჯანაძის თქმით, დინასტიური მემკვიდრე პატარა უფლისწულის სახით უკვე არსებობს. თუმცა, საბოლოო ჯამში ვინ გახდება მეფე, ამას ქართველი ერი გადაწყვეტს. თუმცა, მონარქიის აღდგენაზე საუბარს ბურჯანაძე ჯერ ნაადრევად მიიჩნევს.

ბაგრატ ბაგრატიონის ვაჟი, პრინცი ხუანი ერეკლე მეორეს შთამომავალია და ესპანეთში ცხოვრობს. დაიბადა 1977 წელს. ის ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელია.

გასულ კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან ერთად საპატრიარქოში სადღესასწაულო მიღებას დაესწრო. აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილ მიღებაზე საქართველოს მთავრობის წევრები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო პრინცი ხუანი, მომავალ მეუღლესთან, საფრანგეთში მოღვაწე ცნობილ ქართველ მოდელ ქრისტინე ძიძიგურთან ერთად.

ცხადია, პატრიარქის გვერდით ბაგრატოვანთა კიდევ ერთი წარმომადგენლის გამოჩენამ საზოგადოებაში, ხელი შეუწყო ამ აზრის მომწიფებას, რადგან უწმინდესს დავითმა და ანამ იმედი გა-

„მემკვიდრის საკითხი დიდი ხნის გარკვეულია... უფლისწული საქართველოში იზრდება, მალე ოთხწლიწად-ნახევრის გახდება. უკვე ლაპარაკი დაიწყო და ქართულ ენას სწავლობ“

პრინცი ხუანის ქართული სახელია იოანე. ის ხშირად ჩამოდის საქართველოში, ზოგჯერ მონასტერშიც ცხოვრობს. მის შესახებ ცნობილია ისიც, რომ ქართული ადათ-წესების მოყვარულია და ქართულად საუბარსაც ახერხებს.

განაცხადებს თუ არა პრინცი სამეფო ტახტზე პრეტენზიას, უცნობია.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, მონარქიის შესაძლო აღდგენაზე საუბარს ბაგრატოვანთა ორი შტოს - დავითისა და ანას ქორწინება მოჰყვა, გაჩნდა ტახტის მემკვიდრეც, უფლისწული გიორგი. თუმცა, სამეფო ნყვილმა ოჯახი ვერ შეინარჩუნა და განქორწინდა.

ამ საკითხით დაინტერესებული პირები აცხადებდნენ, რომ ეს იყო „პოლიტიკური“ ქორწინება და მთავარი მისია შესრულებულია - გაჩნდა ტახტის მემკვიდრე. ასევე, ისიც ითქვა, რომ ყოფილ სიძე-სიმამრს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც დავა სამეფო ტახტზე დაიწყო.

უცრუეს, შესაძლოა, ეკლესიამ არჩევანი სწორედ პრინც ხუანზე გააკეთოს.

ამის შესახებ ინფორმაციის მიღება საპატრიარქოდან ვცადეთ. თუმცა, ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა გაერკვია სამეფო ოჯახს და პრინც ხუანს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ თუ არა, იმ შემთხვევაში თუ პრინცი ხუანი პრეტენზიას გამოთქვამს სამეფო ტახტზე, ხომ არ გახდება ეს უთანხმოების საკითხი.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში ანა ბაგრატიონის მამამ, ნუგზარ ბაგრატიონმა განაცხადა, რომ პრინც ხუანს არ იცნობს.

რაც შეეხება ტახტის მემკვიდრეს, მისი თქმით, ეს საკითხი დიდი ხანია, რაც გარკვეულია და მემკვიდრე პატარა უფლისწულია.

„ყველაფერს წყვეტს ლეგიტიმიზმის საკითხი. მემკვიდრის საკითხი დიდი ხნის გარკვეულია. ამის შესახებ საუბ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თი პრეტენდენტი ჰყავს?

„არსებობს ინფორმაცია, რომ მეფე ხუან-კარლოსმა დაიბარა პრინცი ხუანი და ჰკითხა, საქართველოს მეფობა ხომ არ გინდაო. სწორედ იმ პერიოდში საქართველოშიც მიდიოდა პოლიტიკური საუბრები ამ ახალგაზრდას შესახებ. თუმცა, მაშინ მის წინააღმდეგ წავიდა მიხეილ სააკაშვილი“

EXCLUSIVE

რამდენიმე წლის წინ პრინცი ხუანი ტახტის ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილებოდა

არი შეიძლება მიკერძოებაში ჩამეთვალოს, ამიტომ, სჯობს ისტორიკოსებს, გენეოლოგებს შეეკითხოთ. უფლისწული საქართველოში იზრდება, მალე ოთხწლეულად–ნახევრის გახდება. უკვე ლაპარაკი დაიწყო და ქართულ ენას სწავლობ“. - გვითხრა ნუგზარ ბაგრატიონმა.

იმერელი ბაგრატიონების ოჯახის წარმომადგენელი ირაკლი ბაგრატიონი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ პრინც ხუანს არ იცნობს. მისი ინფორმაციით იგი მუხრანელ-ბაგრატიონების შტოს წარმომადგენელია.

„ის თუ პატრიარქთან გამოჩნდა წვეულებაზე, ეს ბუნებრივია. პატრიარქი დიდსულოვანია და ყველა ჩამოსულს, ბაგრატიონი იქნება თუ არა ბაგრატიონი, მათზე ლოცვა-კურთხევას გასცემს. რაც შეეხება მონარქიის აღდგენას და დავითს ეწყინებოდა თუ არა, ამ შეკითხვით დავითს და ნუგზარს უნდა მიმართოთ, რადგან ძირითადად ისინი იბრძვიან რაღაც არარსებულ ტახტზე. ვერაფერს გეტყვით“. - გვიპასუხა ირაკლი ბაგრატიონმა.

პრინცი ხუანის წარმომავლობის შესახებ, მონარქიის შესაძლო აღდგენის თაობაზე და ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის უფლება ვის აქვს, ამის შესახებ „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს სამეფო კლუბის წევრმა გიორგი ბურჯანაძემ უპასუხა:

„პრინცი ხუანი ჩვენ აღმოვაჩინეთ, როცა საქართველოში დაძაბულობა, გაურკვევლობა იყო, მაშინ ტახტის მემკვიდრე საერთოდ არ იყო. ასე თუ ისე, დინასტიურად დღეს ტახტის მემკვიდრე არსებობს. საბოლოო ჯამში, როგორც იტყვიან, ყველაფერი ზეცაში წყდება. ტახტის საკითხს წყვეტს ქართველი ერი. პრინცი ხუანი ძალიან კარგი პიროვნებაა. ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, თუკი ასეთი ვალდებულება იქნება, ერიც და ბერიც გადაწყვეტს, ხალხის ნება იქნება, შეასრულებს თავის მოვალეობას. ჯერ ასეთი მომენტი არ არის. კარგი პიროვნებაა, ცდილობს საქართველოს დაეხმაროს, თუ არ ვცდები 2008 წელს შექმნა დახმარების ფონდი, ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნიდა საქართველოს.

- რა იცით მისი წარმომავლობის შესახებ?

- დედის მხრიდან ბავარიის სამეფო შტოს წარმომადგენელია. მამის მხრიდან ესპანეთის მეფის ხუან-კარლოსის ბიძაშვილები არიან. ასევე, ნათესაურად უკავშირდება უინძორების სამეფო სახლს ინგლისში. როდესაც წინადადება წამოვიდა, პოლიტიკური მიზნებისთვის ევროპასთან დაახლოებაზე, ხომ არ აჯობებდა მისი კანდიდატურა წამოგვეყენებინა საქართველოს სამეფო ტახტზე. ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა მიდიოდა. არის ინფორმაცია, რომ მეფე ხუან-კარლოსმა დაიბარა პრინცი ხუანი და ჰკითხა, საქართველოს მეფობა ხომ არ გინდაო. სწორედ იმ პერიოდში საქართველოშიც მიდიოდა პოლიტიკური საუბრები ამ ახალგაზრდას შესახებ. თუმცა, მაშინ მის წინააღმდეგ წავიდა მიხეილ სააკაშვილი.

- მისი გამოჩენა პატრიარქის გვერდით ხომ არ არის ერთგვარი მინიშნება, რომ შესაძლოა სამეფო ტახტს სხვა პრეტენდენტი გამოუჩნდეს?

- ის განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი შესაძლო კანდიდატურა საქართველოს მომავალ სამეფო ტახტზე. პრინციპში, ეს კანდიდატურა დღესაც არ არის მოხსნილი, თუკი საზოგადოებრივი აზრი ამას მოინდომებს. მას სრული უფლება აქვს, რომ საკუთარი თავი, როგორც მემკვიდრედ წარმოადგინოს. დასავლეთ საქართველოშიც არის ბაგრატიონების ოჯახი. სანამ ბავშვი გაჩნდებოდა დინასტიური ქორწინების შედეგად, ვსაუბრობდით რომელი შტოს წარმომადგენელი იქნებოდა საქართველოსთვის უკეთესი და რომელი უკეთ შეძლებდა ამ მისიის განხორციელებას, რასაც სამეფო სახლის აღდგენა ერქვა. მით უმეტეს, რომ მაშინ თანასწორი უფლებები ჰქონდათ ბაგრატიონ-გრუზინსკების შთამომავლებსაც და ბაგრატიონ-მუხრანელებსაც. დღეს არსებობს პატარა უფლისწული, რომელიც დინასტიურად აშკარად სხვებზე წინ დგას. რაც შეეხება პრინც ხუანის პატრიარქთან გამოჩენას, ჩვენს პატრიარქს დიდი ავტორიტეტი აქვს. ბაგრატიონების შთამომავლების წარმომადგენლების მოწვევით იგი მათ საზოგადოებას აცნობს. ეს პატრიარქის მოვალეობაც არის, რომ ერსა და ბერს გააცნოს ბაგრატიონები.

- პრინც ხუანის გამოჩენას უკვე მოჰყვა საზოგადოების მხრიდან კომენტარებიც, რა დროს მონარქიის აღდგენაა, არ არსებულ ტახტს კიდევ ერთი მემკვიდრე გამოუჩნდაო და ა.შ.

- სურვილის დონეზე მონარქიის აღდგენის საკითხი არ წყდება. ეს წყდება ღვთის ნებით და საზოგადოებრივი კონსენსუსით. ისე თუ მოხდა, რომ 51%-ს მონარქიის აღდგენა უნდა, ხოლო 50%-ს არა, მაშინ ეს ვერ მოხდება, რადგან ეს სამოქალაქო დაპირისპირებას გამოიწვევს. თუ ისე მოხდა, რომ 65-70% თანახმაა, მაშინ მონარქია აღდგება. დღეს არსებული მდგომარეობით ვერც პრინცი ხუანი და ვერც სხვა დაინტერესებული პირები ერთმანეთს კონკურენციას ვერ გაუწევენ. საერთოდაც, ისინი ერთმანეთთან კონკურენტულ გარემოში არ უნდა განვიხილოთ. განსაკუთრებით ჟურნალისტებმა არ უნდა განიხილონ ეს ოჯახები კონკურენტებად. მესმის, სხვადასხვა პერიპეტიები იყო, მაგრამ ყველაფერი განზე უნდა გავწიოთ და მომავალზე ვიფიქროთ. საზოგადოებამ კიდევ ერთი სახე გაიცნო ამ შესანიშნავი ოჯახის სახით. უკეთესი იქნება დადებითზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას. რეფერენდუმის გარეშე მონარქიის აღდგენა ვერ მოხდება, ეს უნდა ჩატარდეს მაშინ როცა ამის დრო იქნება. ჯერ საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ არის.

„არის ინფორმაცია, რომ მეფე ხუან-კარლოსმა დაიბარა პრინცი ხუანი და ჰკითხა, საქართველოს მეფობა ხომ არ გინდაო. სწორედ იმ პერიოდში საქართველოშიც მიდიოდა პოლიტიკური საუბრები ამ ახალგაზრდას შესახებ. თუმცა, მაშინ მის წინააღმდეგ წავიდა მიხეილ სააკაშვილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თავდაცვის სამინისტრო აგვისტოს ომის შესახებ კვლევის დიდ ნაწილს ასაიდუმლოებს

„თუ თავდაცვის სამინისტროს სურს, რომ საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს, ასეთ საკითხებს კომისია არ სწავლობს“

„ისეთი საკითხები, რომელიც საზოგადოებას აინტერესებდა, თუნდაც კოდორის ხეობაში დატოვებული ტყვია-წამალი, მიტოვებული მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში, დაშლილი ქვედანაყოფები, მეთაურების მხრიდან სამხედროების მიტოვება, ასეთი საკითხები განხილული არ იქნება,რაც ამ კომისიის მუშაობას ფასს უკარგავს“

გენშტაბის მიერ ჩატარებული კვლევა 2008 წლის ომის შესახებ მზად არის!

ვისი გვარები მოხვდა ალასანიას უწყების საიდუმლო დოკუმენტში - აგვისტოს ომის შესახებ

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

აგვისტოს ომის შესახებ მორიგ კვლევას თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას კვირის ბოლოს წარუდგენენ. როგორც „პრაიმტაიმს“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა, აღნიშნული კვლევა საიდუმლო დოკუმენტს წარმოადგენს და საზოგადოებისთვის მხოლოდ მცირე ნაწილი გახდება ცნობილი. კვლევის პროცესში აქცენტი სამხედრო მოქმედებებზე გაკეთდა.

როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, ეს იქნება ომის შესახებ კვლევა და არა გამოძიება. მინისტრის თქმით, სამინისტროს ამოცანაა, შეისწავლოს ყველა შეცდომა, რომ თავდაცვის დოქტრინა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. აღნიშნულ კვლევაზე გენშტაბი მუშაობს.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ არის გამოძიება, ეს არის მოკვლევა. შემდეგ უკვე გავაცნობთ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასაც. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მთავარი ამოცანა არის შევისწავლოთ ყველა შეცდომა, წარმატება და ეს გახდეს ჩვენი თავდაცვის დოქტრინის კიდევ ერთხელ გაუმჯობესების საფუძველი“, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

აგვისტოს ომის კონკრეტულად რა საკითხები იქნება შესწავლილი, გამოიკვეთება თუ არა დანაშაულის ნიშნები და გამოკითხულთა ჩვენებებით გაცოცხლებული საბრძოლო სურათი რეალობას რამდენად წარმოაჩენს, ამ შეკითხვებით „პრაიმტაიმმა“ პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს მიმართა.

„პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ეს არის დახურული დოკუმენტი. ამ კვლევის მიზანი იყო და რჩება ის, რომ ჩვენ გავაკეთოთ ომის ანალიზი, სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე. გავარკვიოთ წარმატებებისა და წარუმატებლობის წინაპირობები, რათა შემდგომში ეს გამოცდილება გავიზიაროთ და ჩვენს სწავლებებში, მომზადებაში, დოქტრინებში ავსახოთ. გავითვალისწინოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობების დადებითი და უარყოფითი მხარეები. აგვისტოს ომიდან არცთუ ისე დიდი დრო გავიდა. ვფიქრობ, თავდაცვის სამინისტროს მიზანი - დადგინდეს უშუალოდ სამხედრო დავალებების შესრულების დროს რა შეცდომები იქნა დაშვებული, სად იყო წარმატება; გამოკვლეული იქნეს მიზეზი და შემდეგში გაკეთდეს ანალიზი, როგორ შეიძლება ამა თუ იმ მიმართულებით, ჩვენი სამხედრო ძალების შესაძლებლობების დახვეწა-გაუმჯობესება. ამისთვის სამინისტროს საკმარისი რესურსი გააჩნია, რომ ხარისხიანი კვლევა ჩაატაროს. უფრო დეტალურად ამ კვლევაზე ვერ გესაუბრებით, რადგან ამ დოკუმენტის უდიდესი ნაწილი საიდუმლო იქნება. თუმცა, გეტყვით, რომ აბსოლუტურად ყველა სამხედრო ოპერაციები გაანალიზებული იქნება. კვლევის მხოლოდ მცირე ნაწილი გახდება საჯარო. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მისი განსაჯაროება სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება“, - ამბობს სესიაშვილი.

მისივე თქმით, კვლევის მიზანი ვინმეს დანაშაულის გამოვლენა არ არის. თუმცა, მოკვლევის დროს დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მიიჩნევს, რომ საქმე შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ მხოლოდ კვლევა კვლევისთვის არაფრის მომცემი იქნება. თუკი საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხები კვლავაც პასუხგაუცემელი დარჩება, ხოლო თავდაცვის უწყების მიზანი მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლაა, ასეთ საკითხებს კომისიური წესით არ სწავლობენ.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ მას მოლოდინი ჰქონდა, რომ სამინისტრო სამხედრო დანაშაულის გამოვლენის კუთხით იმუშავებდა.

„ჩვენ ველოდით, რომ კომისია ამ მიმართულებით იმუშავებდა. სამხედრო ოპერაციების დროს მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე, ამის შედეგად დამდგარი შედეგები - დადებითი ან უარყოფითი. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გამოიკვეთებოდნენ დამნაშავეები. თუ გამოიკვეთება დანაშაული, შემდგომ ეს მასალები შესაბამის საგამოძიებო სამსახურებს ეგზავნებათ შემდგომი რეაგირებისთვის. თუმცა, ამ მიმართულებით კომისია არ მიდის. ამიტომ, ისეთი საკითხები, რომელიც საზოგადოებას აინტერესებდა, თუნდაც კოდორის ხეობაში დატოვებული ტყვია-წამალი, მიტოვებული მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში, დაშლილი ქვედანაყოფები, მეთაურების მხრიდან სამხედროების მიტოვება, ასეთი საკითხები განხილული არ იქნება. რაც ამ კომისიის მუშაობას ფასს უკარგავს. თუ თავდაცვის სამინისტროს სურს, რომ საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს, ასეთ საკითხებს კომისია არ სწავლობს. ამას ყოველდღიურობის რეჟიმში სწავლობენ“. - ამბობს თავდგირიძე.

მისივე თქმით, კვლევის შედეგები თავისთავად საინტერესო იქნება. თუმცა, ეს არ იქნება სიმართლე ომის შესახებ, რომელიც საზოგადოებას სურს იცოდეს.

„რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ ლიდერებმა განცხადება გააკეთეს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს სიმართლე 2008 წლის ომთან დაკავშირებით. თუმცა, აღმოჩნდა, რომ არც მათ იციან რას აპირებს ბატონი ირაკლი ალასანია“. - დასძინა თავდგირიძემ.

სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ მსგავსი კვლევები მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

„ამ კომისიის შექმნის დიდი ინიციატორი ვიყავი, ჯერ კიდევ 2008 წელს, როცა შეწყდა აქტიური საბრძოლო მოქმედებები. ჩვენ ვითხოვდით, რომ ჩატარებულიყო ასეთი მოკვლევა. წინა ხელისუფლების მიერ რაც ჩატარდა, მიმაჩნია, რომ ამომწურავი არ იყო. მით უმეტეს, რაღაცების სხვანაირად ჩვენების მცდელობა იყო. კვლევა, რომელიც გენშტაბმა აპრილის ბოლოს უნდა წარმოადგინოს, ერთი წელი მიმდინარეობდა. ჩემი ინფორმაციით, მასში იქნება მხოლოდ სამხედრო ანალიზი და არა პოლიტიკური. რაც ამ მომენტში აბსოლუტურად სწორია, რადგან გენშტაბს პოლიტიკური შეფასების გაკეთების უფლება არ აქვს. კვლევაში კონკრეტული საბრძოლო მოქმედებების განსაზღვრა იქნება, როგორ გაკეთდა, როგორ შეიძლება უკეთესად ყოფილიყო, ამაში ვინმე დამნაშავეა თუ არა. ამ დროისთვის, როგორც ვიცი, რამდენიმე ათასმა ადამიანმა გაიარა გასაუბრება, ვინც აგვისტოს ომში მონაწილეობდა. მათ სპეციალური კითხვარები დაურიგეს, ზოგი პირადად გამოკითხეს. ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ ამით საერთო სურათი შექმნილიყო. რა თქმა უნდა, ეს აბსოლუტურად იდეალური ვერ იქნება, მაგრამ სულ არაფერს სჯობს. კვლევები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, დადგინდეს რა და როგორ იყო, მაშინდელმა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა და სხვა ძალოვანმა სტრუქტურებმა როგორ ჩაატარეს საბრძოლო ოპერაციები, რა იყო მინუსი, რომ იგივე აღარ განმეორდეს“. - ამბობს ალადაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის მინისტრმა ცალსახად აღნიშნა, რომ ეს იქნება მოკვლევა და არა გამოძიება, ჩვენი რესპონდენტები არ გამორიცხავენ, რომ მოკვლევის პროცესში შესაძლოა დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთოს და კონკრეტული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

„ამ დროისთვის, როგორ ვიცი, რამდენიმე ათასმა ადამიანმა გაიარა გასაუბრება, ვინც აგვისტოს ომში მონაწილეობდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჭამე ნოდარი“? - ანუ რა ჯდება ფინანსთა მინისტრის ოფიციალური ბანკეტები

„ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სამარცხვინო კამპანია ხორციელდება. ჩვენი მხრიდან ეს იყო პასუხი ამ სამარცხვინო კამპანიის წინააღმდეგ. ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ამ ბინძური კამპანიის მსვლელობა. ალბათ, თქვენც ხვდებით და ჩვენც ძალიან კარგად ვაცნობიერებთ, რომ ამ თემის საჯარო განხილვები უხერხულია“

„ამ პროცესის წინაპირობები ხელისუფლების ოპონენტურ მხარეებში უნდა ვეძებოთ“

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

გასულ კვირას ფინანსთა სამინისტრომ მორიგი ბანკეტის მენიუ გამოაქვეყნა. ცხადია, ვინც ნოდარ ხადურის სმა-ჭამას თვალს აქტიურად ადევნებს, სამინისტრომ ამ ნაბიჯით ქილიკის საბაბი კიდევ ერთხელ მისცა. თავად უწყებაში აცხადებენ, რომ ასეთი „არასერიოზული ნაბიჯით“ სამინისტრომ ბოლო პერიოდში მის მიმართ განხორციელებულ სამარცხვინო კამპანიას უპასუხა.

დაახლოებით ერთი კვირის წინ ფინანსთა სამინიტროს მორიგი ბანკეტი 13 500 ლარი დაუჯდა. მხოლოდ ბატკნის ბარკალი, რომელიც ქონდარში იყო დამარინადებული 1 452 ლარი, ხოლო თევზის ასორტი 1 716 ლარი დაჯდა. სამინისტროს განმარტებით, მინისტრმა უცხოეთიდან ჩამოსულ 200-კაციან დელეგაციას უმასპინძლა.

ბოლო პერიოდში ფინანსთა სამინისტროს ბანკეტის ხარჯები საზოგადოების განხილვისა და გაღიზიანების მიზეზი გახდა.

ხადურის უწყებაში აცხადებენ, რომ გარკვეული ჯგუფები მიზანმიმართულ ბინძურ კამპანიას ახორციელებენ სამინისტროს მიმართ. ამიტომ, ამის საპასუხოდ გამოაქვეყნეს მორიგი უცხოური დელეგაციისთვის გასამართი ბანკეტის მენიუ.

თვალსაჩინოებისთვის, მენიუს წარმოგიდგენთ:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 23 აპრილისთვის დაგეგმილ აზიის განვითარების ბანკის სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონული ფორუმის ოფიციალური მიღების მენიუს აქვეყნებს.

ფინანსთა სამინისტრო დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეიტანონ მასში შესწორებები.

მენიუ 120 კაცზე (ერთი პორციის ფასი): 1. კიტრისა და პომიდვრის სალათი - 3 ლარი; 2. ქათმის სალათი - 3.50 ლარი; 3. სალათი „ოლივიე“ - 4.00 ლარი; 4. ქათმის ღვიძლის სალათი - 5.30 ლარი; 5. ბადრიჯანი ნიგვზით - 4.50 ლარი; 6. ყველის ასორტი - 7 ლარი; 7. ნადუღი სულგუნში - 4.00 ლარი; 8. მწნილის ასორტი - 4.00 ლარი; 9. ზეთის ხილი - 2.00 ლარი; 10. ხბოს მწვადი - 12.00 ლარი; 11. საქონლის ხორცის წვნიანი („ოსტრი“) - 7.50 ლარი; 12. ქათმის ღვიძლი კეცზე - 3.50 ლარი; 13. შემწვარი კარტოფილი (გლეხურად) – 3.50 ლარი; 14. სოკო კეცზე - 5.00 ლარი; 15. ხორცის ბლინები - 4.00 ლარი; 16. ლობიო ქოთანში ნიგვზით - 4.50 ლარი; 17. შემწვარი კალმახი - 6.00 ლარი; 18. თევზი ქინძმარში - 13.00 ლარი; 19. შემწვარი ქათამი - 17.50 ლარი; 20. იმერული ხაჭაპური - 6.50 ლარი; 21. პური - 0.75 ლარი; 22. მჭადი - 1.00 ლარი; 23. ლიმონათი - 1.50 ლარი; 24. ბორჯომი - 1.40 ლარი; 25. ღვინო „წარაფი“ – 1ლ - 4.50 ლარი“.

მენიუს ვარიანტი გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე WWW.MOF.GE აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

მოგვიანებით, მენიუ საიტიდან „გაქრა“.

„ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, მომავალშიც წინასწარ გამოქვეყნდება ოფიციალური დელეგაციების პატივსაცემად გასამართი მიღებების მენიუები, რათა ერთხელ და სამუდამოდ, შეწყდეს სამინისტროს წინააღმდეგ დაგეგმილი მიზანმიმართული და სამარცხვინო კამპანია“, - აცხადებენ სამინისტროში.

რას გულისხმობს სამინისტრო სამარცხვინო კამპანიაში, ამის გასაგებად „პრაიმტაიმი“ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს ხათუნა ივანიშვილს დაუკავშირდა.

„ბოლო პერიოდში ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სამარცხვინო კამპანია ხორციელდება. ჩვენი მხრიდან ეს იყო პასუხი ამ სამარცხვინო კამპანიის წინააღმდეგ. ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ამ ბინძური კამპანიის მსვლელობა. ალბათ, თქვენც ხვდებით და ჩვენც ძალიან კარგად ვაცნობიერებთ, რომ ამ თემის საჯარო განხილვები უხერხულია. ყველასთვის თვალსაჩინოა, რომ ამას მიზანმიმართულად აკეთებენ კონკრეტული ჯგუფები, რაც კარგად ჩანს სოციალურ ქსელებსა და იმ მედია საშუალებებში, სადაც მსგავსი ინფორმაციები ქვეყნდება. ჩვენი ეს ნაბიჯი მიმართული იყო კონკრეტულად იმ დაინტერესებული ჯგუფების მიმართ, რომელთა სალაპარაკო თემა სხვა არაფერია თუ არა როგორ უმასპინძლდება ფინანსთა სამინისტრო მაღალი დონის დელეგაციებს. ამას ვეძახით წარმომადგენლობით ხარჯებს. ეს ყველა უწყებაშია მიღებული და ნორმალური. როგორ წარმოგიდგენიათ 200-კაციანი დელეგაცია, რომ ჩამოდის ქვეყანაში, მათ შესაბამისად უნდა გაუმასპინძლდე“. - განაცხადა ივანიშვილმა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მენიუს, რომლითაც უცხოელ სტუმრებს გაუმასპინძლდა, გამოეხმაურა დეპუტატი თინა ხიდაშელი.

„მენიუს გამოქვეყნება იმდენად სერიოზული და ადეკვატურია, რამდენადაც სერიოზული და ადეკვატურია ჟურნალისტების რეაქციები, როდესაც ნოდარ ხადურს უცხოელი სტუმრები ჰყავს სტუმრად, წერონ, რას ჭამენ და რამდენ ბოთლ ლიმონათს სვამენ. როდესაც აღნიშნული ინფორმაცია ვნახე, ძალიან გავხალისდი. ყოჩაღ ნოდარს, სწორი პასუხი გაგცათ ყველას, ვინც არასერიოზულად უდგება სახელმწიფოს საქმეებს“, - განაცხადა ხიდაშელმა.

არის თუ არა მიზანმიმართული კამპანია ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ და როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება, რომელიც ორი წლის წინ ანალოგიურ ხარჯებში წინამორბედს აკრიტიკებდა, ამ კითხვით საზოგადოებრივი კომუნიკაციის მართვის სპეციალისტ არჩილ გამზარდიას მივმართეთ.

გამზარდიას თქმით, „კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება“. ამასთან, რთული ეკონომიკური სიტუაცია, რომლის სირთულეებსაც რიგითი მოქალაქეები ყოველდღიურად ხვდებიან, ამ ფონზე წამოწეული მსგავსი ინფორმაცია ამა თუ იმ ჩინოვნიკს კიდევ უფრო გამაღიზიანებლად წარმოადგენს.

გამზარდია მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს მიზანმიმართულ პროცესს.

„ეს პროცესი საკმაოდ მიზანმიმართული პროცესია და არა მხოლოდ მის (ხადურის) მიმართ. ვფიქრობ, ამ პროცესის წინაპირობები ხელისუფლების ოპონენტურ მხარეებში უნდა ვეძებოთ. გვახსოვს ყველას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება სწორედ ამ ფუფუნების კუთხითაც იყო ცნობილი. მაღალი შემოსავლები,

ძვირადღირებული მივლინებები, ძვირადღირებული სამუშაო გარემო და ა.შ. ამდენად, დღეს მიმდინარე პროცესს ისეთი სურნელი ასდის, რომ მავანნი ცდილობენ, ამჟამინდელი ხელისუფლების წინა ხელისუფლებასთან იდენტიფიცირებას, ანუ გაიგივებას. ამ გაიგივების ყველა ნიშანი გვაქვს სახეზე. მაგალითად, ჩინოვნიკური ვოიაჟებით გაიგივება, ნეპოტიზმით, დიქტატორული მართვით გაიგივება და ა.შ. ამ პროცესის შედეგი ის უნდა გახდეს, რომ „ქართული ოცნება“ გაიგივდეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ამის პარალელურად კი, გამოჩნდეს უფრო უსუსურად, ვიდრე წინა ხელისუფლება. საზოგადოებრივ ცნობიერებაში მთელი ეს პროცესი როგორ აირეკლება და რა ტიპის გადაწყვეტილებების წინაპირობებს შექმნის, ამის გამოცნობა რთული არ იქნება. ჩვენ გვახსოვს, როგორ „დაუანგარიშეს“ „ნაციონალურ მოძრაობას“ უკრაინის პრეზიდენტის მასპინძლობა. სწორედ ამავე „ოპერიდანაა“ ნოდარ ხადურთან თუ „ქართული ოცნების“ სხვა სახელისუფლებო წარმომადგენლების მიმართ გამოხატული კამპანიები. ამდენად, ეს პოლიტიკური საინფორმაციო კამპანიის შემადგენელია და არა იმდენად, საზოგადოებრივი. საზოგადოება, ცხადია, ბოლომდე შესაბამისობაში ვერ მოდის შეფასებებთან მიმართებაში, ორი მოცემულობის დალაგება, რაც თქვენ მაგალითში ახსენეთ, პროპაგანდისტული ხასიათისაა. ერთმანეთისგან განყენებული პარალელებია წარმოდგენილი და მისი მიზანი ემოციური იმპულსურობის გამოწვევაა, რაც კიდეც მოხდა საზოგადოებაში, კიდევ მეტად კი სოციალურ ქსელებში“. - განაცხადა გამზარდიამ.

P.S: ერთ-ერთ ქართულ სკეტჩში გამოყენებული ცნობილი ფრაზა - „ჭამე ნოდარი“ საზოგადოებამ უმალ აიტაცა. ალბათ, თავის დროზე ფინანსთა მინისტრი ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს ფრაზა განსაკუთრებულ აქტუალურობას სწორედ მისი მისამართით შეიძენდა.

„გვახსოვს ყველას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება სწორედ ამ ფუფუნების კუთხითაც იყო ცნობილი. მაღალი შემოსავლები, ძვირადღირებული მივლინებები, ძვირადღირებული სამუშაო გარემო და ა.შ. ამდენად, დღეს მიმდინარე პროცესს ისეთი სურნელი ასდის, რომ მავანნი ცდილობენ, ამჟამინდელი ხელისუფლების წინა ხელისუფლებასთან იდენტიფიცირებას, ანუ გაიგივებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს მთავრობას ნამდვილად არ შეუძლია შეაჩეროს თავისი მოქალაქეები. სამწუხარო არჩევანია, მაგრამ ამის უფლება მათ აქვთ“

რა ხდება თბილისში, შვეიცარიის საკონსულოსთან?

„არაქართულენოვანმა მოსახლეობამ კარგად უნდა გაიგოს, ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავენ. გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქეს უნდა მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, ამას პრეზიდენტი წყვეტს“

სალომე გოგოხია

გასულ კვირას რუსეთის საკონსულოსთან დიდი ჩოჩქოლი იყო. ამჯერად, ვიზის მოლოდინში მყოფთა რიგებს რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა საკმაოდ დიდი არმიაც შეუერთდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის მოქალაქეობის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებს ხელი მოაწერა. ცვლილების თანახმად, მოქალაქეობის მიღება შეუძლიათ რუსეთში მცხოვრებთ ან მათ წინაპრებს, ასევე, რუსეთის იმპერიაში შემავალ ტერიტორიებზე და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მცხოვრებთ.

ტელევიზიით ნაჩვენები სიუჟეტების შემდეგ, მოსახლეობის უმრავლესობამ ჩათვალა, რომ პუტინმა რუსეთის მოქალაქეობის „დარიგება“ დაიწყო და საკონსულოსაც მიაწყდა. თუმცა, ადგილზე მისულებს, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადაასხეს. დაცვა, საკონსულოს წარმომადგენლები მოქალაქეობის საკითხზე დასმულ შეკითხვებს პრაქტიკულად, უპასუხოდ ტოვებდა.

რა ხდებოდა გასულ კვირას საკონსულოსთან, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ გიამბობთ. სხვების მსგავსად ჩვენც რუსეთის მოქალაქეობის „მსურველთა“ რიგებს შევუერთდით.

საკონსულოსთან დილიდანვე რიგებია. შესასვლელთან მცირე ჯებირია გაკეთებული, რომლის იქით ცოცხალი რიგი დგას. მათ შორის არიან, ქართველები, აზერბაჯანელები, რუსებიც. ვიზის მომლოდინეთა შორის უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობის მიღებისათვის საჭირო პროცედურები აინტერესებს. თუმცა, დაცვა მათ ცნობისმოყვარეობას ვერ აკმაყოფილებს. ორში ერთია, ან არაფერი იციან, ან ამაზე ხმამაღლა საუბარი არ სურთ.

„გვერდია გახსნილი და ადმინისტრატორმა მიპასუხა, პასპორტს ჩააბარებ და მოგცემენო. მოვედი, მაგრამ თქვენც ხედავ, ადამიანს ძაღლადაც არ აგდებენ. არ მინდა ამათი პასპორტი, მხოლოდ ვიზა მომცენ და რუსეთში წავალ, მოქალაქეობას იქაც ავიღებ“

რაც შეეხება საკონსულოს წარმომადგენელს, ის მოქალაქეებთან იშვიათად გამოდის და ამომწურავ ინფორმაციას მისგანაც ვერ იღებენ.

- რუსეთის მოქალაქეობის მიღება მინდა და ვის უნდა მივმართო, რა პროცედურები უნდა გავიარო? - მივმართე საკონსულოდან გამოსულ დედა-შვილს.

- ვერ გეტყვი, აქ არავის არაფერს ეუბნებიან. მე პირადად, რუსეთის მოქალაქე ვარ და ახლა საქართველოს მოქალაქეობას „ვაკეთებ“; მალე პასპორტსაც ავიღებ. ამათგან (თითს საკონსულოსკენ იშვერს) ვერაფერს გაიგებთ. ძალიან მკაცრად გვექცევიან. ტელეფონზე დარეკვას ხომ საერთოდ აზრი არ აქვს, მაინც არ გაგცემენ პასუხს.

- აბა, როგორ მოვიქცე?

- გაიხედეთ, წითელი ფერის „მარშრუტკას“ ხედავთ? მანდ იურისტები სხედან, მეორეშიც. მათთან თუ მიხვალ, დაგაკვალიანებენ. კონსულტაციაში ფულს არ იღებენ. თუ შენს საქმეს აიღებენ, ყველა საბუთს ისინი მოამზადებენ. ოღონდ ფული უნდა გადაიხადო. მეც დამეხმარნენ.

- რამდენი გადაიხადეთ?

- 200 ლარი, მაგრამ ღირდა. მე რომ გამეკეთებინა საბუთები, საქმე რამდენიმე თვით გაჯანჯლდებოდა, ესენი კი უცებ აკეთებენ, შენ შეგაქვს და საკონსულო მაშინვე გიკეთებს.

ამასობაში, საკონსულოს ტერიტორია ერთმა უკმაყოფილო ქალბატონმა დატოვა. რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ ტელევიზიით შეიტყო, საკონსულოში ინფორმაციის მისაღებად მოვიდა, თუმცა, ამაოდ.

„ეროვნებით რუსი ვარ, მაგრამ საქართველოს მოქალაქე. აქ ვცხოვრობ, პენსიას აქ ვიღებ. ტელევიზორში მოვისმინე, რომ პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ ახალ კანონს, ვისაც სურვილი აქვს, მოქალაქეობის მიღება შეუძლია, ამიტომ, საკონსულოში მოვედი, მაგრამ კაციშვილი არაფერს გეუბნება. ასე როგორ შეიძლება? მოქალაქეობა მინდა მივიღო, ჩემი ნათესავები რუსეთში ცხოვრობენ და წასვლა მინდა“. - შემომჩივლა ქალბატონმა მარიამ.

შეკითხვებით დაცვის სამსახურსაც მივმართე.

- შენ პირველი არ ხარ, ვინც ამ შეკითხვით მოდის. დღეში უამრავი ადამიანი მოდის. ტელევიზორში მოუსმინეს, რომ რუსეთის მოქალაქეობას და პასპორტებს არიგებენო და ყველა აქ მორბის. სინამდვილეში მოქალაქეობის მიღების საკითხი 10 მაისს გადაწყდება. ხალხს კი ჰგონია, აქ თუ მოვა, მაშინვე მოქალაქეობას მიიღებს.

- ამბობენ, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილებს რუსეთის პასპორტს უპრობლემოდ აძლევენო.

- მასე არ არის. მეც აფხაზეთიდან ვარ, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. ჩემს მშობლებს შეეძლებათ მიიღონ მოქალაქეობა, სურვილის შემთხვევაში, რადგან ისინი იქ დაიბადნენ, უმაღლესი იქ დაამთავრეს, მუშაობდნენ, ე.წ. „წითელი პასპორტი“ აქვთ. ახალგაზრდებთან დაკავშირებით უფრო რთულადაა საქმე და შეიძლება არ მისცენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემენ თუ მშობლები რუსეთის მოქალაქეები არიან.

დაცვასთან საუბარი უკმაყოფილო ქალბატონის შეძახილმა შემაწყვეტინა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

რუსეთში როგორც კი „წითელ პასპორტს“ მისცემ, მაშინვე რუსეთის პასპორტს მოგცემენ. რუსეთში რომ იცოდნენ, აქ რაც ხდება, ამათ იცი რას უზამენ? საკონსულოში ვინც მოვიდა, ეუბნებიან, პასპორტებს არ ვაძლევთო. სინამდვილეში, შინაურულად ეს საქმე კეთდება, ამაში ფულს იღებენ, თანაც საკმაოდ დიდს.

პუტინი რუსეთის მოქალაქეობას „არიგებს“?!

„უკვე ორჯერ მითხრეს უარი ვიზაზე. არადა, ჩემი ორი შვილი რუსეთში ცხოვრობს, იქაური მოქალაქეები არიან, მე საქართველოს პასპორტი მაქვს და მათ პენსიას მე ვიღებ. ჩემი შვილების ნახვა მინდა. არ მინდა თქვენი მოქალაქეობა, ვიზა ჩამირტყით“, - ამბობს აღელვებული.

ლია ვ-ა ცხინვალიდან დევნილი აღმოჩნდა. ამბობს, რომ რუსეთში მყოფს მსგავსი პრობლემა არ შეექმნებოდა და რუსეთის მოქალაქეობასაც უპრობლემოდ მიიღებდა.

„ჩემო კარგო, შეხედე, საბუთები წესრიგში მაქვს, “ - ამ სიტყვებზე ის ვეებერთელა ჩანთას ხსნის, საიდანაც საბუთების დასტა მოჩანს“, -„ მაგრამ რად გინდა, კაციშვილი პატრონი არ არის. არ დაიჯერო, რომ ცხინვალიდან ან აფხაზეთიდან დევნილებს ეგრევე აძლევენ რუსეთის მოქალაქეობას. აქ ეს გამორიცხულია, სამაგიეროდ, რუსეთში როგორც კი „წითელ პასპორტს“ მისცემ, მაშინვე რუსეთის პასპორტს მოგცემენ. რუსეთში რომ იცოდნენ, აქ რაც ხდება, ამათ იცი რას უზამენ? საკონსულოში ვინც მოვიდა, ეუბნებიან, პასპორტებს არ ვაძლევთო. სინამდვილეში, შინაურულად ეს საქმე კეთდება, ამაში ფულს იღებენ, თანაც საკმაოდ დიდს. ინტერნეტით ვეძებდი ინფორმაციას, როგორ მივიღო რუსეთის მოქალაქეობა, „ფეისბუქში“ გვერდია გახსნილი და ადმინისტრატორმა მიპასუხა, პასპორტს ჩააბარებ და მოგცემენო. მოვედი, მაგრამ თქვენც ხედავთ, ადამიანს ძაღლადაც არ აგდებენ. არ მინდა ამათი პასპორტი, მხოლოდ ვიზა მომცენ და რუსეთში წავალ, მოქალაქეობას იქაც ავიღებ. განა, აქ რომ გვაწვალებენ ისეა იქაც. ახლა ერთი გზა დამრჩა, თუ აქ ვიზას არ ჩამირტყამენ, მაშინ ტაქსით უნდა გავგზავნო ჩემი პასპორტი და ჩემები გამიკეთებენ საბუთს. სანამ რუსეთის მოქალაქეობას მიიღებ, განცხადება უნდა დაწერო, რომ უარს ამბობ საქართველოს მოქალაქეობაზე. როგორც კი რუსეთის პასპორტს აიღებ, მეორე დღესვე დაწერ განცხადებას, რომ გინდა საქართველოს მოქალაქეობა, გადაიხდი 250 ლარს და ავტომატურად მიიღებ მოქალაქეობას ანუ ორმაგი მოქალაქეობა გექნება“. - მეუბნება ლია ვ-ა.

ია ნიჟარაძე ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ტელევიზიით შეიტყო რუსეთის პასპორტების „დარიგების“ შესახებ და ამბის გასაგებად საკონსულოში მოვიდა.

„მოქალაქეობის აღება მინდა, მაგრამ ამათგან (თითს საკონსულოსკენ იშვერს), ვერაფერი შევიტყვე. შეიძლება ითქვას, რუსული სისხლი მაქვს; მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა, მძიმედ დაჭრეს, სისხლისგან დაცლილი იყო, რუსების სისხლი გადაუსხეს. მე მერე გავჩნდი, ამიტომ, ჩემში რუსული სისხლიც არის. მე მგონი, რუსეთის მოქალაქეს პენსია 250 დოლარი აქვს, არა?“ ,- კითხულობს ქალბატონი.

„არა, რა 250, 420 დოლარია“, - პასუხებს მეორე.

„ანუ რუსეთის მოქალაქე ვიქნები და პენსია რუსეთიდან ჩამერიცხება“?, - თუმცა, ამ კითხვაზე რუსული სისხლის მქონე ქართველმა ქალბატონმა პასუხი ვერ მიიღო.

ერთი სიტყვით, საკონსულოსთან ჩემმა თითქმის ერთსაათიანმა ლოდინმა ამაოდ ჩაიარა. საჭირო ინფორმაცია, როგორ გავხდე რუსეთის მოქალაქე, ვერ მივიღე. ჩემი უკმაყოფილო გამომეტყველების შემყურე ჩემმა „გულშემატკივრებმა“ მირჩიეს რომელიმე „მარშრუტკასთან“ მივსულიყავი და საჭირო ინფორმაციას იქ მივიღებდი. ასეც მოვიქეცი.

სანამ საკონსულოს მიუახლოვდები, ხელმარცხნივ, სახელდახელოდ გაკეთებული ღობის მიღმა სამიოდე „მარშრუტკა“ დგას, მათ წინ დიდი ტრაფარეტებია, რომელიც მიმსვლელს ამცნობს, რომ ვიზებთან და მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში დაგეხმარებიან.

ინფორმაციის მისაღებად ერთ-ერთი მათგანი ავირჩიე.

- ერთი შეკითხვა მაქვს, შეიძლება?

- მობრძანდი, ოღონდ ტელევიზორში მოსმენილზე ნურაფერს მკითხავ, - ხელები გაასავსავა ახალგაზრდა მამაკაცმა?

- რატომ?

- ჩვენს ხალხს მოსმენისა და გაგების კულტურა არ აქვს და იმიტომ. ტელევიზორში მოისმინეს რუსეთის პასპორტები რიგდებაო და ეგრევე მოცვივდნენ. კარგად რომ გაეანალიზებინათ მოსმენილი, მაშინ ასე არ მოხდებოდა. პუტინმა თქვა, რომ მოქალაქეობას მიიღებს ის, ვინც ბოლო ათი წელი ცხოვრობდა რუსეთის ტერიტორიაზე, ან მსახურობდა და ოფიცრის წოდება მიიღო.

რუსეთის მოქალაქეობის მიღების შესახებ კანონში ცვლილებებს გამოეხმაურა რუსული პრესაც. „პუტინი მოქალაქეობას „არიგებს“ - ამ სათაურით გამოაქვეყნა სტატია „ნოვი რეგიონმა“.

გამოცემაში ნათქვამია, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღება შეუძლია, ვინც თავად ან მისი წინაპრები ნათესავები ცხოვრობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში არსებულ ტერიტორიებზე, რომლებიც რუსეთს ესაზღვრება.

პუტინის ეს იდეა „დუმის“ ზოგიერთმა წევრმა გააკრიტიკა. ფრაქცია „სამართლიანი რუსეთის“ წევრმა ოკსანა დმიტრიევამ აღნიშნა, რომ მსგავსი კანონი გეოპოლიტიკურ რისკებს ზრდის, ასევე, სამუშაო ადგილებზე კონკურენციას გააძლიერებს.

ოპონენტების თქვით, ეს კანონი რუსეთში მცხოვრებ 11 მილიონ მიგრანტს ლეგალიზებულს გახდის, მათ არჩევნებზე ხმის მიცემის უფლებაც მიეცემათ. თუმცა, შიშობენ, რომ ისინი საკუთარი სახელმწიფოების მიმართ ლოიალობას შეინარჩუნებენ და რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედებენ.

რაც შეეხება ოფიციალურ თბილისს, ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოში აცხადებენ, რომ პუტინს გადაწყვეტილებების მიღებაში ხელს ვერ შეუშლიან, ისევე როგორც იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეობაზე უარს უტყვიან.

„თუ ვინმე გადაწყვეტს რუსეთის მოქალაქე გახდეს, ნამდვილად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მოქალაქე აღარ იქნება. ეს არის ძალიან მკაფიო სურათი ყველასთვის. თუ ვინმემ არ იცის საქართველოს კანონმდებლობა, ეს უნდა განემარტოს. კარგი იქნება ამას მედია დროს თუ დაუთმობს. არაქართულენოვანმა მოსახლეობამ კარგად უნდა გაიგოს, ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავენ. გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქეს უნდა მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, ამას პრეზიდენტი წყვეტს“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ პარლამენტარმა ზურა აბაშიძემ.

თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი: „საქართველოს მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, მათი გადასაწყვეტია, რომელი ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან. საქართველოს მთავრობას ნამდვილად არ შეუძლია შეაჩეროს თავისი მოქალაქეები. სამწუხარო არჩევანია, მაგრამ ამის უფლება მათ აქვთ. ჩვენი ხელისუფლება წინა ხელისუფლებისგან იმით განსხვავდება, რომ არანაირ ტერორს და ხელყოფას არ ახდენს, მაგრამ მიიღებენ თუ არა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, მათ ავტომატურად მოეხსნებათ საქართველოს მოქალაქეობა. მიიღებენ თუ არა ხელმეორედ საქართველოს მოქალაქეობას ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, დააკმაყოფილებენ თუ არა მოთხოვნებს, რაც კანონში წერია. საბჭო კავშირისეული მიდგომა დამთავრდა. ყველა საკითხი ინდივიდუალურია და არ არსებობს კოლექტიურად ცუდი ან კარგი ადამიანი. კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება.

რუსეთის პრეზიდენტის საპასუხოდ საკანონმდებლო ცვლილებებს განახორციელებს თუ არა ქართული მხარე, ჯერჯერობით უცნობია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

განათლების სამინისტრო

სკოლებში ჰიპნოზი ინერგება

EXCLUSIVE

my View

მირიან ბოქოლიშვილი

თამარ სანიკიძის უწყება, შესაძლოა, ახალ სკანდალში გაეხვიოს... ამჯერად საქმე ეხება განათლების სამინისტროს იმ ინიციატივას, რომლის მიხედვითაც სკოლებში ჰიპნოთერაპია ინერგება. როგორც ცნობილია, მანდატურის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრი, თუმცა ფსიქოლოგების გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათი მუშაობის პროცესი ვიდეო და აუდიოჩაწერას უნდა დაექვემდებაროს. რას პასუხობს განათლების უწყება სკეპტიკოსებს? ამის გასარკვევად დავეყრდნობით მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის, ლევან ზარდალიშვილის განცხადებას, რომელიც ვიდეო და აუდიოჩაწერის აუცილებლობას სწორედ ჰიპნოთერაპიის კურსებით ხსნის. აი, რას ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი:

„მინდა ვუპასუხო იმ (სრულიად გაუმართლებელ) ბრალდებებს, რომლებიც მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრისა და პირადად ჩემ მიმართ გაისმა. ყველაზე საშიში გახლავთ ნაწილობრივი სიმართლე და ამ შემთხვევაშიც ჩვენმა ოპონენტებმა (იმედი მაქვს, რომ შემთხვევით) ამ ხერხს მიმართეს. უპირველეს ყოვლისა, მოგახსენებთ მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიურ ცენტრში დამონტაჟებული კამერების შესახებ. დიახ, ფსიქოლოგიურ ცენტრში დამონტაჟდა კამერები, ეს სიმართლეა, მაგრამ დანარჩენი – მხოლოდ სპეკულაციაა, რომელიც, ფაქტობრივად, დეზინფორმაციას დაეყრდნო. მე არ ვიცი, ვინ არის დეზინფორმაციის წყარო, ამ ეტაპზე ეს ძალიან მნიშვნელოვანი არ არის. მაგალითად, რომელიღაც კომენტარში წავიკითხე, თითქოს მითქვამს, რომ თერაპიის ჩაწერა მარტო საჭირო კი არა – აუცილებელია! ამ დროს მე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ არსებობს თერაპია, რომლის ჩაწერაც არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელია – ეს გახლავთ ჰიპნოთერაპია! ეს ასეც არის, არც ერთი პროფესიონალი ჰიპნოლოგი არ დასთანხმდება ჰიპნოთერაპიაზე, თუ პაციენტი უარს ამბობს სესიის ვიდეოჩანაწერზე. ასე რომ, ერთი ფრაზის ამოღებით მთელი ნათქვამის აზრი შეიცვალა – ზუსტად ეს არის დეზინფორმაცია!

ლევან ზარდალიშვილი

„ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ არსებობს თერაპია, რომლის ჩაწერაც არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელია – ეს გახლავთ ჰიპნოთერაპია!“

რაც შეეხება ვიდეოკამერების მოხმარებას, ვიდეოკამერა ჩაირთვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემოჩამოთვლილი სამი პუნქტიდან, სამივე შესრულდება: 1. ბავშვი(მოზარდი/მოზრდილი) თანახმაა, რომ სესია ჩაიწეროს. 2. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანახმაა, რომ სესია ჩაიწეროს. 3. წამყვან ფსიქოლოგს აქვს სესიის ჩაწერის სურვილი. ვიდეოკამერები არ იმართება ცენტრალიზებულად. კამერას რთავს და თიშავს ფსიქოლოგი. ჩანაწერი არ ხვდება ქსელში, არამედ პირდაპირ იწერება ცალკე მდგომ კომპიუტერში, რომლის პაროლიც, მხოლოდ ორ ადამიანს აქვს. სესიის წამყვანმა ფსიქოლოგმაც რომ მოისურვოს ჩანაწერის ნახვა, წერილობით უნდა მოითხოვოს ჩანაწერის მიღება პაროლით დაცულ დისკზე. ამ დისკის გატანა სამსახურის ფარგლებს გარეთ აკრძალულია. ვინაიდან, ჩვენი ოპონენტებისგან განსხვავებით, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური სამსახური სახელმწიფო დაწესებულებაა, კონფიდენციალურობის დაცვა, გარდა ფსიქოლოგის ეთიკური კოდექსისა, ამ სამსახურის

ნებისმიერ თანამშრომელს ევალება და რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

ახლა მოკლედ დანარჩენსაც შევეხები. მათთვის, ვინც არ იცის: თერაპიული პროცესის ჩაწერა რამდენიმე მიზანს ემსახურება და მას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. უპირველეს ყოვლისა, ჩანაწერი კეთდება პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წამყვანი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ ასეთი ჩანაწერი მას თერაპიის პროცესში დაეხმარება. ამავე დროს, როგორც აღვნიშნე, ჩაწერაზე უნდა დასთანხმდეს ბავშვი და შემდეგ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ექიმისგან განსხვავებით, ფსიქოთერაპევტს არ აქვს იმის საშუალება, რომ თერაპიის შედეგი სხვადასხვა სახის გამოკვლევებით შეამოწმოს. ვიდეოჩანაწერი იძლევა იმის საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში კორეგირება გაუკეთოს თერაპიულ სტრატეგიას. ფსიქოთერაპევტი ადამიანია და ამიტომ მისი დამოკიდებულებაც და აღქმაც სუბიექტურია. ხშირად ობიექტური სურათის დანახვის ერთადერთი საშუალება ჩანაწერის განმეორებითი ნახვაა. თერაპიის პროცესში თერაპევტი შეიძლება დადგეს ისეთი პრობლემის წინაშე, რომლის გადაჭრასაც მეორე თერაპევტის (სუპერვიზორის) ჩართვა სჭირდება, რომელსაც ობიექტური ინფორმაციის მიღება მხოლოდ ჩანაწერით შეუძლია. რაც შეეხება სუპერვიზიასა და ინტერვიზიას: სუპერვიზია არის პროცესი, რომლის დროსაც ფსიქოლოგს ეხმარება (უმეტესწილად) უფრო გამოცდილი კოლეგა. სუპერვიზია ტარდება თერაპიის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რაც მდგომარეობს, როგორც სწორი მიდგომისა თუ სტრატეგის არჩევაში, ასევე იმ შეცდომების დანახვასა და გამოსწორებაში, რომელსაც თერაპევტი უშვებს. აქედან გამომდინარე, ხარისხიანი სუპერვიზია, ყოველთვის გულისხმობს სესიის მიმდინარეობის ნახვას. სუპერვიზორის სესიაზე დასწრება შეუძლებელია (უჩინმაჩინის ქუდიც რომ ჰქონდეს, რამდენიმე თერაპევტის ყველა სესიას ვერავინ დაესწრება), ამიტომ აქაც ერთ-ერთი (ზოგჯერ კი ერთადერთი) გამოსავალი ჩანაწერია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური ინიციატივა

„არ მინდა, დავიჯერო, რომ ვინმეს ამ ავადმყოფური იდეის განხორციელება მართლა სურს“

„ის, რასაც აპირებენ, არის ყოვლად დაუშვებელი. იმედი მაქვს, რომ მათ არ ესმით, რაზეა საუბარი. თუ ისინი სერიოზულად განიხილავენ, რომ ჰიპნოზით უმკურნალონ ბავშვებს სკოლებში, ეს კატასტროფაა“

საგულისხმოა ისიც, რომ შემოთავაზებული ცალმხრივად გამჭვირვალე შუშა/სარკე, რომელიც ერთ-ერთმა ოპონენტმა გვირჩია, როგორც თანამედროვე მეთოდი, ამ პრობლემას უმეტესწილად ვერ წყვეტს. ჯერ ერთი, იმაში ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს უფრო თანამედროვე მეთოდია, რადგან ცალმხრივად გამჭვირვალე სარკეები მეორე მსოფლიო ომის დროსაც არსებობდა, ვიდეოაპარატურა კი ბევრად უფრო ახალია. მეორეც, ცალმხრივად გამჭვირვალე შუშის ან სარკის გამოყენებისას, პროფესიული ეთიკა (კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპიც) მოითხოვს, რომ თქვენს პაციენტს შეატყობინოთ შუშის მიღმა მოკალათებული დამკვირვებლის შესახებ, რაც პაციენტისთვის ბევრად უფრო მიუღებელია, ვიდრე ვიდეოკამერა. თუ ვინმემ იცით, როგორ უნდა გაკეთდეს ხარისხიანი (ან, როგორც ხშირად ეძახიან, ღრმა) სუპერვიზია ობიექტური მონაცემების გარეშე, ძალიან მადლიერი დაგრჩებით, თუ ჩვენც გვასწავლით.

ინტერვიზია, საბოლოო ჯამში, კოლეგებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, რომელიმე კოლეგის ან ერთმანეთის დახმარების მიზნით.

ინტერვიზია, სუპერვიზიას ვერ ცვლის, მაგრამ, თუ ინტერვიზიის მიზანი რომელიმე კონკრეტული შემთხვევა იქნება, ჩანაწერის გარეშე აქაც ძნელია დამაკმაყოფილებელ შედეგამდე მისვლა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელით ჩანაწერს ყველა თერაპევტი აკეთებს სესიის შემდეგ (სესიის დროს ჩაწერა სწორი არ არის, რადგან ეს არღვევს სესიის მიმდინარეობას).

ძალიან მიკვირს, რომ ეს არავის აწუხებს. ასეთი ჩანაწერი თერაპევტის ბლოკნოტში, შეიძლება ბევრად საშიში იყოს პაციენტისთვის, რადგან გარდა სესიის მიმდინარეობის (ხშირად, სუბიექტური) აღწერილობისა, ასეთ ჩანაწერში ხშირად თერაპევტის მოსაზრებები და (ან) დიაგნოზიც არის ხოლმე.

ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ჩანაწერები უმეტესწილად ძალიან დაუცველია, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ეს რატომღაც არავის აინტერესებს.

უარყოფითი მხარეები შემდეგია: ჩანაწერებს ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრო, რომ კონფიდენციალურობა არ დაირღვეს.

ეს რეგულირდება კანონმდებლობით და იმ სპეციალური ღონისძიებებით, რომლებიც ჩანაწერის კონფიდენციალურობას უზრუნველყოფს.

მიუხედავად თანხმობისა, იმის ცოდნა, რომ სესია იწერება, იწვევს პაციენტის დაძაბულობას. როგორც წესი, ეს დაძაბულობა თერაპიის სწორად წაყვანის შემთხვევაში ქრება ერთიდან სამ სესიამდე.

იმასაც დავამატებდი, რომ ყველას, ვისაც ჩვენი მუშაობა აინტერესებს, ვისაც გული შესტკივა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე, შეუძლია მოვიდეს და თავისი მოსაზრებები გაგვიზიაროს. ყოველთვის ვხვდებით და ვუსმენთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენთან ამა თუ იმ მოსაზრებით ან პროექტით მოდიან.

ბოლოს მინდა მივმართო იმ კოლეგებს, რომლებიც მე პირადად მიცნობენ: გვყავს საერთო მეგობრები და ასეც რომ არ იყოს, ჩემი ტელეფონის ნომრის გაგება ძალიან ადვილია. მიმაჩნია, რომ ბევრად უფრო მართებული და კოლეგიალური იქნებოდა, ჩემთვის ტელეფონით დაგერეკათ და გეკითხათ, ეს კამერები რას ნიშნავს და თუ პასუხი არ დაგაკმაყოფილებდათ, შემდეგ მიგემართათ სოციალური ქსელებისთვის...

პატივისცემით, ლევან ზარდალიშვილი“..

მოკლედ, მთელი ამ ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის უკან, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება დგას – დაინერგოს სკოლებში ჰიპნოზი და მოხდეს ამ ყველაფრის გადაღება. ვინ აგებს პასუხს, თუ ბავშვის ფსიქოლოგთან საუბრის ჩანაწერმა სკოლაში გაჟონა? ან თუ-ნდაც სოციალურ ქსელებში მოხვდა და საერთოდ, რატომ გახდა აუცილებელი ჰიპნოთერაპიის დანერგვა სკოლებში? ამის შეფასება განათლების ყოფილ მინისტრს, დიმიტრი შაშკინს ვთხოვეთ.

„სადმე რომ გაჟონოს ჩანაწერმა, სადაც ბავშვი ფსიქოლოგთან პირად საკითხებზე საუბრობს, ამან შეიძლება ბავშვს სერიოზული ტრავმა მიაყენოს“

დიმიტრი შაშკინი, განათლების ყოფილი მინისტრი, „რეფორმატორთა კლუბის“ ხელმძღვანელი:

– გავეცანი ამ „ჭკვიანურ“ იდეას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დღეს განათლების სისტემას პატრონი არ ჰყავს. ჯერ მარგველაშვილი და ახლა უკვე მინისტრი სანიკიძე მიზანმიმართულად ანგრევენ მანდატურის სამსახურს. ხალხის 50 პროცენტი გაყარეს სამსახურიდან, დანარჩენი 50 პროცენტიც ჰაერშია დარჩენილი, რადგან ეს სამსახური სკოლებს დაუქვემდებარებს, თუმცა ამისთვის ფული არ მისცეს. ახლა ცდილობენ, მანდატურის სამსახური, ვინაიდან ის პოპულარული იყო, სხვა სახით შეინარჩუნონ. ამიტომ მოიფიქრეს, მანდატურების ეგიდით სკოლებში დანერგონ ფსიქოლოგების სამსახური. არ არსებობს ბუნებში გაწერილი ნორმატიული აქტი, რომელიც ფსიქოლოგთან მუშაობას დაარეგულირებს. მთელ მსოფლიოში ფსიქოლოგების მუშაობა ისევეა დაცული, როგორც აღსარების საიდუმლო. გარდა ამისა, გადაწყვიტეს, რომ ის ოთახები, სადაც ფსიქოლოგები იქნებიან, აღიჭურვოს ვიდეო და აუდიოაპარატურით, ანუ მოხდება როგორც ვიზუალური, ისე ხმოვანი ჩაწერა. დღეს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას ეძახიან ზევსებს და მე არ მაქვს იმედი, რომ ისინი ოლიმპიდან ჩამოვლენ, მაგრამ ამას ვიღაცამ ყურადღება უნდა მიაქციოს. საუბარია სკოლებში ჰიპნოზის დანერგვაზე, კაშპიროვსკის ხანა ხომ არ ბრუნდება ქვეყანაში? როგორ შეიძლება, საერთოდ, ეს იდეა მოგვივიდეს თავში.

– როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა ჰიპნოზის დანერგვა აუცილებელი?

– ამის განცხადებაც კი სირცხვილია. არ მინდა დავიჯერო, რომ ვინმეს ამ ავადმყოფური იდეის განხორციელება მართლა სურს. ეს ხალხი, ეტყობა, საერთოდ ასტრალში გავიდა. დღეს რომ განათლების სამინისტროს პატრონი არ ჰყავს, გავიგეთ, მაგრამ ამ ზევსებს ვიღაც უფროსი ხომ ჰყავს? მიხედონ ამ საკითხს დროულად.

– საზღვარგარეთ თუ არის ეს მეთოდი დანერგილი? ჰიპნოთერაპიას ვგულისხმობ...

– მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყნის სკოლებში ვერ ნახავთ, რომ ტარდებოდეს ჰიპნოზები. ეს არის ფსიქიატრიის ბოლო მწვერვალი, უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე. ამის სკოლებში დანერგვა კი არ ვიცი, რა მიზანს ისახავს. 11 წელი ამერიკულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი და საარჩევნო კამპანიის დროს ცნობილ ფსიქოლოგებთან და ფსიქიატრებთან მქონდა შეხება. მათგან ვიცი, რომ ჰიპნოზი არის ძალიან ფაქიზი თემა, ყველა ფსიქოლოგს ამის გაკეთება არ შეუძლია, რადგან ამან შეიძლება ძალიან მავნედ იმოქმედოს ადამიანზე, მით უმეტეს ამ შემთხვევაში საუბარია სკოლის მოსწავლეებზე. უცხოეთში, სკოლებში არსებობს ფსიქოლოგთა ინსტიტუტი, რომელიც მკაცრად რეგულირდება კანონით. როგორც ეკლესია იცავს აღსარების საიდუმლოს, ისე ფსიქოლოგები იცავენ საიდუმლოს საკანონმდებლო ბაზით. მე არ მაქვს იმედი, რომ ზევსების ყურამდე რაიმე მივა, მაგრამ მაღალი რგოლები უნდა ჩაერთონ ამ საკითხში, რადგან საუბარია ბავშვებზე. ის, რასაც აპირებენ, არის ყოვლად დაუშვებელი. იმედი მაქვს, რომ მათ არ ესმით, რაზეა საუბარი. თუ ისინი სერიოზულად განიხილავენ, რომ ჰიპნოზით უმკურნალონ ბავშვებს სკოლებში, ეს კატასტროფაა.

– რაც შეეხება ფსიქოლოგის მუშაობის ჩაწერას... ეს რა საფრთხეს შეიცავს?

– სადმე რომ გაჟონოს ჩანაწერმა, სადაც ბავშვი ფსიქოლოგთან პირად საკითხებზე საუბრობს, ამან შეიძლება ბავშვს სერიოზული ტრავმა მიაყენოს, მათ შორის შეიძლება იყოს ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. ვინ იქნება პასუხისმგებელი? პატარა ქვეყანაა საქართველო, მთელ თბილისს ეცოდინება მეორე დღესვე რაზე ისაუბრა ბავშვმა ფსიქოლოგთან, ასეთი გაჟონვა რომ მოხდეს. ეს ჩანაწერები არის აბსოლუტურად მიუღებელი. როგორ უნდა დაიცვას სკოლამ ეს მასალები, როცა ხშირ შემთხვევაში ძალოვანი უწყებებიდან ჟონავს სხვადასხვა სახის ჩანაწერები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფსიქოლოგის პროფესიულ განვითარებას სჭირდება წლები, ის ჩვეულებრივი ექიმია და ამ პროფესიის დაუფლებას სჭირდება სპეციფიკური სწავლების კურსი, საკმაოდ ხანგრძლივი. არ შეიძლება მანდატური ერთ კვირაში გადაამზადო და ფსიქოლოგი გახადო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ რა პიროზით და

ხათუნა მგალობლიშვილი

თინა ხიდაშელი: „ვინმე დაიჯერებს, რომ ის პროდასავლელია და მე – რუსი?“

თინა ხიდაშელის განცხადებით, „ქართული ოცნება“ საფრთხეების ნეიტრალიზაციის კოალიციაა. პირველი საფრთხე, რომელიც ერთობამ ქვეყანას მოაშორა, „ნაციონალური მოძრაობაა“. ასე თავად უმრავლესობა მიიჩნევს. ნომერ მეორე საფრთხედ უთქმელად რუსეთი ითვლება. დაძაბულობა კი პიკს აღწევს, რადგან ივნისამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება და, შესაბამისად, პრორუსული ძალებიც დღითი დღე აქტიურდებიან საქართველოში. ამას თავად მთავრობაშიც აღარ უარყოფენ. თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, საეჭვოდ მრავლდებიან პრორუსული ორიენტაციის არასამთავრობოები. სამაგიეროდ ხოდელის, ჭყოიძისა და მათი მსგავსი ევრაზიული კავშირის მომხრე ადამიანების რიცხვი ზეპირად იციან პარლამენტში. თინა ხიდაშელის განცხადებით, მათი მაქსიმუმი ოცდაათია და ამ ციფრს ვერასოდეს ვერ ასცდებიან. შესაბამისად, მოქმედი ხელისუფლება არასოდეს აუკრძალავს მათ საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას. ეს მათთვის დემოკრატიის უმთავრესი პრინციპია. იგივე პრინციპზეა მიბმული კოალიციური ერთობაც. ამ ერთობიდან კი ის გავარდება, ვინც აღნიშნულ პრინციპს არ გაიზიარებს, ან დაუპირისპირდება. ბუნებრივია, დაპირისპირებაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს და გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ხიდაშელია. თუმცა კულუარებში აბსოლუტურად განსხვავებული ვერსიები ვრცელდება... ისიც კი ითქვა, რომ თვითმმართველობის არჩევნებს კვალდაკვალ მოჰყვება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები... ხიდაშელს ვადამდელ არჩევნებზე საკუთარი პოზიცია აქვს...

„თუ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ევრაზიული კავშირის იდეის პროპაგანდა უნდა და ეს მისი მიზანია, დიახ, ის დაფინანსდება დაინტერესებული მხარის მიერ და განახორციელებს თავის ქმედებებს“

თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– ჩვენ საფრთხეების ნეიტრალიზაციის კოალიცია ვართ, ჯერ ნაციონალები გავანეიტრალეთ, როგორც საფრთხე, და ახლა უკვე დანარჩენებს მივყვებით. ამიტომ სანამ საფრთხეები სახეზეა, ჩვენ ერთად ვიქნებით და ეს ბედისწერაა. ჩვენ ისეთ პასუხისმგებლობას ავიღებთ, რომ ამ პასუხისმგებლობით სასიამოვნოდ დამძიმებულები ვართ. საქართველოში აკრძალულია პოლიტიკური პარტიის დაფინანსება უცხო სახელმწიფოს მიერ. თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია უცხო ქვეყნიდან ფინანსდება, ეს არის უკანონო ქმედება და ამისთვის არსებობს სასჯელი. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც წესი, დემოკრატიულ და ცივილიზებულ სახელმწიფოებში მას არ აკონტროლებენ, რადგან თავისი არსით არასამთავრობო ორგანიზაცია არის კონკრეტული იდეოლოგიის, კონკრეტული ინტერესთა ჯგუფის მატარებელი ორგანიზაცია. თუ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ევრაზიული კავშირის იდეის პროპაგანდა უნდა და ეს მისი მიზანია, დიახ, ის დაფინანსდება დაინტერესებული მხარის მიერ და განახორციელებს თავის ქმედებებს. სანამ ასეთი ორგანიზაციის ქმედებები კანონის ჩარჩოებში იქნება მოქცეული, ვერავინ აუკრძალავს საკუთარი აზრის გამოხატვას, როგორც კი ის გასცდება კანონიერ ფარგლებს, როგორც კი დამტკიცდება, რომ მიზანმიმართულად რომელიმე სპეცსამსახურებიდან ფინანსდება, აქ უკვე სხვა ტიპის კანონმდებლობა ამოქმედდება და შესაბამისი პასუხისმგებლობაც დადგება. ახლა ისეთ რამეს ვამბობ, რასაც თავად ვეწინააღმდეგები, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში ასეა. რუსეთში, ალბათ, უამრავი საქველმოქმედო ფონდია შექმნილი, ზოგი კრემლის მიერ და ზოგი ოლიგარქების მიერ, ვიღაც კიბოს საწინააღმდეგო პროგრამებს აფინანსებს და ვიღაც – ევრაზიული კავშირის პროპაგანდას. თუ რუსეთში არსებული ფონდები საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ, ეს არის ძალიან ჩვეულებრივი ამბავი, რომელსაც სახელმწიფო ვერაფერს ვერ დაუპირისპირებს, გარდა სახელმწიფოში არსებული ჯანსაღი პროცესისა. ევრაზიული კავშირის მომხრე არასამთავრობოები მაქსიმუმ 30 კაცის მხარდაჭერის ამარა არსებობენ. იაროს ამ ოცდაათმა კაცმა და იძახოს, რომ უნდათ ევრაზიულ კავშირში. სინამდვილეში ეს ხომ ყველაზე კარგი რამ არის, რაც კი დღეს შეიძლება საქართველოში მოხდეს, იმის დემონსტრირებისთვის, რამდენად პროევროპულია ჩვენი ქვეყანა. მიუხედავად

„ამიტომ საკითხი ისე კი არ დგას, რომ რესპუბლიკელები ან თავისუფალი დემოკრატები წავლენ, არამედ, ვინც გადაწყვეტს, რომ კოალიციის სადამფუძნებლო დეკლარაციიდან პრინციპულად ამოვარდა, სწორედ ის წავა“

იმისა, რომ ოცი-ოცდაათი კაცის შეკრება ყველა ტელევიზიამ გააშუქა და ამბად იქცა, მაინც არ შეიკრიბა ოცდაათ მომხრეზე მეტი ადამიანი.

– არ თვლით, რომ არსებობს საფრთხე, ეს 30 კაცი რაოდენობაში გაიზარდოს?

– ამის საფრთხე არანაირად არ არის, ერთი გამონაკლისის გარდა. ეს შეიძლება მოხდეს არა იმიტომ, რომ ვიღაცას საბჭოთა კავშირის ნოსტალგია შემოაწვება, არამედ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ, ქართული სახელმწიფო, მოსახლეობას იმედს გავუცრუებთ. ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ, საკუთარ მოსახლეობას იმედები გავუცრუოთ, მით უფრო ისე, რომ ხვალ და ზეგ მასებმა რუსეთი მოითხოვონ. არ მოხდება საქართველოში ის, რომ მასები რუსეთის მხარდასაჭერად დაირაზმონ, ძალიან ცოცხალია მეხსიერება. 9 აპრილიდან, სულ რაღაც, 25 წელი გავიდა, მეტი კი არა... თანაც 9 აპრილი არ ყოფილა ერთადერთი, სულ რაღაც ექვსი წელია გასული აგვისტოს ომიდან.

– თუმცა თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ პრორუსული შინაარსის არასამთავრობოები სოკოებივით მრავლდება საქართველოში...

– ეს სწორია, რადგან ამ ოცდაათი კაციდან ყველას საკუთარი „ენჯეო“ აქვს. ცოტანი არიან, მაგრამ, ალბათ, მიზანმიმართული გეგმა აქვთ, მე ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ, თუმცა მათ სჭირდებათ პოლიტიკური დასაყრდენი საქართველოში.

– და გაუჭირდებათ პოლიტიკური დასაყრდენის პოვნა?

– პოლიტიკურ დასაყრდენს იპოვიან, მაგრამ რამდენად იქნება ეს დასაყრდენი პოლიტიკურად კონკურენტუნარიანი, ეს არის მთავარი. ჩვენ ვნახეთ ჯერ ნოღაიდელის ფიასკო, შემდეგ ქალბატონი ბურჯანაძის ფიასკო. აქ პრობლემა პიროვნულად

„ჩვენ ვნახეთ ჯერ ნოღაიდელის ფიასკო, შემდეგ ქალბატონი ბურჯანაძის ფიასკო. აქ პრობლემა პიროვნულად ბურჯანაძესა და ნოღაიდელში კი არ არის, საქმე ისაა, რომ რუსეთის ბილეთი აღარ იყიდება საქართველოში“

„როდესაც ისეთი მეზობელი გყავს, როგორიც რუსეთია და როდესაც უკრაინის ფონი არსებობს, ბუნებრივია, სრულიად გიჟი უნდა იყო, რომ რაიმე გამორიცხო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„ისიც გავიგეთ, რომ, თუ ჩვენ თავად არ წავალთ, მაშინ კოალიციიდან გაგვრიცხავენ. დათო ბერძენიშვილმა ყველაზე მოსწრებულად უპასუხა, არც წასვლას ვაპირებთ და ვერც გაგვრიცხავენო. უბრალოდ, არასერიოზულია, იცით, რამდენჯერ მომისმენია ეს ამბავი? პასუხიც ბევრჯერ გაეცა. მე რომ გიმტკიცოთ, კოალიციაში ყველა ცალკეული ადამიანი ერთსა და იმავე მოსაზრებაზე დგას-მეთქი, ტყუილი იქნება და არ მოგატყუებთ. კოალიციაში ყოფნა არის სწორედ დათმობების, ერთმანეთის პატივისცემის რეჟიმში მოქმედება. სადამდეც ეს შესაძლებელი იქნება, რა თქმა უნდა, ჩვენ შევინარჩუნებთ ამ პატივისცემას და ერთობლივი შეთანხმებით ვიმოქმედებთ. კოალიციურ რეჟიმში გადაწყვეტილებები ხან აბსოლუტური კონსენსუსით მიიღება და ხან უმრავლესობის გადაწყვეტილებით. დასავლეთთან მიმართებაში ყველაზე ნაკლებად არის შეთანხმების პრობლემა, ჩვენ უფრო სხვა საკითხებზე გვაქვს აზრთა სხვადასხვაობა. ვიცით და ცნობილია მრეწველების პოზიცია დასავლეთთან მიმართებაში და ნამდვილად არ დავიწყებ ახლა იმის მტკიცებას, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ, როდესაც მრეწველები კოალიციას შემოუერთდნენ, მათ ხელი მოაწერეს კოალიციის სადამფუძნებლო დეკლარაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიიღეს ის თამაშის წესი, რასაც კოალიცია დაეფუძნა. ამიტომ საკითხი ისე კი არ დგას, რომ რესპუბლიკელები ან თავისუფალი დემოკრატები წავლენ, არამედ, ვინც გადაწყვეტს, რომ კოალიციის სადამფუძნებლო დეკლარაციიდან პრინციპულად ამოვარდა სწორედ ის წავა. მე არ ვგულისხმობ, რომ ვინმე კოალიციიდან მიდის, ან მრეწველები აპირებენ სადმე წასვლას, უბრალოდ, ვხსნი დეტალებს. თუ კოალიციიდან მიდიხარ, რეალურად პასუხისმგებლობას გაურბიხარ და არა იმ პრობლემას, თითქოს შეუძლებელია მოლაპარაკება დანარჩენ სუბიექტებთან.

– კვლავ გააქტიურდა ვადამდელი არჩევნების თემა, როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება, თვითმმართველობის არჩევნებს საპარლამენტო არჩევნები მოჰყვეს მალევე?

– გამოვრიცხავ ვადამდელ არჩევნებს, რადგან ამას აქვს ძალიან მარტივი არითმეტიკული დათვლადი პროცედურა. ამ პროცედურას არ ველოდები. არ ველოდები, რომ საქართველოს მთავრობას ექნება რაიმე პრობლემა საქართველოს დღევანდელ პარლამენტში, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ირაკლი ღარიბაშვილია პრემიერ-მინისტრი. არ ველოდები, რომ საქართველოს ბიუჯეტს, რომელსაც ღარიბაშვილის მთავრობა შემოიტანს პარლამენტში, რაიმე პრობლემა ექნება.

„ჩვენ საფრთხეების ნეიტრალიზაციის კოალიცია ვართ, ჯერ ნაციონალები გავანეიტრალეთ, როგორც საფრთხე, და ახლა უკვე დანარჩენებს მივყვებით. ამიტომ სანამ საფრთხეები სახეზეა, ჩვენ ერთად ვიქნებით და ეს ბედისწერაა. ჩვენ ისეთ პასუხისმგებლობას ავიღებთ, რომ ამ პასუხისმგებლობით სასიამოვნოდ დამძიმებულები ვართ“

ბურჯანაძესა და ნოღაიდელში კი არ არის, საქმე ისაა, რომ რუსეთის ბილეთი აღარ იყიდება საქართველოში.

– ანუ რუსეთის მხრიდან ივნისამდე აგრესიას გამორიცხავთ?

– მე ნამდვილად მინდა, რუსეთისგან საფრთხეები გამოვრიცხო, მაგრამ სიფრთხილე და ძალიან გონივრული ქმედება, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ისეთი მეზობელი გყავს, როგორიც რუსეთია და როდესაც უკრაინის ფონი არსებობს, ბუნებრივია, სრულიად გიჟი უნდა იყო, რომ რაიმე გამორიცხო. არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ არა მგონია, რუსეთი დღეს მზად იყოს, „მეორე ფრონტი“ გახსნას. საქართველოს ხელისუფლება ძალიან ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანოს საფრთხეები, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს რეალობაც და სწორედ ამ რეალობაში ვაპელირებთ ჩვენც. ის, რაც უკრაინაში ხდება, პირდაპირ ახდენს გავლენას საქართველოზე. მე არ ველოდები ღია აგრესიას რუსეთის მხრიდან საქართველოში. გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტი საქართველოში სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ამერიკის ხელისუფლების ძალიან მაღალი თანამდებობის პირები იმყოფებოდნენ საქართველოში, ეს ვიზიტი არ ყოფილა კალენდარულად დაგეგმილი და სწორედ იმას დაემთხვა, რომ ხელმოწერა ივნისში ჩაინიშნა. არ ველოდები ისეთ განსაკუთრებულ მოვლენას, რომელიც ასოცირების ხელმოწერის შეჩერებას შეძლებს.

„ეს ბედისწერაა. ჩვენ ისეთ პასუხისმგებლობას ავიღებთ, რომ ამ პასუხისმგებლობით სასიამოვნოდ დამძიმებულები ვართ“



დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM

20 წელი თქვენს გვერდით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა საიდუმლო შეხვედრაზე საუბრობს მედია

გია ვოლსკი:

„მე ვარ ფრაქციის თავმჯდომარე, სულ ახლახან დავიკავე ეს პოსტი, საქმეს თუ დასჭირდა, ყველაფერი შეიცვლება, აბსოლუტურად ყველაფერი“

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გია ვოლსკი მერობის სასურველ კანდიდატად უკვე დასახელდა. სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი ნათესავი „facebook“-ის მეშვეობით „გააპიარა“. თავად ვოლსკი აცხადებს, რომ მერობის კანდიდატობაზე არც მას უფიქრია და არც მის გუნდს.

მერობის გარდა, ვოლსკის პარლამენტის თავმჯდომარეობასაც უწინასწარმეტყველებენ. აღნიშნული ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში აქტიურად განიხილება. სააგენტო „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე საიდუმლო შეხვედრა უკვე შედგა კიდეც და მას, დავით საგანელიძესთან, გია ვოლსკისთან და ნუკრი ქანთარიასთან ერთად, კიდევ რამდენიმე დეპუტატი ესწრებოდა. პარლამენტის თავმჯდომარის შეცვლის გეგმა ვადამდელი არჩევნების გზით ლოგიკურად შესაძლებელია, თუმცა, როგორც ამბობენ, ვადამდელი არჩევნების გზით ცდილობენ „პრობლემის“ მოგვარებას. უსუფაშვილის გადასაყენებლად პროცედურულად 76 ხმა, ანუ 76 თანხმობაა საჭირო, თუმცა, რეგლამენტის თანახმად, საკითხი რომ დღის წესრიგში დადგეს, დარბაზში რეგისტრაცია ასზე მეტმა დეპუტატმა უნდა გაიაროს. პრობლემაც სწორედ ასი რეგისტრაციაგასავლელი დეპუტატია. შესაბამისად, საიდუმლო შეხვედრის მონაწილეები რეგლამენტში ცვლილებას გეგმავენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცდებიან, საკუთარი გეგმა აამოქმედონ. გავრცელებული ინფორმაციით, უსუფაშვილმა დეტალურად იცის, ვინ და რა გეგმებს აწყობენ მის ზურგს უკან და როგორც ამბობენ, სწორედ ამ შეთქმულების ჩასაშლელად მართავს კონსულტაციების ივანიშვილთან.

„ARANAIRI DAPIRISPIREBA AR ARSEBOBS“

„ჩემი ამოცანები სხვა არის, თუმცა ვიტყვი, რომ არის სფეროები, სადაც მეც მაღალი დონის პროფესიონალი ვარ“

გია ვოლსკის განცხადებით, მსგავსი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და მას, უბრალოდ, ახალ ინტრიგად აფასებს...

გია ვოლსკი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– დავით უსუფაშვილის შემთხვევაში ჩვენ ძალიან მაღალი დონის პროფესიონალთან გვაქვს საქმე, როგორც თავის გუნდში, ასევე მთელ კოალიციაში.

– ანუ გამორიცხულია?

– მე ვარ ფრაქციის თავმჯდომარე, სულ ახლახან დავიკავე ეს პოსტი, საქმეს თუ დასჭირდა, შეიცვლება ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი. მაგრამ არ სჭირდება და, შესაბამისად, გამორიცხულია. რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ის ვნებათაღელვას წარმოშობს და ქვეყანას მოარყევს. დღეს არ არსებობს საფუძველი ამისთვის. საქართველო სერიოზული გამოწვევების წინაშეა და, შესაბამისად, ფიქრიც სწორედ ამ მიმართულებით მიდის და არა პოლიტიკური ცვლილებებისკენ. ვფიქრობ, რომ ძალთა ბალანსი, რომელიც უმრავლესობის სახით დღეს პარლამენტშია შექმნილი, უთანასწოროა, რადგან ნაციონალებმა მაინც მოახდინეს ფალსიფიცირება. ეს დღევანდელ პარლამენტს ეტყობა. საერთოდ, ფაქტია, რომ რამდენჯერაც საქართველო აჩქარდა და ფაციფუცის რეჟიმში გადაიყვანა პოლიტიკა, იმდენჯერ ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყანა, გინდა საგარეო საფრთხეების აცილების თვალსაზრისით და გინდა, წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც. სწორედ ასეთმა რყევებმა, აჩქარებებმა მოუტანა ზიანი ქვეყანას. შესაბამისად, იგივე აღარ უნდა გავაკეთოთ. პარლამენტმა ძალიან კარგი ერთი წელი გაიარა. ნაკლზე თუ ვისაუბრებთ, ალბათ, ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ, რაც გავაკეთეთ, იმის გასაჯაროება ნაკლებად მოხდა. ვფიქრობ, შემდეგი 2-3 წელიც ისე გაფრინდება, რომ ვერც კი შევამჩნევთ და პარლამენტიც ძალიან მომზადებული შეხვდება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს. ჯერ კიდევ არ არსებობს საფუძველი, ქვეყანა ამ ეტაპზე იმისთვის ემზადება, რომ ჰყავდეს ძალიან ძლიერი და პოლიტიკური ძალების მიერ ობიექტურად დაბალანსებული პარლამენტი. ახლა რომ არჩევნები ჩატარდეს, ეს ემოციურ ფონზე ჩაივლის და არასწორი შედეგი დადგება. ემოციები უნდა დაცხრეს და 2016 წელს საქართველოს ეყოლება მაღალპროფესიონალური პარლამენტი, გაცილებით მაღალპროფესიონალური, ვიდრე დღეს ჰყავს. ვფიქრობ, დღევანდელი შემადგენლობიდან ბევრი იქნება კვლავ წარმოდგენილი.

– რამდენად შესაძლებელია, რომ მომავალ პარლამენტს თქვენ უხელმძღვანელოთ?

– ყველა ადამიანს თავისი სფერო აქვს, მოქმედების, მუშაობის. ჩემი პროფესიონალიზმის არეალი არ სწვდება იმ ცოდნასა და პროფესიონალიზმს, რა ცოდნაც პარლამენტის თავმჯდომარეს სჭირდება, ან თუნდაც პირველ მოადგილეს. პარლამენტის თავმჯდომარის ყოველდღიურ მუშაობას რომ დააკვირდეთ, მიხვდებით, რა დონის პოლიტიკოსთან გვაქვს საქმე. ასეთი პროფესიონალიზმის ხარისხი საქართველოში ბევრს არ აქვს, მათ შორის არც მე. ასე რომ, ამ კუთხითაც ვერ გამოვდგები კონკურენტად, ჩვენ ძალიან კარგი თავმჯდომარე გვყავს. ჩემი ამოცანები სხვა არის, თუმცა ვიტყვი, რომ არის სფეროები, სადაც მეც მაღალი დონის პროფესიონალი ვარ.

– სალომე ზურაბიშვილმა სოციალურ ქსელში მერობის სასურველ კანდიდატად დაგასახელათ ...

– მე და სალომე ზურაბიშვილი ნათესავები ვართ, ჩემი დიდი ბაბუა და სალომეს ბაბუა დეიდაშვილები იყვნენ. მას ჩემ მიმართ პოზიტიური განწყობა აქვს და ამან განაპირობა მისი მოსაზრებაც. ეს წმინდა ადამიანური განცხადება იყო, მე ასე ვთვლი. თუმცა ბოლო პერიოდში პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა. თუმცა ადამიანური განწყობა არ დაგვიკარგავს.

– ძალიან ბევრს საუბრობენ შიდა დაპირისპირებაზე, ისიც ითქვა, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შესაძლოა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს...

– იმის საშუალება არ არსებობს, თორემ ობიექტურად განწყობილი ჟურნალისტების დასწრება რომ შეიძლებოდეს ერთი დღის განმავლობაში გუნდის მუშაობის პროცესზე, თუნდაც მთავრობის სამუშაო პროცესზე რომ იყოს შესაძლებელი დაკვირვება, ან პარლამენტის სამუშაო პროცესზე, ყველა დარწმუნდებოდა, რომ არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. რომ შეიძლებოდეს ნახვა, როგორი სამუშაო გარემოა კოალიციის სუბიექტებს შორის, ყველა კითხვას მოხსნიდა მსგავსი ექსპერიმენტი. საკმაოდ შეკრული, საქმიანი და ხშირ შემთხვევაში ახლო მეგობრული ურთიერთობაა გუნდში. ბუნებრივია, არიან ძალები, ვისაც მსგავსი ინფორმაციის გავრცელება აწყობს. პოლიტიკურად როდესაც ორი, სამი და რამდენიმე სუბიექტია კოალიციაში, ბუნებრივია, მათ შორის დაპირისპირების თემას კონკურენტები გამოიყენებენ. ცდუნება იმისა, რომ ვისაუბროთ სხვადასხვა მინუსებზე, რომელიც შეიძლება მთავრობას ან პარლამენტს ჰქონდეს, ბუნებრივია, არსებობს. ეს მომგებიანია ოპოზიციისთვის. წარმოიდგინეთ, კოალიციაში არის ექვსი სხვადასხვა ხასიათის ლიდერი, ბუნებრივია, ოპოზიციისთვის ეს პოლიტიკური სპეკულაციების თემა ავტომატურად შეიძლება გახდეს. მართალი გითხრათ, მე ის უფრო გამიკვირდებოდა, ოპოზიციას ეს რომ არ გამოეყენებინა. საერთოდ, გამჭვირვალობა განაპირობებს შეკითხვებს. ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო კითხვებს.

„ARCHEVNEBI, ES EMOCIURI FONZE CHAIVLIS DA ARASWORI SEDEGI DADGEBA. EMOCIEBI UNDA DACXRES DA 2016 WELS SAQARTVELOS EYOLEBA MAGALPROFESIONALURI PARLAMENTI, GACILEBIT MAGALPROFESIONALURI, VIDRE DRES HYAVS“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ვასაძე არჩევნების და მხარს გიორგი მარ

რა ხმები გავრცელდა ბიზნესმენ რაინდზე

რა უნდოდა ვასაძეს ივანიშვილთან, ან რა ინტერესები ჰქონდა თავად ბიძინას. როგორც ამბობენ, ამჯერად მათ ურთიერთობები აღარ აქვთ, განსაკუთრებით, მარგველაშვილთან ივანიშვილის დაპირისპირების შემდეგ...

ქეთი ხატიაშვილი

თითქმის ყველა სტატუსს ირგებს, პოლიტიკურის გარდა. დიდი გავლენები აქვს, ფართო კავშირები და საკმარისი ფული იმისთვის, რომ ბიზნესმენის, რაინდისა და რეგენტის შემდეგ პოლიტიკოსიც გახდეს. დიდი ხანია პოლიტიკაში მის შემოსვლაზე საუბრობენ. ერთ-ერთი ინფორმაციით, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ლევან ვასაძე 2016 წლისთვის დაიჭერს თადარიგს.

ყოველთვის ამბობს, პოლიტიკაში არ ვმონაწილეობო, თუმცა ყოველთვის ჩნდება იქ, სადაც პოლიტიკაა. პოლიტიკა კი უკვე ყველგან არის.

მოკლედ, ასეა თუ ისე, მისი პოლიტიკური პროექტი, როგორც ჩანს, მაინც გიორგი მარგველაშვილის დასაყრდენი გახდება. მარგველაშვილისა და ეკლესიის იმ ნაწილის, რომელიც შარშან, 17 მაისს, ტაბურეტებით დარბოდნენ „ელჯიბიტეების“ დასარბევად. შემდეგ თავად ლევან ვასაძეც გამოჩნდა რუსთაველზე და ტაბურეტიან მამაოებს მხარი დაუჭირა.

ლევანი ნამდვილად დაჩრდილავს ნინო ბურჯანაძეს. პრორუსულ ორბიტაზე ის ახალი ფიგურა იქნება. ჯერ ზურაბ ნოღაიდელის კარტი „გაიჭრა“, შემდეგ – ნინო ბურჯანაძის. პოლიტიკა ორივემ წააგო და ლევანი, როგორც ჩანს, მაინც „ჯოკერია“. თუმცა, ნაციონალები მას კომიკურ ფიგურას უფრო ადარებენ.

ასე რომ, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, სავარაუდოდ, ახალი პოლიტიკური ფიგურა გვეყოლება.

ლევან ვასაძე ყოველთვის აფიშირებს საკუთარ კავშირებს ილია მეორესთან, გიორგი მარგველაშვილთან, ადრე ბიძინა ივანიშვილთანაც.

საპატრიარქოსთან მას ეგრეთ წოდებული სამეფო კარის შექმნის პროექტი აკავშირებს. ბიძინა ივანიშვილთან – გიორგი მარგველაშვილი. რაინდის განმარტებით, პრეზიდენტთან ის უკვე 35 წელია მეგობრობს:

– გიორგი მარგველაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია, უახლოესი. მე ნამდვილად არ ვმონაწილეობ ოფიციალურად მის საარჩევნო კამპანიაში. უბრალოდ, ერთხელ მესტიაში ვიყავი ჩასული, როდესაც პატრიარქი ჩაბრძანდა ტაძრის კურთხევაზე. ერთხელ ვიყავი საჩხერეში, ჩემს დედულეთში წავედით ერთად სენაკიდან, სადაც ჩემი მოძღვარი ვნახეთ. არავითარი ღრმა ჩანაფიქრი ამაში არ არის. მე და გიორგი ერთად ვართ 35 წელია.

მაშინ სწორედ ასე დაიძვრინა თავი პოლიტიკისგან. თუმცა, ლევან ვასაძე და გიორგი მარგველაშვილი ერთად ნახეს საარჩევნო კამპანიის დროს.

ლევან ვასაძეს მრავალმხრივი პროფილი აქვს, „მეფის“ გვერდითაც ჩნდება და პრეზიდენტის გვერდითაც, ილია მეორის კარზეც მიღებული ფიგურაა და ახალ ხელისუფლებასთან ერთადაც გარკვეულ პროექტებს ახორციელებს.

გასაკვირი არ არის, რომ NDI-ს პოლიტიკურ რეიტინგებში ვასაძე გამოკითხულთა 16%-ს მოსწონს. ეს კვლევა 2013 წელს ჩატარდა. შემდეგ ბევრი კითხვა გაჩნდა, რატომ მოხვდა პოლიტიკურ გამოკითხვაში ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელიც მუდმივად იმეორებს, რომ პოლიტიკა მას არ აინტერესებს. ეს კითხვა თავად ვასაძესაც გაუჩნდა მაშინ:

– ჰო, ვიღაცამ მითხრა. წარმოდგენა არ მაქვს, იქ როგორ მოვხვდი. მე არ ვიცნობ NDI-ს კვლევებს. სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ.

თუმცა, ვასაძე პოლიტიკას მჭიდროდ დაუკავშირეს. შესაძლოა, მარგველაშვილის გამო. მაშინ ხმაც დაირხა, ლევანი პრემიერ-მინისტრი გახდება, ბიძინა ივანიშვილი სწორედ მას დაასახელებს საკუთარ მემკვიდრედო, მაგრამ შეცდნენ.

„თუ რამე შეიცვლება, გამოვალ და ვიტყვი პოლიტიკაში წასვლის შესახებ. არ ვეძებ პოპულარობას, კერძო ცხოვრებით ვცხოვრობ. ისე ხდება, რომ ხანდახან მიწევს გამოჩენა პოლიტიკოსებთან, მედია ამას ამჩნევს და ხდება ინტერპრეტაცია. ხან პრემიერობის კანდიდატად მასახელებენ, ხან მერობის. დამიჯერეთ, პოლიტიკა არ მაინტერესებს“, – ჭორების პასუხად ამბობდა ვასაძე.

თუმცა, ის არამხოლოდ ჩნდება, პოლიტიკურ შეფასებებსაც აკეთებს ხოლმე. შესაძლოა, ამიტომაც დაუკავშირეს მისი სახელი პოლიტიკურ ამბიციებს. „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ ფარგლებში საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე თქვა:

– ჩვენთვის უდიდესი სიახლეა ასეთი ყურადღება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან. აწ განსვენებულ პოლიტიკურ რეალობაში ვერც კი ვიოცნებებდი ასეთ გამოხმაურებასა და ყურადღებას, – ასე ლევან ვასაძემ წასული ხელისუფლება გალანძღა და ახალი შეამკო. ის რამდენიმე პროექტს ახორციელებს ახალ ხელისუფლებასთან ერთად:

„დემოგრაფიული აღორძინების ფონდში“, რომელიც 2013 წლის 16 ივლისს დაარსდა, ვასაძე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

თანაინვესტირების 6-მილიარდიან ფონდში, რომლის პრეზენტაციაც 2013 წლის 30 სექტემბერს შედგა, ის ამ კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია

და, ამავდროულად, თანადაფინანსების ფონდის კონსულტანტი. ვასაძე თანაინვესტირების ფონდში კაპიტალით არ შესულა.

საჯარო რეესტრში უკვე დარეგისტრირებულია კომპანია „ჯი-სი-ეფ პარტნიორები“, რომლის მიზანია ფონდებისა და ინვესტიციების მართვა და საკონსულტაციო მომსახურება. ამ კომპანიაში 16%-იან წილს ფლობს ლევან ვასაძე.

„ნეტგაზეთმა“ ლევან ვასაძის რუსულ და ქართულ ბიზნესებზეც გაამახვილა ყურადღება:

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲐᲮᲚᲐᲛᲓᲔᲒ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲕᲔᲚᲐᲛᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲡ

„ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚ ᲓᲐ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲠ ᲕᲔᲫᲔᲑ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ. ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲠᲔᲗ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ“

ᲠᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

1992-93 წლებში ის საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის „დემოკრატიისა და აღორძინების“ ფონდში გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. რუსულ მედიასთან ვასაძე განმარტავს, რომ ფონდში მხოლოდ ინგლისურის კარგი ცოდნის გამო მოხვდა.

1995-97 წლებში ვასაძე აშშ-ში Sector Capital, Creditanstalt Investment Bank-ში ფინანსურ მენეჯერად მუშაობდა. 1998 წლიდან ის მოსკოვშია და ფინანსურ კონცერნ „სისტემაში“ საქმიანობს, 2001 წელს ამ კონცერნის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო 2006 წელს კომპანიის აქციები ლონდონის ბირჟაზე გააქვს.

ვასაძე „ნეტგაზეთთან“ საუბარში ამბობს, რომ „სისტემიდან“ 7 წლის წინათ წამოვიდა:

„რუსეთში მაქვს საინვესტიციო კომპანია, რომელიც აბანდებს კაპიტალს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. თანაინვესტირების ფონდის მსგავსი. ერთ-ერთი ასეთი ინვესტიცია განვახორციელეთ ზოომაღაზიების საცალო ვაჭრობის ქსელში“.

ვასაძემ საინვესტიციო ფონდი Prometeus capital partners-ი მოსკოვში 2010 წელს დააარსა. ფონდის მონაწილეობით განხორციელებული საშუალო გარიგება 50 მილიონი აშშ დოლარია. მასთან ერთად ფონდს სააფთიაქო ქსელ 36,6-ის მფლობელი გიორგი ჩქარეული და მოსკოვში ცნობილი იურიდიული ფირმის მენეჯერები, ოლეგ ანკინი და ტომ კოსკო მართავენ. ფონდმა იყიდა ზოომაღაზიების ქსელი „ბეთჰოვენი“ და „ზოობუმი“ და ვეტერინარული პროდუქციის დისტრიბუციას ეწევა.

ᲕᲐᲡᲐᲫᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ბიზნესმენი „ნეტგაზეთთან“ საუბარში ამბობს, რომ საქართველოში ოჯახთან ერთად 2009 წელს დაბრუნდა. ვასაძეს ჰყავს მეუღლე ნინო დურგლიშვილი და 7 შვილი.

მისი კაპიტალის შესახებ ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემი არ იძებნება. ჟურნალმა „ფინანსებმა“ ვასაძის ქონება 2006 წელს 35 მილიონ დოლარად შეაფასა.

ის საკუთარი კაპიტალის მოცულობას არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ მისი მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტირება:

„საქართველოში მაქვს კომპანია „ბაგრატიონი 1882“ და ცქრიალა ღვინოების წარმოება. მევენახეობა, ეს არის ჩემი ძირითადი პროექტი. საქართველოში ძირითადად სოფლის მეურნეობასა და მეღვინეობაში ვარ ჩართული. მიმაჩნია ძალიან პატრიოტულ და მნიშვნელოვან საქმედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის და კულტურისთვისაც. ბევრი საქმე გავაკეთე ამ სფეროში და უფრო მეტს ვგეგმავ. ვარ კიკეთის „იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის“ დამაარსებელი და მმართველობის წევრი“.

ლევან ვასაძე საქართველოს რაგბის კავშირის მმართველობის წევრიცაა, აშშ-ის ემორის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის სტუმარი ლექტორი საერთაშორისო ბიზნესში. ყოველწლიური საქველმოქმედო სპორტული მოტორალის ლონდონი-თბილისის თანათავმჯდომარეა ინგლისის ერლლორდ პატრიკ ჯეიმს კლანუილიამთან ერთად. აგრეთვე, არის ყოველწლიური საქველმოქმედო „ქართული მეჯლისის“ დამფუძნებელი და მეურვეთა საბჭოს წევრი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲘᲯᲔᲑᲘ

ლევან ვასაძე წერილების წერითაც არის დაკავებული. ლექსების შემდეგ ამ ჟანრში გადავიდა. მისი მთავარი პოლიტიკური მესიჯებიც აქ იკითხება. ნინო ბურჯანაძის მსგავსად, მისი ხაზიც ნაციონალების განადგურება, სამართლიანობის აღდგენა და ანტიდასავლური კურსია. ბუნებრივია, მას

გულშემატკივრები მმართველ კოალიციაშიც ეყოლება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში – ნაკლებად, პარლამენტში – უფრო მეტად. მაგალითად, იგივე მრეწველებს უფრო მეტი საერთო ვასაძესთან აქვთ, ვიდრე ღარიბაშვილთან. თუმცა, ეს სხვა ისტორიაა. ახლა კი მისი მესიჯები. დასკვნები თავად გააკეთეთ:

„დასავლეთს არ აქვს უფლება, ქვეყნის სუვერენულ პროცესებში ჩარევისა და თუ ის სამართლიანი და დემოკრატიულია, რატომ ვერ უნდა გაიგოს ჩვენი სიმართლე?“

„რა სამართალზე ვაპირებთ, დავაფუძნოთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, თუ მოსახლეობას ვთავაზობთ ამხელა უსამართლობის ჩაყლაპვას?“

ამონარიდი ლევან ვასაძის წერილიდან „სამართლიანობის აღდგენა“:

„რა სამართალზე ვაპირებთ, დავაფუძნოთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, თუ მოსახლეობას ვთავაზობთ ამხელა უსამართლობის ჩაყლაპვას? ვის უნდა მერე ასეთი რამის ჩამყლაპავი მოსახლეობის მთავრობად ყოფნა? რის შექმნას შეძლებს ასეთი ეროვნული გვამი მომავალში, რომელი ქვეყნის გამთლიანებას და რომელი სამშობლოს დაცვას?

რატომ არ შედგა „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც რეპრესიული, ანტიეროვნული და დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის სასამართლო პროცესი აქამდე, რა, დასავლეთი არ გვაძლევს უფლებას? ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია, თუ ის არის ჭიაყელა რესპუბლიკა, რომელსაც ელჩები და დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები მართავენ დღემდე? განა ჩვენ თვითონვე არ ვახდენთ დასავლური სისტემის მართლა კარგი და მისაბაძი მხარეების დისკრედიტაციას დასავლეთის ასეთი მითოლოგიზაციით საქართველოში? ჯერ ერთი, დასავლეთს არა აქვს უფლება, ქვეყნის სუვერენულ პროცესებში ჩარევისა და თუ ის სამართლიანი და დემოკრატიულია, რატომ ვერ უნდა გაიგოს ჩვენი სიმართლე?

და თუ ის არ არის სამართლიანი და დემოკრატიული, მაშინ რაღას ნიშნავს საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ? დასავლეთს ძალიან სჭირდება

საქართველო ამ რეგიონში, იქნებ არანაკლებ, ვიდრე საქართველოს – დასავლეთი. ამიტომ ჩვენი კანონები დავიცვათ, სამართალი აღვადგინოთ და იმედია, კანონის მოყვარული დასავლეთიც გაგვიგებს. თუ სააკაშვილის კორუმპირებული რეჟიმის მიერ ანგაჟირებული რამდენიმე დასავლელი პოლიტიკოსი არ შეწყვეტს ჭიჭყინს დასავლურ პრესაში, სასამართლოებში მათაც გავცეთ პასუხი. მაგალითად, აშშ-ში მოქმედებს კონგრესის მიერ ჯერ კიდევ გასულ ათასწლეულში მიღებული Foreign Corrupt Practices Act, რომელიც უცხოურ კორუფციაში მხილებული ამერიკელი მოქალაქეების სისხლის სამართლის პასუხისგებას ითვალისწინებს ამერიკული კანონმდებლობით. მსგავსი სამართლებრივი ნორმები არსებობს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოშიც.

ეს აქტები და ნორმები ამ განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებმა ჩვენს დასაცავადაც მიიღეს და მათი გამოყენების ძალიან ფართო და ეფექტური პრაქტიკა არსებობს. ჰოდა, გამოვიყენოთ ისინი“.

ლექსების, წერილების, რაინდობისა თუ რეგენტობის ფონმა ლევან ვასაძეს იმიჯს უფუჭებს. მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა მაინც. მას ხან კომიკურ ფიგურას უწოდებენ და ხან საკუთარ თავზე შეყვარებულს. ასეა თუ ისე, მაინც ბევრი კითხვა გაჩნდა, რა უნდოდა ვასაძეს ივანიშვილთან, ან რა ინტერესები ჰქონდა თავად ბიძინას. როგორც ამბობენ, ამჯერად მათ ურთიერთობები აღარ აქვთ, განსაკუთრებით, მარგველაშვილთან ივანიშვილის დაპირისპირების შემდეგ.

ალბათ, იმიტომაც გაჩნდა ეჭვები, რომ ლევან ვასაძე შექმნის პარტიას, რომელიც გიორგი მარგველაშვილს ვერტიკალზე სხვადასხვა დაპირისპირებების დროს დაეხმარება.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

არჩევნების წინ იშლებიან ხოლმე ნაციონალებიც, ოღონდ ამჯერად, ამბობენ, რომ არჩევნების შემდეგ დაიშლებიან...

დაპირისპირებები „ნაციონალებში“ და

ქეთი ხატიაშვილი

მოკლედ რომ ვთქვათ, ვითარება ასეთია: კოალიცია „ქართული ოცნება“ ელოდება – როდის დაიშლებიან ნაციონალები, ნაციონალები ელოდებიან – როდის დაიშლება კოალიცია.

მმართველი პარტია დარწმუნებულია, რომ ნაციონალებში ერთმანეთთან შეუთავსებელი ადამიანები არიან. წლებია უკვე საუბარია, რომ ბოკერია მიდის, უგულავას პრობლემები აქვს, მერაბიშვილისა და ახალაიების კონფლიქტი ხომ, საერთოდ, უკვე ლეგენდად იქცა, სააკაშვილი ხან თავად შლის საკუთარ პარტიას, ხანაც ფართო პროდასავლურ კოალიციას ქმნის.

მეორე მხრივ, საუბრობენ მმართველ კოალიციაში არსებულ პრობლემებზეც. ყველაფერი რესპუბლიკელების დემონიზაციის მცდელობით დაიწყო და საქმე შეთქმულებამდე მივიდა, რომელსაც 5 მინისტრი მოაწყობს. შეთქმულთა შორის არიან ალასანია, წულუკიანი, ფანჯიკიძე, პეტრიაშვილი, ანუ ალასანიას გუნდი და სანიკიძე – მარგველაშვილის პროტეჟე. მოკლედ, პოლიტიკური ინტრიგები და კულუარები ისეთია, ბრაზილიური და თურქული სერიალების სცენარისტებსაც შეშურდებათ. ცუდია, რომ საქართველოში პოლიტიკაზე სკეტჩებს არ დგამენ.

ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ სკეტჩად შეიძლება სწორედ ამ შეთქმულების დასახელება. ნაციონალებში ასეთივე პოპულარობით ისარგებლებდა სკეტჩი დაკითხვებზე, ბურჯანაძის შემთხვევაში – სამართლიანობის აღდგენა. მოკლედ, ყველას თავისი პოლიტიკური „პეიზაჟი“ აქვს.

არჩევნების წინ კოალიციის წინააღმდეგ რამდენიმე თემა აგორდა: ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკის შემდეგ საქართველოსაც ტოვებს და კალაძესა და ღარიბაშვილს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა. ღარიბაშვილის შეფასებით, ამ ჭორებს ნაციონალები განგებ ყრიან ამომრჩევლის დასაბნევად. ანუ, პრემიერის განმარტებით, ოპოზიციის ტაქტიკა ასეთია: აჩვენოს როგორი არეულობაა მმართველ გუნდში, რომ ბიძინა თუ მიდის, ამ ხელისუფლებას პატრონიც არ ეყოლება და შესაბამისად, რა საჭიროა, მას ხმა მისცე. მით უფრო, თუ გუნდს რეიტინგული ალასანია და წულუკიანიც დატოვებენ. და ვინღა დარჩება?

ირაკლი ღარიბაშვილმა ამ „პიარხრიკზე“ კომენტარი მთავრობის სხდომაზე გააკეთა და განმარტა, რომ გუნდში ყველაფერი რიგზეა და რომ არავინ გადატრიალებას არ გეგმავს და შეთქმულება არ არსებობენ: ძალიან მაინტერესებს, რომელი მინისტრი აპირებს გადადგომას ან გადატრიალების მცდელობას, – იკითხა პრემიერმა და მინისტრთა კაბინეტს გადახედა. საინტერესოა, რომ დარბაზში იმ დროს არც ალასანია იყო, არც წულუკიანი და არც ფანჯიკიძე. სამივე მათგანი მივლინებაში იმყოფებოდა.

„დაპატიმრებების მასშტაბები შეუდარებელია. ახლა პრემიერ-მინისტრი ციხეშია, რამდენიმე მინისტრი ციხეშია“

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერი:

– „არავითარი სამთავრობო ცვლილება, გადაადგილება და სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება. სამთავრობო ცვლილებებსა და მინისტრების გადადგომასთან დაკავშირებით ჭორებს 6%-იანი „ნაციონალური მოძრაობა“ აგორებს... ძალიან მაინტერესებს, რომელი მინისტრი აპირებს გადადგომას ან გადატრიალების მცდელობას. მეეჭვება, ჩვენს გუნდში იყოს ოთხი თუ ხუთი მოღალატე. მოღალატეებს საკადრისი პასუხი გაეცემათ, მაგრამ ძალიან მარტივი გასაგებია ეს სპეკულაციები. მათი მთავარი მიზანია, მოსახლეობაში შეიტანონ გარკვეული დაძაბულობა, არასტაბილურობის განცდა გააჩინონ და განწყობა გააუარესონ. საზოგადოებაში ძალიან პოზიტიური განწყობაა. მოსახლეობის 70%-ზე მეტი ძალიან ოპტიმისტურად უყურებს საქართველოს მომავალს და ჩვენი ხელისუფლების მიერ აღებული კურსი ბოლომდე იქნება მიყვანილი. მე ამას გპირდებით მთელი ჩვენი გუნდის სახელით და პირადად მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ არავითარი ცვლილება, გადაადგილება და სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება. ეს არის „ნაციონალური მოძრაობისა“ და იმ ადამიანების სპეკულაციები, რომლებიც მათი ე.წ. აგენტი ჟურნალისტები არიან და ამ ჭორებს მარტივად და პროფესიონალურად ავრცელებენ“... ბატონი ბიძინა ივანიშვილი არათუ მიდის, არამედ ის საქართველოში დარჩა მაშინ, როდესაც ყველაზე რთული და სახიფათო, სარისკო იყო მისთვის საქართველოში დარჩენა, მაგრამ მან ეს გააკეთა, გადადო სიცოცხლე და შეასრულა ის, რასაც ვერავინ შეასრულებდა. ეს არის რეალობა, რომელსაც ყველამ თვალი უნდა გავუსწოროთ და ყოველთვის დიდი პატივისცემით ვაღიაროთ. ვინც არის გაქცეული ქვეყნიდან, ძალიან კარგად ვხედავთ. ეს არის 6%-იანი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, ბატონი სააკაშვილი, რომელიც გუშინ სკაიპით საოცრებებს საუბრობდა. მოვუწოდებ, ჩამოვიდეს და ელაპარაკოს ხალხს იმ საშინელ დანაშაულებზე, რომელიც 9 წლის გამავლობაში ჩაიდინა მისმა ხელისუფლებამ. მაინტერესებს, რა უნდა ასწავლონ, რა უნდა წააკითხონ ამ ბიბლიოთეკაში. ალბათ, თვითონ დაწერს წიგნებს, როგორ აწამებდნენ ადამიანებს, როგორ აუპატიურებდნენ, კლავდნენ ქუჩებში და ართმევდნენ ბიზნესებს... მოგიწოდებთ, ყველამ დაასრულოს ამ თემაზე სპეკულირება. უკვე ყველაფერი ცალსახად ითქვა. თქვენგანაც მოვისმინე, რომ ეს არის უძველესი ოქროს მაღარო. არავის დაუმტკიცებია, რომ ამ ადგილას იყო უძველესი ოქროს მაღარო, ეს არ მტკიცდება. რამდენიმე თვის წინ, ექსპერტებმა დადეს დასკვნა, წარუდგინეს მთავრობას, რის საფუძველზეც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება RMG GOLD-ის სამუშა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოღალატეები „ქართულ ოცნებაში“

ოების გაგრძელებასთან დაკავშირებით. მესმის იმ ადამიანების, რომლებიც თითქოს ძეგლის გადარჩენას ცდილობენ. მაგრამ მინდა მათ შევახსენო, ამ ორგანიზაციაში დასაქმებულია დაახლოებით სამი ათასი ადამიანი. კარგად გაითვალისწინონ და გაიაზრონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ დაეკისრებათ, თუ რაიმე შეფერხება შეექმნება აღნიშნულ კომპანიას. მინდა მოგიწოდოთ, როგორც მინისტრს, სასწრაფოდ მოაგვაროთ ეს პრობლემა“.

თითქმის იდენტური პიარხრიკები მოქმედებს ნაციონალების წინააღმდეგაც. ზოგადად, არჩევნების წინ იძლებიან ხოლმე ნაციონალებიც, ოღონდ ამჯერად, ამბობენ, რომ არჩევნების შემდეგ დაიშლებიან. ნაციონალები რომ ტრადიციულად იშლებიან, ამას უკვე მეცხრე წელია ვისმენთ, ისევე როგორც უკვე მეორე წელია იხსნება ჟვანიასა და გირგვლიანის საქმეები და ამას სხვა ახალი საქმეებიც ემატება. მაგალითად, ვალერი გელაშვილის, დავით ახალაიას, რომელიც ახლა დააკავეს საბერძნეთში, და ასე შემდეგ.

გიგი უგულავას განმარტებით:

– დაპატიმრებების მასშტაბები შეუდარებელია. ახლა პრემიერ-მინისტრი ციხეშია, რამდენიმე მინისტრი ციხეშია. პრეზიდენტის დაკითხვა, სრულიად უჩვეულო ფორმით, უვიცმა პროკურატურამ გადაწყვიტა, ამიტომ მოდით, მასშტაბებს ნუ შევადარებთ, ჩვენი 25 ათასი მომხრეა დაკითხული.

მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობიდან“ 2600 ადამიანი, საკრებულოსთან დაკავშირებულ საკითხზე იყო დაბარებული საგამოძიებო ორგანოში:

– დაკავებულია 48 ადამიანი, აქედან 4, რომელიც ახლა დავასახელეთ კანდიდატად. ეს არის დუშეთის პარტიის თავმჯდომარე, ხონის პარტიის თავმჯდომარე. ეს გაგრძელდება, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მიზანი არის ოპოზიციის განადგურება. პროკურორ ფარცხალაძის მოსვლის შემდეგ, მათი მიზანი არის ის, რომ პოლიტიკური ოპონენტები, უბრალოდ, გაანადგურონ.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, სერიოზული დაპირისპირება საკაშვილსა და გიგი უგულავას შორის არის. პოლიტიკური სკეტჩია თუ რეალობა? ნაციონალები ამ ხმებს არ ადასტურებენ. ისევე როგორც არ ადასტურებენ ხმებს იმის შესახებ, რომ კვლევებში მათ 6% აქვთ. ოპოზიციაში მიიჩნევენ, ადგილობრივ არჩევნებში ისინი მეორე პოზიციას დაიკავებენ.

ცალკე თემაა კახა ბენდუქიძე, რომელიც ასევე არჩევნების წინ გაახსენდათ.

– პროკურატურის დღევანდელი ქმედება უფრო შერჩევითი სამართალია, ვიდრე სამართლიანობის აღდგენა. ეს ხელისუფლება ხომ არ იქნება მუდამ? გავა რამდენიმე წელი და შესაძლოა, მაშინ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას იმაზე, რომ ვიღაცამ რაღაცა არ შეასრულა. ჩემი აზრით, სწორი გზა არ არის, ყველა შემდეგი მთავრობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ეცადოს წინა მთავრობის საწინააღმდეგოდ. გეტყვით, რომ 2004 წელს მთავრობაში იყო დისკუსია იმის შესახებ, როგორი ბედი უნდა ეწიოს შევარდნაძეს. მე მაშინ ხელისუფლებაში ვიყავი და ცხადია, ბევრნი არ ვიყავით, ვინც თვლიდა, რომ ქვეყნის ცივილიზებულობა გამოიხატება იმაში, რომ ყოფილ პრეზიდენტებს აქვთ საშუალება, ამ ქვეყნებში იარონ და პოლიტიკური პასუხისმგებლობა მიიღონ, ანუ აღარ იყვნენ არჩეულები. ახლა დამერწმუნეთ, რომ ასე შეიძლება, სხვანაირად ჩავიდეთ დიდგორის ბრძოლამდე და გავასაჩივროთ დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღება.

„არავითარი სამთავრობო ცვლილება, გადაადგილება და სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება. სამთავრობო ცვლილებებსა და მინისტრების გადადგომასთან დაკავშირებით ჭორებს 6%-იანი „ნაციონალური მოძრაობა“ აგორებს...“

დღეს შეიძლება იფიქრონ, რომ ტონობით ფული მიმაქვს „ნაციონალურ მოძრაობაში“. უნივერსიტეტში ვზრდი ხალხს, „ვშტამპავ“ დღევანდელი მთავრობის მოძულეებს და ასე შემდეგ... მე ხომ არ ვიცი, რა წარმოდგენა აქვს ჩემზე მთავრობას.

თუ უკანონობის სიტუაციაში ვიცხოვრებთ, გამოძიება ყველა სიტუაციამდე შეიძლება მივიდეს, თუ კანონიერების გზით ვივლით, როგორ შეიძლება აქამდე მივიდეთ.

ასე რომ, პოლიტიკური სკეტჩი ბევრია. არჩევნებამდე რაც უფრო ცოტა დრო რჩება, მით უფრო იძაბება ვითარება. მით უფრო წონიან და ავტორიტეტული ფიგურების ჩართვას ცდილობენ საკუთარ სარჩევნო კამპანიაში.

„ქართული ოცნებისთვის“ ასეთი ფიგურა, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილია, რომელიც უკვე გამოჩნდა. კომენტარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოფილი პრემიერი კოალიციის ბოლო თავყრილობას მოქალაქის სტატუსით ესწრებოდა.

ნაციონალებმა კი ვაშინგტონ პოსტის სარედაქციო სტატია მიუთითეს, სადაც ნაციონალების დაკითხვები და აღძრული საქმეები პოლიტიკურ დევნად შეფასდა:

„(მოლდოვასთან შედარებით) გაცილებით უსიამოვნო პრობლემებია საქართველოში, სადაც 2012 წლის თავისუფალ არჩევნებში გამარჯვებული მთავრობა აგრძელებს წინამორბედ მთავრობასთან თვითგამანადგურებელ ბრძოლას. თებერვალში, ვაშინგტონში ვიზიტის დროს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიეცა პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის შესაძლებლობა და, აგრეთვე, გაფრთხილებაც მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნის გამო“.

ასე რომ, „სიცრუის მანქანა“ ისევ მუშაობს და გიგა ბოკერია ისევ ხარჯავს მილიონებს ამ მანქანის მართვაში.

„ქართული ოცნება“ კი ისევ საუბრობს კრიმინალ და კორუმპირებულ ნაციონალებზე.

არჩევნები ახლოვდება. როგორც ჩანს, მას საერთაშორისო დამკვირვებლები არ დაესწრებიან. და ეს ის არჩევნები იქნება, რომელსაც საქართველო შიდარესურსით დააკვირდება და დასკვნებსაც ისინი დადებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ დგას EXC დომინირებუ კომპანიების უკ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა უმაღლეს სასწავლებლებს მთელი რიგი პროდუქციის შესყიდვა გაუმარტივა, ჩვენ დავინტერესდით, როგორ იყენებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ საკანონმდებლო ცვლილებას. მკითხველს შევახსენებ, რომ ახალი რეგულაციით, უმაღლეს სასწავლებლებს უფლება მიეცათ, სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო პროდუქცია, ყოველგვარი ტენდერის გარეშე, პირდაპირი შესყიდვის წესით შეიძინონ. ინფორმაციის შეკრების პროცესში, ერთ საკმაოდ საინტერესო ფაქტს გადავაწყდით... შესაბამისი დოკუმენტაციის მოძიებისა და მცირე ჟურნალისტური მოკვლევის შემდეგ კი სერიოზული კანონდარღვევა გამოიკვეთა.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	733277
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B14032949
ამონაწერის მომზადების თარიღი:	26/03/2014 16:21:34

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, საბურთალოს ქ.,7, ბ. 13
საიდენტიფიკაციო კოდი:	202059725
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	06/07/1998
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-1743
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბის რაიონის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01006000670, გიორგი ნიკოლაიშვილი, დირექტორი, ,
- 01009005931, ვახტანგ ლაშხი, დირექტორი, ,

პირადი ნომერი	
სახელი	გიორგი
მამის სახელი	ნოდარი
გვარი	ნიკოლაიშვილი
დაბადების თარიღი	1966-09-03T00:00:00
დაბადების ადგილი	საქართველო, ზესტაფონი
მისამართი	
პირადობის მოწმობის სერია	
მოწმობის გამცემი ორგანო	დიდუბე-ჩუღურეთის შს II განყოფილების სამსახური
გაცემის თარიღი	1995-03-10T00:00:00
მოქმედების ვადა	2015-03-10T00:00:00
მოქალაქეობა	საქართველო
რეგ. თარიღი	1995-03-10T00:00:00
სტატუსი	აქტიური
ფოტოები	ფოტო #1

ჟურნალისტური მოკვლევა, რომელიც შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოს დაინტერესების საგანი გახდეს

დავით კიკალეიშვილი

მოკლედ, საქმე ეხება სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ რამდენიმე ასეული ათასი ლარის ღირებულების აპარატურის შესყიდვას. სამედიცინო მოწყობილობები (მაგ., ტომოგრაფიის აპარატი) განკუთვნილი იყო არა სამეცნიერო კვლევებისთვის, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებების ბალანსზე მყოფი კლინიკებისთვის, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ახალი რეგულაცია არ ვრცელდებოდა და სამედიცინო უნივერსიტეტმაც პროდუქციის შესყიდვაზე ჩვეულებისამებრ ტენდერი გამოაცხადა. ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სულ 9 კომპანია მონაწილეობდა. „პრაიმტაიმმა“ საჯარო რეესტრიდან გამოითხოვა ამ კომპანიების მონაცემები და გაირკვა, რომ 9 კომპანიიდან ორი – შპს „ჯანი“ და შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“ – ურთიერთდამოკიდებულ პირებს წარმოადგენენ. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „ჯანის“ 50 პროცენტს ფლობს შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“, ხოლო, თავის მხრივ, „ჯანის“ დირექტორი ფლობს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიების“ 25 პროცენტს. საჯარო რეესტრის ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ხსენებულმა კომპანიებმა უხეშად დაარღვიეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი და სატენდერო განაცხადის ძირითადი პირობა, სადაც პირველივე წინადადებაში მითითებულია, რომ: „გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად“. ის ფაქტი, რომ ხსენებული კომპანიები ურთიერთდამოკიდებულ პირებს წარმოადგენენ, არსებითად გამორიცხავს მათ მიერ წინადადებების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარდგენას. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მოცემული ტენდერი წარიმართა სრული კონკურენციის დარღვევით. გამოდის, რომ აღნიშნული კომპანიები იმყოფებოდნენ უპირატეს მდგომარეობაში სხვა დანარჩენ პრეტენდენტებთან მიმართებაში, რითაც დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი (მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები).

გარდა ამისა, კანონი კონკურენციის შესახებ პირდაპირ კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. მაგალითად, ამ კანონის მე-11 მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ დაუშვებელია „ეკონომიკური აგენტის (კომპანიის) მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა“.

ამჟამად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ორივე ეს კომპანია დისკვალიფიცირებულია, თუმცა არა არაკეთილსინდისიერი ქმედების, არამედ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამო.

ამოიწურება თუ არა ეს საქმე მხოლოდ დისკვალიფიკაციით და გახდება თუ არა ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოების დაინტერესების საგანი? ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა მკითხველს ვეტყვი, რომ ანალოგიური სქემით ეს ორი კომპანია სხვა ტენდერებშიც მონაწილეობდა და რიგ შემთხვევაში „წარმატებითაც“. სქემა საკმაოდ მარტივია: ტენდერში მონაწილეობის თაობაზე განაცხადს აგზავნის ორივე ეს კომპანია, თუმცა ერთ-ერთი უთითებს საგრძნობლად დაბალ ფასს, რითაც ქმნის კონკურენციის ილუზიას. რაც შეეხება გამოძიებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი ეხება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევას, სადაც ვკითხულობთ:

„შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება თავისთვის, ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე“.

ასე რომ, სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება ტენდერში მონაწილე პირების, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, წინასწარი გარიგება. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება ამ საქმით დაინტერესდება, არა მგონია, გაჭირდეს იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა წინასწარ გარიგებას ადგილი ორ ურთიერთდაკავშირებულ კომპანიას შორის.

სტატიაზე მუშაობის პროცესში გავარკვიეთ, რომ ამ ორი კომპანიის მხრიდან ადგილი აქვს არა მხოლოდ ტენდერში უკანონო მონაწილეობას, არამედ ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნას, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება კონკურენციის მიზნებს. კანონით, კომპანია არის დომინირებულ მდგომარეობაში, თუ მისი საბაზრო წილი 40 პროცენტს აღემატება. სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერი შეეხებოდა სამედიცინო მოწყობილობებს (კოდი 33100000). ჩვენ დავინტერესდით ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულ კოდზე რა რაოდენობის შესყიდვა განხორციელდა. საიტიდან www.tendermonitor.ge ვარკვევთ, რომ სამედიცინო მოწყობილობებზე (კოდით 33100000) ჯამურმა შესყიდვამ შეადგინა 17 081 015 ლარი, აქედან 2 072 550 ლარი მოდის შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ДერეБის სქემას შიფრავს

LUSIVE

...ლი ან?

"ანალოგიური სქემით ეს ორი კომპანია სხვა ტენდერებშიც მონაწილეობდა და რიგ შემთხვევაში „წარმატებითაც". სქემა საკმაოდ მარტივია: ტენდერში მონაწილეობის თაობაზე განაცხადს აგზავნის ორივე ეს კომპანია, თუმცა ერთ-ერთი უთითებს საგრძნობლად დაბალ ფასს, რითაც ქმნის კონკურენციის ილუზიას"

„ჩვენ არ ვარკვევთ კომპანიების ურთიერთდამოკიდებულებას, ყველას სადამფუძნებლო დოკუმენტებს ხომ არ ამოვიღებდით. ეს არის ცალსახად საგამოძიებო ორგანოების საქმე და ალბათ, დაიდება კიდეც კომპეტენტური დასკვნა"

სერვისზე", 5 296 186 ლარი კი – შპს „ჯანიზე". მარტივი არითმეტიკით ამ ორი კომპანიის ჯამური შესყიდვები 33100000 კოდზე შეადგენს 7 368 736 ლარს, ანუ ამავე კოდის 2013 წლის მთლიანი შესყიდვების (17 081 015 ლარი) 43,13 პროცენტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს კომპანიები ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან, როგორც უკვე გითხარით, კომპანია ითვლება დომინირებულად, თუ მისი საბაზრო წილი 40 პროცენტს აღემატება.

ვინ დგას ამ კომპანიების უკან? საჯარო რეესტრის ამონაწერით შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისში" წილები ასე ნაწილდება: მერაბ თევაძე – 16,25%; დავით ლეკიშვილი – 25,00 %; ირაკლი მეტრეველი – 16,25 %; ვახტანგ ლაშხი – 16,25%; ავთანდილ ცინცაძე – 16,25 % და გიორგი ნიკოლეიშვილი – 10%. ეს უკანასკნელი გახლავთ აღნიშნული კომპანიის დირექტორიც. რაც შეეხება შპს „ჯანის"... მისი 50-პროცენტიანი წილის მფლობელი გახლავთ ვინმე დავით ციცქიშვილი, 50 პროცენტს კი შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი" ფლობს. „ჯანის" დირექტორად მითითებულია დავით ლეკიშვილი, რომელიც, თავის მხრივ, მეორე კომპანიაში ფლობს 25-პროცენტიან წილს.

„პრაიმტაიმი" შეეცადა, კომპანიის წარმომადგენლებთან დაკავშირებას. ჩვენ დავრეკეთ შპს „ჯანის" სახელზე რეგისტრირებულ ნომერზე, თუმცა მოვხვდით „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებში". ანუ ესეც კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ეს ორი კომპანია ფორმალურადაც და არაფორმალურადაც, ურთიერთკავშირშია. ჩვენი თხოვნის შემდეგ კომპანიის ოპერატორმა „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და სერვისის" დირექტორთან, გიორგი ნიკოლაიშვილთან გადაგვრთო.

– ბატონო გიორგი, შესყიდვებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ... როგორც ვიცი, თქვენ მონაწილეობდით სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში...

– დიახ.

– თქვენთან ერთად, მონაწილეობდა კომპანია „ჯანიც" ხომ?

– დიახ, თუმცა არამხოლოდ „ჯანი", კიდევ 7 კომპანია მონაწილეობდა.

– მაინტერესებს, ამ ორ კომპანიას შორის არსებობს თუ არა ურთიერთდამოკიდებულება?

– ეს საჯარო ინფორმაციაა და შეგიძლიათ, გადაამოწმოთ.

– დიახ, ჩვენ გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, „ჯანის" დირექტორი ფლობს 25-პროცენტიან წილს თქვენს კომპანიაში... ხოლო, თავის მხრივ, „მოწინავე" ფლობს 50 პროცენტს „ჯანიში"... ნიშნავს თუ არა ეს ურთიერთდამოკიდებულებას?

– თქვენ, რა, მოსამართლე ბრძანდებით?

– არა, მე ჟურნალისტი ვარ, რომელიც სტატიას ამზადებს ამ თემაზე...

– დაწერეთ მერე, რაც არის ფაქტი, ხომ ხედავთ. ეს არ არის ერთი კომპანია, რადგან ორი სხვადასხვა იურიდიული პირია. რას ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულება, ეს სამართლებრივი საკითხია და იურისტებმა უნდა გაარკვიონ და არა თქვენ.

– ურთიერთდამოკიდებულება რას ნიშნავს, ეს კანონში ცალსახადაა გაწერილი და ამას მაინცდამაინც იურისტი არ სჭირდება, ბატონო გიორგი... აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, დაირღვა თუ არა კონკურენციის წესი?

– თქვენ ისეთ რაღაცას მეკითხებით, რომ უკვე არასწორია და არაკორექტული.

– რა არის არაკორექტული?

– მე არ ვწყვეტ, დაირღვა თუ არა. თქვენ ჟურნალისტი ხომ ბრძანდებით? შეკითხვა უნდა დასვათ სწორად და კორექტულად.

– კარგით, მაშინ ვეცდები, სწორად ჩამოგიყალიბოთ კითხვა: „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი", რომლის დირექტორიც თქვენ ბრძანდებით, არის თუ არა კავშირში კომპანია „ჯანისთან"?

– ჩვენ ვართ „ჯანის" დამფუძნებლები და ვფლობთ 50-პროცენტიან წილს.

– როდესაც ეს ორივე კომპანია მონაწილეობს ერთ ტენდერში, ეწინააღმდეგება თუ არა ეს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონს?

– მე ვმონაწილეობ ჩემი კომპანიის სახელით. ეწინააღმდეგება თუ არა ეს, მე არ მეხება. ამას გაარკვევს ან შესყიდვების სააგენტო, ან თავად შემსყიდველი ორგანიზაცია.

– რატომ გადაწყვიტეთ, რომ ორივე კომპანიით მიგეღოთ ტენდერში მონაწილეობა?

– უკაცრავად, მე გადავწყვიტე ჩემი კომპანიის სახელით, იმ კომპანიის, რომლის დირექტორიც გახლავართ.

– ტენდერში თქვენი მონაწილეობა წინასწარ შეთანხმებული გქონდათ თუ არა კომპანია „ჯანისთან"?

– ამ შეკითხვაზე შემიძლია, არ გიპასუხოთ. მე დაგაკავშირებთ ჩემს იურისტს და სჯობს, მას გაესაუბროთ.

ცოტა ხანში ჩვენ მართლაც დაგვიკავშირდა შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და სერვისის" იურისტი დავით კიკალეიშვილი, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ეს ორი კომპანია ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, თუმცა ამის მიუხედავად, მათ ტენდერში მონაწილეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტეს.

დავით კიკალეიშვილი კომპანიის იურისტი:

– დიახ, ეს კომპანიები არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. ეს ფაქტი სახეზეა, რადგან ერთი კომპანია წილობრივად არის მეორე კომპანიის მესაკუთრე. მაგრამ თქვენ თუ გაინტერესებთ ტენდერში მონაწილეობასთან მიმართებაში, გეტყვით, რომ კანონი ამ შემთხვევაში ურთიერთდამოკიდებულებას არ კრძალავს. კანონი კრძალავს იმგვარ მოქმედებას, როდესაც ორი კომპანია არ მოქმედებს დამოუკიდებლად. ანუ როდესაც მათი წინადადებები ერთმანეთთან არის შეთანხმებული. ამ შემთხვევაში ეს ასე არ ყოფილა. გეთანხმებით და ლოგიკურია, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის იყოს ასეთი შეთანხმება, მაგრამ კანონი სწორედ იმიტომ არ კრძალავს ურთიერთდამოკიდებულებას, რომ არის შანსი, რომ წინასწარი შეთანხმება არ იყოს. ამ შემთხვევაში სწორედ ასეა. კანონი მოითხოვს, რომ დეტალურად იქნეს შესწავლილი ყველა წინადადება. გარდა ამისა, ისინი წარადგენდნენ სხვადასხვა კომპანიების პროდუქციას, ვინაიდან თავად არ არიან მწარმოებლები. შესაბამისად, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდნენ ერთმანეთის წინადადებებზე.

„პრაიმტაიმი" დაუკავშირდა სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასაც. ტენდერებზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი პირი, მალხაზ ვებერაშვილი განმარტავს, რომ ორივე ეს კომპანია ნამდვილად დისკვალიფიცირებულია, თუმცა არა ურთიერთდამოკიდებულებისა და წინასწარი შეთანხმების გამო, არამედ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზებისთვის.

„ჩვენ არ ვარკვევთ კომპანიების ურთიერთდამოკიდებულებას, ყველას სადამფუძნებლო დოკუმენტებს ხომ არ ამოვიღებდით. ეს არის ცალსახად საგამოძიებო ორგანოების საქმე და ალბათ, დაიდება კიდეც კომპეტენტური დასკვნა. წინასწარ რომ გვცოდნოდა ამ კომპანიების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, შესყიდვების სააგენტოსთან გავივლიდით კონსულტაციებს და ამის მიხედვით მივიღებდით გადაწყვეტილებას, საერთოდ განგვეხილა თუ არა მათი წინადადებები", – განგვიმარტა მალხაზ ვებერაშვილმა.

„მე ვმონაწილეობ ჩემი კომპანიის სახელით. ეწინააღმდეგება თუ არა ეს კანონს, მე არ მეხება"



ამონაწერი მეწარმეთა და
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	731209
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B14030969
ამონაწერის მომზადების თარიღი:	24/03/2014 13:28:11

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ჯანი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბის რაიონში, დიღმის მას., III კვ., კორპ. 19, ბ.№39
საიდენტიფიკაციო კოდი:	202310542
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	07/02/2006
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2869/002-შპს
მარეგისტრირებელი ორგანო:	ქ.თბილისის საგ. ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01009010108, დავით ლეკიშვილი, დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
01008035824, დავით ციცქიშვილი,	50.00000000%	
202059725, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი,	50.00000000%	

ვალდებულება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI ორბელი

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

ORBELI ORBELI GROUP

100 ლარიანი

ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა არეშიძე: „ფორმალურად ეს მეომრები დაქირავებული ჰყავს არა სახელმწიფო სტრუქტურას, არამედ სლავიანსკის პურის ქარხნის მფლობელს“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

უკრაინისა და მოგვიანებით ამერიკის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ 2008 წელს საქართველოში და ამჟამად უკრაინაში რუსეთის მოქალაქეები იბრძვიან, ბუნებრივია, რუსეთი არ ეთანხმება. მათ ფოტომტკიცებულებების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება აქვთ. როგორც ამბობენ, რუსეთში ოფიციალურ დონეზე ინფორმაცია გავრცელებისთანავე განიხილეს, მედიამ კი მის შესაფასებლად ირონიას მიმართა. „მომაკვდინებელი მტკიცებულებები“ – ასე უწოდეს გავრცელებულ ფოტოებს, სადაც კარგად ჩანს, რომ ერთი და იგივე პიროვნება ჯერ 2008 წელს იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და ახლა ყირიმშია „მივლინებული“. ფოტოს „გმირი“ მალევე გაიშიფრა. ალექსანდრე ვოჟაევი რეალურად არის რუსეთის მოქალაქე, თუმცა თავად კატეგორიულად უარყოფს სურათებზე წარმოდგენილ ადამიანთან კავშირს და აცხადებს, რომ ის პიროვნება ბინ ლადენს უფრო ჰგავს, ვიდრე „ბაბაის“ – ეს ვოჟაევის მეტსახელია. 1990-იან წლებში ვოჟაევი რუსეთის არმიაში მსახურობდა. დღეს კი მასზე ძებნაა გამოცხადებული განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის. „პაბეგში“ მყოფ ვოჟაევს თავის დროზე არაერთხელ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არეულობის შექმნის, სიმთვრალის, ჩხუბებისა და ნარკოტიკების გამო.

ქალაქი სლავიანსკი სწორედ ვოჟაევის დაჯგუფებას უკავია. ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ანტიტერორისტული ოპერაცია სლავიანსკში უკვე ჩატარდა და ქალაქი განთავისუფლდა, თუმცა, მისივე განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ანტიტერორისტული ოპერაცია შეჩერდა და მამუკა არეშიძის განცხადებით, ამ შემთხვევაში უკრაინის ხელისუფლება სწორადაც მოიქცა, რადგან ქალაქის დაკავება რუსი მოხალისეების მიერ განპირობებული იყო ერთადერთი მიზნით: სამოქალაქო დაპირისპირების დროს მომხდარიყო დიდი მსხვერპლი და ეს რუსეთს საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა, ანუ ქალაქში შეჭრის მიზეზი მისცემოდა. თავად ვოჟაევი აცხადებს, რომ სლავიანკის მომიტინგეების ნაცვლად ქალაქი მართლაც რუსეთის წარმომადგენლებს რომ ჰქონდეთ აღებული, ქუჩებში გაცილებით სიმშვიდე იქნებოდა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ადასტურებს, რომ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილე პირები უკრაინაში შენიშნეს. ამის შესახებ ვიქტორია ნულანდმა CNN-ის ეთერში განაცხადა. CNN-მა უკრაინაში რამდენიმე დღის წინ და 2008 წელს საქართველოში გადაღებული ფოტოები აჩვენა, რომელზეც, ჟურნალისტის მტკიცებით, ერთი და იგივე ადამიანია დაფიქსირებული. ეს ნულანდმაც დაადასტურა.

ვიქტორია ნულანდი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში:

– ვფიქრობ, აბსოლუტურად ნათლად გამოვხატეთ ჩვენი შეშფოთება იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში დესტაბილიზაციის შექმნაში რუსეთის ხელი ურევია. ეს ნათლად დააფიქსირეს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა კერიმ. თქვენც ახლა აჩვენეთ ფოტოგრაფიული მტკიცებულებები. მათზე ის წვერიანი მამაკაცი ჩანს, რომელიც აქამდე რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტი იყო საქართველოში. ახლა კი ის აღმოსავლეთ უკრაინაში გამოჩნდა“, – აღნიშნა ნულანდმა.

მამუკა არეშიძის განცხადებით, ვოჟაევი სლავიანსკის პურის ქარხნის მფლობელს ჰყავს დაქირავებული ობიექტების დაცვის მიზნით. თუმცა ეს ოფიციალური მიზეზი უფროა და ბუნებრივია, რეალური მიზანი აბსოლუტურად სხვა რამეა.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობას უკრაინის ტერიტორიის მთლიანობის დარღვევაში. საქართველოშიც რომ ასევე იქცეოდა რუსეთი, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედებებას რუსეთი კატეგორიულად უარყოფს. თუმცა ჩემთვის ინფორმაცია, რომ ეს ადამიანები მაინცდამაინც რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები იყვნენ, არადამაჯერებელი იყო, რადგან რუსეთის აგენტები ასეთი გარეგნობით, ასეთი შესამჩნევი შეხედულებებით არ გამოირჩევიან ხოლმე მაინცდამაინც. გარდა ამისა, ისინი საკუთარ გარეგნობას ხაზს არ უსვამენ ხოლმე. არც ღიად არ პოზირებენ ტელეკამერებთან. ამ პიროვნებას კი საერთოდ მხარზე ეკეთა „გრუ“-ს სპეცდანიშნულების რაზმის „ღამურების“ ნიშანი. ეს არის ალექსანდრე მოჟაევი, რომელიც წარმოშობით კრასნოდარის მხარის, ბელორეჩენსკის რაიონიდანაა. თავად ეს პიროვნება კატეგორიულად უარყოფს საქართველოში ყოფნას. თუმცა მისი იდენტიფიცირება მოხდა და დადასტურდა, რომ ის იყო უკრაინაშიც და გორშიც. მაგრამ არის მეორე ვარიანტიც. არ არის გამორიცხული, რომ ორი სხვადასხვა ადამიანი უბრალოდ ჰგავს ერთმანეთს. ითქვა, რომ მეორე ადამიანი არის არა რუსი, არამედ ჩეჩენი, ჩეჩნურ ბატალიონ „აღმოსავლეთიდან“, გვარად ბილინხანოვი. ბუნებრივია, ამის დადგენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინის შემთხვევაში, რადგან ეს ადამიანები ასეთი ტიპის შეიარაღებით შემთხვევით და რუსეთის ნებართვის გარეშე უკრაინის ტერიტორიაზე ვერ მოხვდებოდნენ. ამ საქმეში ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის. თანაც ეს ადამიანი მარტო არ არის. კრასნოდარის მხრიდან კაზაკების რაზმია, რომელიც, სულ მცირე, ასი კაცისგან არის დაკომპლექტებული. ყველა მათგანი რუსეთის მოქალაქეა და, პრინციპში, სწორედ მათ აქვთ დღეს ქალაქი სლავიანსკი დაკავებული.

– ამის დამტკიცებით უკრაინას რა ბერკეტები მიეცემა?

– რუსეთი მაინც არ აღიარებს საკუთარ ჩარევას, მიუხედავად მტკიცებულებების გავრცელებისა და მიუხედავად იმისა, რომ ამ დაჯგუფების ნახევარზე მეტის სახელი და გვარი უკვე დადგენილი და ცნობილია. რუსეთის ფედერაციის საბჭოს სხდომაზეც კი ითქვა, რომ რუსეთის წარმომადგენლები იმყოფებიან იქ, აქამდეც მივიდა საქმე, მაგრამ არც პუტინი და არც ლავროვი ამას არ აღიარებენ. მაგრამ მათ აღიარებას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, ჰაგის სასამართლოში უკვე შევიდა მოთხოვნა საქმის დაწყების თაობაზე, რომ რუსეთის დაქირავებული მეომრები იბრძვიან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ფორმალურად ეს მეომრები დაქირავებული ჰყავს არა სახელმწიფო სტრუქტურას, არამედ სლავიანსკის პურის ქარხნის მფლობელს. ის ერთ-ერთი მდიდარი ადამიანია ამ ქალაქში. ფორმალურად მან ეს ტერორისტები საკუთარი ობიექტების დასაცავად დაიქირავა. თუმცა ისინი უკვე პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობენ.

„ჰაგის სასამართლოში უკვე შევიდა მოთხოვნა საქმის დაწყების თაობაზე, რომ რუსეთის დაქირავებული მეომრები იბრძვიან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე“

– და ამ ბიზნესმენს ჰქონდათ მათი დაქირავების უფლება?

– პრინციპში, ამის უფლება ჰქონდა, რადგან, როდესაც ობიექტის დაცვაზეა საუბარი, საერთაშორისო კანონმდებლობა ასეთ საკითხებს ითვალისწინებს. საერთაშორისო გასამხედროებული ორგანიზაციები ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს, ისინი მსხვილი საფინანსო ორგანიზაციების მიერ არიან ხშირად დაქირავებულები. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოში არსებობს და უნდა ითქვას, რომ დნეპროპეტროვსკის გუბერნატორმა იგივე მიზნით ამერიკელები დაიქირავა. ასე რომ, ასეთი ტენდენცია უკრაინაში ნამდვილად არის, თუმცა დნეპროპეტროვსკში მყოფი ამერიკელები პოლიტიკაში არ ერევიან, სლავიანსკის შემთხვევისგან განსხვავებით.

– თუმცა გამოდის, რომ, რადგან დაქირავებულები არიან, ვერავინ შეედავებათ?

– საწყის ეტაპზე, სამართლებრივი თვალსაზრისით ისინი დანაშაულს სჩადიან, რადგან ერევიან უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეს არანაირად არ შედის მათ მოვალეობაში და მით უფრო, არ აქვთ ამის უფლება, როგორც დაქირავებულებს და გარდა ამისა, ისინი შეიარაღებულები არიან საბრძოლო ტიპის იარაღით, რომელიც დაცვას არანაირად არ სჭირდება. მათ აქვთ ისეთი შეიარაღება, რომელიც პურის ქარხნის დასაცავად ნამდვილად ზედმეტია. უკრაინის კანონმდებლობით, ეს ადამიანები ითვლებიან ტერორისტებად და ამიტომ ისინი კანონგარეშე არიან გამოცხადებულები, მათ ლიკვიდაციაზე ბრძანებაა გაცემული.

– თქვენ თქვით, რომ მათი რიცხვი დაახლოებით ასია, შეიძლება რომ რეალურად გაცილებით მეტნი იყვნენ?

– შეიძლება, რა თქმა უნდა. ცნობილია, რომ, სულ მცირე, ასი კაცია.

ჟურნალისტ ვასიკო სილაგაძის დასახმარებლად სპეცნომერი ამოქმედდა

ჟურნალისტ ვასიკო სილაგაძეს, რომელიც წლების წინ ავტოკატასტროფაში მძიმედ დაშავდა, გერმანიაში სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად 7600 ევრო სჭირდება.

დღეიდან ვასიკო სილაგაძის დასახმარებლად „მაგთის“ და „ბილაინის“ აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ ნომერზე - 0901700116. ზარის ღირებულება 1 ლარია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თიბისი ბანკის“ ახალი იპოთეკური სესხი ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით

ეკოლოგიურად სუფთა გარემო, უცხოური სამშენებლო მასალით ნაშენი თანამედროვე არქიტექტურული საცხოვრებელი ბინები და საუკეთესო ფასები... რამდენიმე დღის წინ, „ლისი ვერანდას“ ტერიტორიაზე, „თიბის ბანკისა“ და „ლისი დეველოპმენტის“ ერთობლივი პროდუქტის პრეზენტაცია გაიმართა. ეს არის „თიბისი ბანკის“ ახალი იპოთეკური სესხი, რომელიც შემუშავდა სპეციალურად „ლისი დეველოპმენტის“ კლიენტებისათვის და რომლის საპროცენტო განაკვეთი 0-დან 8,44%-მდეა, კერძოდ, სესხი უპროცენტოა 15 თვის ვადის შემთხვევაში, ხოლო 5-წლიანი სესხის წლიური პროცენტი, სტანდარტულზე ბევრად დაბალი - 8.44%-ია.

საცალო სესხების გაყიდვების სამსახურის უფროსი ნინო ყაჭეიშვილი: „თიბისი ბანკმა“, „ლისი დეველოპმენტთან“ ერთად საინტერესო პროდუქტი შექმნა. ეს პროდუქტი, მომხმარებლებს მისცემს შესაძლებლობას, რომ ხელმისაწვდომი იყოს „ლისი ვერანდას“ უმშვენიერესი ბინები. მოგეხსენებათ სტანდარტულად, იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი 11%-ს შეადგენს. ამიტომ ახალი სესხი ლისი ვერანდის მომხმარებლისათვის ძალიან მოგებიანი და კონკურენტუნარიანია.

- რა დანაზოგს მიიღებს მომხარებელი, თიბისი ბანკის ახალი იპოთეკური პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში?

- მაგალითისათვის 65 კვ.მ ფართის სახლი რომ ავიღოთ და შევადაროთ სტანდარტული სესხის პირობებს, ახალი სესხით სარგებლობის შემთხვევაში მომხმარებელი ჯამურად დაზოგავს 4 116 აშშ დოლარს, რაც საკმაოდ დიდი თნხაა..

„ლისი ვერანდა“ ლისის ტბასთან ახლოს, გოძიაშვილის ქუჩის მიმდებარედ (112-ის შენობის უკან) მდებარეობს. ეს არის სრულიად ახალი, ეკოლოგიურად სუფთა დასახლების კონცეფცია, მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონითა და თანამედროვე დახვეწილი არქიტექტურით. „ლისი დეველოპმენტის“ საცხოვრებელი კომპლექსი 355 ჰექტარზე გაიშლება. შენობები მწვანე ტერიტორიის მხოლოდ მესამედს დაიკავებს, დანარჩენი კი უნიკალური ფლორა და საგანგებოდ გაშენებული ბაღები იქნება. შეგახსენებთ, რომ „ლისი ვერანდა“, განსაკუთრებულია კლიმატური პირობებით, თერმული წყლებით და თვალწარმტაცი ხედებით მთელ თბილისზე. ამას განაპირობებს დაგეგმარების პრინციპი - განაშენიანების დაბალი სიმჭიდროვე და არაუმეტეს 4 სართულის სიმაღლის შენობები. აქვეა ახლად აშენებული იპოდრომიც. „ლისი ვერანდა“ კომპანია „ლისი დეველოპმენტის“ პროექტია. ის საქართველოში პირველი დეველოპერული კომპანიაა, რომელიც ასეთ ფართომასშტაბიან პროექტს ახორციელებს. პროექტის პირველი ეტაპი მოიცავს 4 000 მ2-ის ფართობის პარკს, საცურაო აუზს და ფიტნეს დარბაზს. საცხოვრებელ კომპლექსს მოემსახურება 24-საათიანი დაცვა და კონსიერჟი. „ლისი დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორის, ნოდარ ადეიშვილის განცხადებით, „ლისი ვერანდაზე“ საცხოვრებელი სამი ძირითადი ტიპი შენდება. 1. დაბალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. 2. „თაუნჰაუსები“ - საქართველოში სრულიად ახალი სტილის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საკუთარი ეზოთი. 3. ვილა ინდივიდუალური პროექტებითა და საკუთარი ეზოთი.

ნოდარ ადეიშვილი, „ლისი დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი: - აქ, შენობები ტერიტორიის მხოლოდ მესამედს დაიკავებს, დანარჩენი კი ფლორა და საგანგებოდ გაშენებული ბაღები იქნება. ყველა ხე, რომელიც ამ ტერიტორიაზე დაირგო, გახლავთ იტალიიდან ჩამოტანილი და მათი უმრავლესობა საქართველოში მანამდე არ იყო. გვინდა, რომ სპეციალურად სხვა გარემო შევქმნათ ამ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ყველა სახლი არის თბოიზოლაციით გაკეთებული, რაც ზამთარსა და ზაფხულში, ნაკლებ ელექტროენერგიის მოხმარებას გულისხმობს.

ამ ეტაპზე დასრულებულია 120-ზე მეტი ბინის, 16 „თაუნჰაუსის“ და 2 ვილის მშენებლობა. მიმდინარეობს 19 დუპლექსის სტილის და 8 სტუდიოს ტიპის ბინების მშენებლობა. როგორც „ლისი დეველოპმენტის“ კომერციული დირექტორი ზურა ჭარბაძე ამბობს, „ლისი ვერანდაზე“ ყველა სახლი ენერგოეფექტურია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამშენებლო მასალების ხარისხს და მათ ეკოლოგიურ თვისებებს.

ზურა ჭარბაძე, „ლისი დეველოპმენტის“ კომერციული დირექტორი: - საცხოვრებელი კომპლექსის ფარგლებში გვაქვს, სამი განსხვავებული ტიპის პროდუქტი. აპარტამენტები - რომელიც წარმოადგენს ოთხსართულიან საცხოვრებელ ბინებს. საცხოვრებელ აპარტამენტებში, ერთი კვადრატული მეტრის ფასი, განისაზღვრება მინიმალური 1 180 -იდან, 1 300 აშშ დოლარამდე. მეორე პროდუქტი - ეს გახლავთ „თაუნჰაუსები“, რომელიც წარმოადგენს ორსართულიან, კერძო, დამოუკიდებელ საცხოვრებელ სახლს. მესამე პროდუქტი გახლავთ საცხოვრებელი ვილა, რომელიც განთავსებულია 800 კვადრატული მიწის ფართობზე.

პროექტის მომდევნო ფაზა, 2014 წლის მაისში დაიწყება და ითვალისწინეს 48 000 მ2-ის მშენებლობას და გულისხმობს 260 საცხოვრებელ ერთეულს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცხოვრება ქუჩაში - მოწყალების სათხოვნელად

„ვისაც მართლა უჭირს, იმას სახეზეც ეტყობა, განიცდის, რცხვენია. აქ ბავშვებსაც ნახავთ, მათი მშობლების უმრავლესობა ლოთია. ეს ბავშვები იმათხოვრებენ, მერე იმ ფულით სიგარეტს, სასმელს ყიდულობენ. ეს მეორდება ყოველდღე. მე განა ყოველდღე ვმათხოვრობ? მეც ხომ ადამიანი ვარ? ხანდახან სახლში ვარ, დღეში 12-15 ლარს ვაკეთებ, სხვა გზა არ მაქვს“

„ზოგიერთი ბავშვს „თხოულობს“ და ისე მათხოვრობს, მე ჩემი შვილიშვილი დამყავს“

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

აზა ჯერ მხოლოდ 55 წლისაა, უბედური შემთხვევის შედეგად სახლი დაეწვა, ორი შვილიშვილი და ერთი შვილი გარდაეცვალა. ქირით ცხოვრობს, თავს კი მათხოვრობით ირჩენს. მისი არეალი მეტროთი შემოიფარგლება. ვაგონიდან ვაგონში გადადის და მოწყალებას ითხოვს. ხან მარტოა, ხანაც – შვილიშვილთან ერთად. ამჯერად, ვაგონში, რომელშიც მე ვიმყოფებოდი, შვილიშვილთან ერთად შემოვიდა.

მორიგ გაჩერებაზე ერთად ჩავედით და მეორე ვაგონში შესვლა არ დავაცადე, ვთხოვე, რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა.

„ერთი წელია, რაც მეტროში დავდივარ და მოწყალებას ვითხოვ. ბენდელიანზე სახლი მქონდა, მაგრამ დამეწვა, პატარა შვილიშვილი მაშინ დამელუპა. მეორეს, 12 წლის ბიჭს დენმა დაარტყა. ჩემი ერთი ბიჭი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა“, – ამ სიტყვებზე გულზე დაკიდებულ მედალიონს მიჩვენებს, საიდანაც სამი გარდაცვლილის სახე მოჩანს.

„ახლა ქირით ვცხოვრობ, ჩემი ბიჭი, თავის ოჯახთან ერთად, ქირით ცხოვრობს, ჩემი შვილიშვილი ხშირად მომყავს ჩემთან“, – ამის თქმაზე 4 წლის ლაურას თავზე ხელს უსვამს.

– ბავშვთან ერთად რატომ დადიხართ? ბავშვი არ განიცდის, მოწყალების სათხოვნელად რომ დადის?

– ყოველთვის კი არ დამყავს, თვითონ უნდა ბებიასთან ყოფნა, მეც უარს ხომ არ ვეტყვი?!

აზას თქმით, ბოლო დროს პატრულის თანამშრომლები მასავით გაჭირვებულ ადამიანებს მოწყალების სათხოვნელად მეტროში ჩასვლას უშლიან.

ალბათ, ვინც მეტროს ხშირი მგზავრია, მისთვის კარგად ნაცნობი სურათია, ვაგონიდან ვაგონში შემავალი ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც ხშირად ჩვილები ჰყავთ მკერდზე მიხუტებული და მოწყალებას ითხოვენ.

ხშირად, მგზავრების გულმოწყალების ნაცვლად, მათი გულისწყრომაც დაუმსახურებიათ. როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ამ საქმისთვის ბავშვებს სხვებისგან “თხოულობს” და ამაში პატრონს გარკვეულ ანაზღაურებასაც უხდის.

„მე ვიცი რამდენიმე, რომელიც მართლა საკუთარ შვილთან ერთად მათხოვრობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც „ნათხოვარი“ ბავშვებით დადიან. ვისაც მართლა უჭირს, იმას სახეზეც ეტყობა, განიცდის, რცხვენია. აქ ბავშვებსაც ნახავთ, მათი მშობლების უმრავლესობა ლოთია. ეს ბავშვები იმათხოვრებენ, მერე იმ ფულით სიგარეტს, სასმელს ყიდულობენ. ეს მეორდება ყოველდღე. მე განა ყოველდღე ვმათხოვრობ? მეც ხომ ადამიანი ვარ? ხანდახან სახლში ვარ, დღეში 12-15 ლარს ვაკეთებ, სხვა გზა არ მაქვს“. – ამბობს აზა.

იმ ფაქტს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ხშირად ამრეზით უყურებს ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გამოსულ ბავშვებს, თავისი ახსნა მოეძებნება, რომელიც არცთუ უსაფუძვლოა. ბევრჯერ გაგვიგონია და ამის შესახებ არაერთი სიუჟეტიც მომზადდა, რომ პატარები, რომლებიც ქუჩაში მოწყალებას ითხოვენ, დღის ბოლოს შეგროვილ ფულს “უფროსებს” აბარებენ, რომლებსაც ეს საქმე ერთგვარ ბიზნესად აქვთ ქცეული.

დანამდვილებით იმის თქმა, რამდენი მიუსაფარი ბავშვია თბილისში, გაჭირდება. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ წლიდან წლამდე მათი რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. ამაზე მეტყველებს, ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამადლოდ ხელგამოწვდილი ბავშვები.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჯერჯერობით ვერაფერს აკეთებს. მათი რიცხვი დღითიდღე საგრძნობლად იზარდება. არადა, სახელმწიფომ, პირველ რიგში, სწორედ ამ კატეგორიაზე უნდა იზრუნოს, რადგან მათი უმრავლესობა მომავალში ხშირ შემთხვევაში კრიმინალად ყალიბდება.

11 წლის გიორგი „საშოვარზე“ ყოველდღე გამოდის. ისიც მეტროს ამჯობინებს. ამბობს, იმდენს აგროვებს, რომ საჭმელსაც ყიდულობს და ფული სათამაშოსთვისაც რჩება.

„ადრე ხატებს ჩამოვურიგებდი მგზავრებს, ზედ სანთელს დავადებდი, მერე ჩამოვუვლიდი ისევ და ფულს ვიღებდი. თუმცა, ამან ბევრი ფული არ მომცა, რადგან ძალიან ბევრი ხატებს უკან მიბრუნებდა. ზოგს ვეცოდებოდი, ხატთან ერთად ხურდა ფულსაც მომცემდა. ერთი მეგობარი მყავს, შემოვა თუ არა კარში, მუხლებზე დაიჩოქებს, სიმღერას დაიწყებს და მერე მგზავრებს ჩამოუვლის. გააჩნია, როგორი დღეა, ხან 20 ლარამდე „ვაკეთებ“, ხანაც – ნაკლებს. ისე, გაჭირვებული ადამიანი უფრო გვაძლევს, ცოტა შეძლებული ქედმაღლურად გვიყურებს. დედა ავად მყავს, მამა არ მყავს, პურის ფულს ვშოულობ, რა“, – ამ სიტყვებზე გიორგიმ მოკურცხლა და ვაგონში შეხტა. ჩვენი საუბარი ამით დასრულდა.

თავისუფლების მოედანზე, ყოფილი „უნივერმაღის“ შენობის წინ, რამდენიმე მეტრის დაცილებით 3-4 ხანშიშესული ხელგამოწვდილი ქალბატონი დილიდანვე გვხვდება. ზოგიერთი შეიძლება შეეჩვია კიდეც მათ ნახვას და ქალაქის შემადგენელ ნაწილადაც აღიქვამს, მაგრამ შეუძლებელია, თვალში არ მოგვხვდეს თავჩაქინდრული, ხელებაკანკალებული, ხელჯოხზე დაყრდნობილი ბაბუ ან ნაგვის ურნასთან ახლოს, პირდაპირ ასფალტზე ნახევრად მიწოლილი ბებია, რომელიც გზას ნაღვლიანად გასცქერის.

„შვილო, განა ყოველთვის მათხოვარი ვიყავი. ცხოვრება ისეთი რაღაცაა, როდის ვინ სად აღმოჩნდება, არავინ იცის. კარგი ოჯახის შვილი ვიყავი, სახლიც მქონდა, მაგრამ ერთ დღესაც ყველაფერი დავკარგე, დამ სახლი გამიყიდა, დავრჩი ასე ქუჩაში. ქირით ვცხოვრობდი, როცა ძალიან გამიჭირდა, ქუჩაში გამოვედი. დღისით აქ ვარ. ზამთარში უფრო ძნელია, ქარი უბერავს, ყინვაში, რამდენ ხანს გაძლებ ცივ ასფალტზე? კი დავაფენ ხოლმე ამ „კარდონებს“, მაგრამ სიცივე მაინც ატანს. ცხელი კერძი რამდენი ხანია, არ მიგემია, კეთილი ადამიანების დახმარებით ვარსებობ. ზოგს ფული არ აქვს, ზოგს არ ემეტება, ჩემ გვერდით საცხობია, იყიდიან, ისე ჩამივლიან გვერდზე, თითქოს ჩემს ნაცვლად ძაღლი გდიაო. ზოგიერთს კი, ეტყობა, რომ გაჭირვებულია, მაგრამ გაჩერდება, გაცვეთილი ქურთუკის ჯიბეს მოიქექავს და ათთეთრიანს მოგცემს. ჩემი ყველა დღე ერთნაირია, შუბინდებამდე აქ ვარ, მერე მივდივარ, მივეგდები და მეორე დილიდან ისევ აქ ვარ“, – მიამბობს მარგო ბებო.

წელს, ძლიერი ყინვების დროს, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მოსკოვის გამზირზე სახელდახელო თავშესაფარი გამართეს უსახლკაროებისთვის. სპეციალურ კარვებში დღე-ღამეში დაახლოებით 240-მდე უსახლკაროს უზრუნველყოფდნენ სანოლით, საკვებით, თეთრეულითა და ტანსაცმლით. მათ შორის იყვნენ ბავშვებიც, თუმცა, მცირე რაოდენობით.

სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, ლილოში გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე უსახლკაროებისთვის თავშესაფარი აშენდება, სადაც 240 უსახლკარო იცხოვრებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსაზღვრებით, ქუჩის ბავშვებისთვის „ქუჩა“ არის მათი სახლი ან ცხოვრების წყარო. მათ არ იცავენ ადეკვატურად და არ აქცევენ ყურადღებას პასუხისმგებლობის მქონე „ზრდასრულები“. ამ განსაზღვრების მიხედვით, ქუჩის ბავშვი შეიძლება იყოს ქუჩაში მომუშავე, სკოლიდან გაგდებული მოსწავლე ან უსახლკარო მოზარდი.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ქუჩაში მომუშავე და უსახლკარო მოზარდები მრავლად არიან. ამაში თავადაც დავრწმუნდი რეპორტაჟის მომზადებისას. ზოგიერთი თავის ყოფას მტკივნეულად განიცდის, ზოგიც კი უკვე მიჩვეულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აირჩიეთ სასცენებო მოგზაურობა

a>ÜN

10 ლარიანი "მეტი" – 2 ბილეთი
25 ლარიანი "მეტი" – 5 ბილეთი
50 ლარიანი "მეტი" – 10 ბილეთი

ახასდჩოს ყოფილა ლაპარაკი ასეთი მომგებიანი

ჯეოსელი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Buckswood-ის სკოლა, რომელიც უნიკალურ შანსს გაძლევს

ქეთი ხატიაშვილი

ხშირად გვირჩევენ, როგორი სარეცხი ფხვნილით უნდა გავრეცხოთ სარეცხი, რომ ჩვენი თეთრეული თოვლივით ქათქათებდეს, ხშირად გვირჩევენ, რომელი უთოთი შეიძლება თეთრი პერანგების იდეალურად დაუთოება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ დიასახლისები და ცოლები არ ვართ, ჩვენ დედებიც ვართ და გვაინტერესებს, რომელი სკოლაა უკეთესი, სად იგრძნობს ჩვენი შვილი თავს დაცულად, სად ასწავლიან არა მხოლოდ საგნებს, არამედ ცხოვრებასაც.

სკოლის მთავარი ფუნქცია ჩემთვის მხოლოდ ატესტატის მოცემა არ არის. სკოლამ, ალბათ, უნდა შეიძინოს ის ფუნქციაც, რომ მომავლისთვის მოამზადოს მოსწავლეები. მოგცეს შანსი, გაერკვე, რა გინდა ცხოვრებაში გამოხვიდე, რა გაინტერესებს ყველაზე მეტად, დაგეხმაროს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაში, მოგამზადოს უცხო ენის მძიმე ტესტებში. ჰო, ეს ყველაფერი უფრო მნიშვნელოვანია, როცა არა მხოლოდ დიასახლისი და ცოლი ხარ, არამედ დედაც.

Buckswood-ის სკოლა ჩემთვის სწორედ მომავლის სკოლაა. აქ ბავშვები ცოდნასთან ერთად ბევრ სხვა უნარსაც იძენენ. ეს მრავალფუნქციური სკოლაა. ერთ-ერთი უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც ბავშვებს ეძლევათ, ბრიტანეთის სკოლაში უფასო სწავლაა. უკვე მეშვიდე წელია, საქართველოს Buckswood-ის სკოლის მოსწავლეები ბრიტანეთში მიემგზავრებიან და იქაურ კულტურასა და სასკოლო ცხოვრებას ეცნობიან.

ყოველ სემესტრში 10 მოსწავლე საქართველოს Buckswood-ის სკოლიდან ბრიტანეთის Buckswood-ის სკოლაში სწავლობს, სწორედ ისე, როგორც ბრიტანელი ბავშვები. ორკვირიან ტურს მთლიანად ბრიტანული მხარე ფარავს.

Buckswood-ის დირექტორის არჩილ სუმბაძის განმარტებით, ეს ორკვირიანი კურსი ბავშვებისთვის საინტერესო გამოცდილებაა. მისივე განმარტებით, არ არსებობს ერთი კრიტერიუმი, რომლითაც ბავშვები ბრიტანეთში იგზავნებიან. ერთადერთი, რაც აუცილებელია, კარგი აკადემიური მოსწრება და ინგლისურის კარგად ცოდნაა. სხვა მხრივ, ბავშვი შეიძლება ან რომელიმე კონკრეტულ საგანში იყოს ძლიერი ან არააკადემიურ აქტივობებში საქმიანი ან, უბრალოდ, გამორჩეული. ასე რომ, შანსი ყველას აქვს, შესაძლებლობები თანაბარია და ყველაფერი ბავშვებზეა დამოკიდებული. როცა გრძნობ, რომ შეგიძლია, ასეთი უნიკალური შანსი მოიპოვო, ალბათ, მოტივაცია და სწავლისადმი შენი დამოკიდებულებაც გაცილებით სხვანაირია.

არჩილ სუმბაძე, სკოლის დირექტორი:

– ეს კურსი გულისხმობს რამდენიმე კომპონენტს. თავისთავად, არის ბრიტანული კულტურის გაცნობა, რომელიც მიიღწევა როგორც ადგილობრივებთან ურთიერთობის, ასევე ექსკურსიებითა და სხვა ღონისძიებებში ჩართვით.

ადგილობრივ სკოლაში ბავშვები სრულად ინტეგრირდებიან. ესწრებიან გაკვეთილებს, ერთვებიან ადგილობრივი სკოლის აქტივობებში, როგორც აკადემიურში, ისე არააკადემიურში. და მაქსიმალურად კარგად სწავლობენ იქაურ გარემოს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბრიტანეთიდან დაბრუნების შემდეგ ბავშვებს უჩნდებათ მოტივაცია, ბევრად უფრო ხარისხიანად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, სწავლის მიმართ მათი დამოკიდებულებაც უფრო საქმიანია და აკადემიური ხარისხიც მაღლა იწევს.

– რამდენადაც ვიცი, ბავშვები, რომლებიც ახლა ბრიტანეთში იმყოფებიან, დღიურებს წერენ, სადაც საკუთარ შთაბეჭდილებებს ყვებიან. ხომ არ შეიტანეს მათ კორექტივები თავიანთ შეხედულებებში სკოლის მიდგომებზე?

– დიახ, შეიტანეს, თუმცა არა იმდენად აკადემიურ ნაწილში. ამ მხრივ, ჩვენი ხარისხი საკმაოდ მაღალია. თუმცა, რაც შეეხება არააკადემიურ აქტივობებსა და სასკოლო ცხოვრებას, ბავშვებს ნამდვილად ბევრი კორექტივა აქვთ შეტანილი.

დღიურები – ეს არის შეჯამება მათი შთაბეჭდილებების. ამ დღიურების საფუძველზე ბევრი სხვა ღონისძიება გაგვიკეთებია. ახლაც, გუნდის ხელმძღვანელმა ქეთი მამალაძემ მომწერა, რომ ბავშვებმა გააკეთეს პუნქტების ჩამონათვალი, რა უნდათ, რომ ჩვენს სასკოლო ასამბლეაზე შეცვალონ. ის ტრადიციულად ყოველ პარასკევს იმართება, ბავშვებს უკვე აქვთ საკუთარი მოსაზრებები, როგორ შეუძლიათ მისი გაუმჯობესება.

ეს მათთვის საინტერესო გამოცდილებაა და როგორც წესი, იქ სწავლების კურსი მათზე დიდ გავლენას ახდენს, ბავშვები ძალიან იცვლებიან, უფრო აქტიურები ხდებიან და მოტივაციაც უჩნდებათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნატო 20 წ

ქეთი ხატიაშვილი

ნატოს აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოებას ლამის მესამე მსოფლიო ომი მოჰყვა. ახლა გასაგებია, რატომ არ დამალეს 2008 წლის შემდეგ პუტინმა და მედვედევმა საქართველოსთან ომის რეალური მიზეზი და რატომ თქვეს, რომ რეალურად ამ ომით მათ სწორედ ნატოს რუსეთის საზღვრებთან მიახლოება შეაჩერეს.

როგორც ჩანს, ეს იყო ღია მესიჯი დასავლეთისთვის – ეცდებით უკრაინაში და იქაც ომს მიიღებთო. ძნელი სათქმელია, ვის სჯეროდა და ვის არა, მაგრამ უკრაინაში ომი ნამდვილად დაიწყო. თუმცა, იქ ნატომდე საქმე არც მისულა. როგორც აღმოჩნდა, პუტინს ევროკავშირის გაფართოებაც აღიზიანებს. და საერთოდ, ყველაფერი, რაც ფართოვდება, რუსეთის გარდა, მასში მხოლოდ პოლიტიკურ ზიზღსა და ომის სურვილს იწვევს.

პუტინის განმარტებით:

– როცა გერმანია ჩრდილოატლანტიკურ კავშირში შევიდა, ჩვენ გვითხრეს, რომ ნატო ჩრდილოეთით აღარ გაფართოვდებოდა, თუმცა შემდეგ ამას მოჰყვა ყოფილი „ვარშავის პაქტის“ ქვეყნების კავშირში შესვლა, ამის შემდეგ კი – ყოფილი საბჭოთა კავშირის. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს არ გვეხებოდა, რადგან სახელმწიფოებმა თავად უნდა გააკეთონ არჩევანი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა, როცა სამხედრო კავშირის ინფრასტრუქტურა ჩვენს საზღვრებს უახლოვდება, ჩვენ უფლება გვაქვს, საპასუხო ნაბიჯები გადავდგათ და ჩვენს ამ უფლებას ვერავინ უარყოფს... ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ, თუ ამას (ყირიმი იგულისხმება) არ გავაკეთებდით, უკრაინაც ნატოში აღმოჩნდებოდა და მათი გემები სევასტოპოლში გაჩნდებოდნენ. მისივე თქმით, ასეთ შემთხვევაში რუსეთი შავი ზღვის მნიშვნელოვანი რეგიონის გარეშე დარჩებოდა... (რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების შესახებ) ჩვენ გვეუბნებიან: ეს თქვენს წინააღმდეგ არ არის, თუმცა ამ სისტემების განლაგება ჩვენს სახმელეთო პოზიციერებას ემთხვევა და ამასთანავე, ამერიკელი პარტნიორები უარს ამბობენ, ხელი მოაწერონ იურიდიულ ხელშეკრულებას, რომ ეს არაა ჩვენს წინააღმდეგ.

პუტინი ცდილობს, შეინარჩუნოს ის, რაც პეტრე პირველმა საუკუნეების წინათ მოიპოვა, თუმცა, უკვე 21-ე საუკუნეში ასეთი აგრესიული საომარი მოქმედებებით მას სულ უფრო მეტად ადარებენ ჰიტლერს.

უკრაინაში კი ვითარება კიდევ უფრო მეტად იძაბება. რუსეთი ყირიმის შემდეგ აღმოსავლეთის სხვა რეგიონზეც გადავიდა და ვარაუდობენ, რომ კიევშიც მალე შევა. რუსული ტანკები, კიევის მისადგომებთან უკვე გამოჩნდნენ.

ამ ფონზე დიპლომატიური კავშირები რუსეთსა და ამერიკას შორის შეჩერდა. პუტინის განმარტებით, დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე ფიქრობს, რაც ურთიერთობებს უკვე შეუძლებელს ხდის. მოსკოვის განმარტებით, პუტინი ობამას ზენოლის ფონზე არ დაელაპარაკება. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განმარტებით, შეერთებულ შტატებს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ შეუჩერებია და ეს რუსეთის გადაწყვეტილება იყო, რომლის შესახებაც დეპარტამენტში არაფერი იცოდნენ.

არ შედგა არც სერგეი ლავროვსა და ჯიმ კერის შორის სატელეფონო საუბარი. ამერიკა და რუსეთი უკრაინაში შექმნილ კრიზისულ ვითარებას ერთმანეთს აბრალებენ. რეალობა კი სხვაგვარია – უკრაინა თავს ევროპულ სახელმწიფოდ აღიქვამს და არა რუსეთის გუბერნიად.

ამ ფონზე სულ უფრო საინტერესო ხდება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები – მოახლოებული არჩევნები, ევროკავშირის ხელშეკრულების ხელმოწერა ივნისში, ნატოს სამიტი სექტემბერში...

შეერთებული შტატები კი მხარს უჭერს ნატოს სექტემბრის უელსის სამიტზე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებას, მაგრამ ამ საკითხზე ალიანსში კონსენსუსი არ არსებობს, განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის წარმომადგენელმა.

„ქართველებმა კარგად იციან, რომ მათ არ აქვთ კონსენსუსი ალიანსში და მათ მუშაობა აქვთ ჩასატარებელი, რათა დაარწმუნონ, კერძოდ ზოგიერთი ჩვენი დასავლელი მოკავშირე, რომ ისინი იმსახურებენ წევრობის სამოქმედო გეგმას“, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდმა.

მისივე განმარტებით: „ჩვენ მხარს ვუჭერდით მათ, როდესაც ისინი ამის დასაბუთებას ცალკეული მოკავშირეებისთვის ცდილობდნენ“.

ნულანდმა ასევე განაცხადა, რომ საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გზაზე დგას და ეს „გააღრმავებს მის ურთიერთობებს ბევრ ამ ქვეყანასთან; ამრიგად, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამას დადებითი გავლენა ექნება იმაზე, როგორ შეაფასებენ ისინი, არის თუ არა (საქართველო) MAP-ის ღირსი“.

ევროპა აღიარებს, რომ ღირსი ვართ, მაგრამ ჯერ არა. როგორც ჩანს, ევროპა რუსეთის აგრესიას ითვალისწინებს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის განმარტებით, ნატო სათანადო ინსტრუმენტებს გამონახავს:

– რაც შეეხება ნატო-სა და ნატო-ს გაფართოებას, თქვენ კარგად უნდა გაიაზროთ და გაგებით უნდა მოეკიდოთ, რომ ეს კითხვები ნატო-ს გაფართოების კუთხით, ბუნებრივია. ნატო-ს წევრ ქვეყნებში უნდა განიხილოთ. საქართველო და ნატო უახლოვდებიან ერთმანეთს. ნატო აუცილებლად მოიძიებს სათანადო ინსტრუმენტს იმისთვის, რომ მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია

მანამდე აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწემ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში დერეკ ჩოლეტმა განაცხადა, რომ საქართველო „შესანიშნავი პარტნიორია“, რომელიც ამერიკელ სამხედროებთან ერთად იბრძვის ავღანეთში.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ წევრობის სამოქმედო გეგმას“, – განაცხადა მან, „მაგრამ თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ეს ალიანსის გადაწყვეტილებაა; ეს არ არის გადაწყვეტილება, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღოს. ჩვენ მჭიდროდ ვმუშაობთ ჩვენს ქართველ პარტნიორებთან ამ პროცესში და

შტაინმაიერი: „რა მოხდება 10, 15 თუ 20 წლის შემდეგ, ამას ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ. ჩვენ ახლა ვიმყოფებით ასოცირების შეთანხმების გაფორმების წინა სტადიაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლის შემდეგ?

ეს ის საკითხია, რომელიც მომდევნო თვეებში უელსის სამიტის მოახლოებასთან ერთად განხილვის საგანი უნდა გახდეს“.

საქართველოში ოფიციალური პირები დამაიმედებელ განცხადებებს აკეთებდნენ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იტალიას, ესპანეთსა და სლოვაკეთს სტუმრობდა. სამინისტროს განმარტებით, ალასანია თავის კოლეგებს შეხვდა და MAP-ის საკითხი დააყენა. თვის დასაწყისში თბილისს ჰოლანდიის თავდაცვის მინისტრი სტუმრობდა.

მაია ფანჯიკიძე 10 აპრილს ბერლინში თავის გერმანელ კოლეგას ფრანკ ვალტერ შტაინმაიერს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში კი განაცხადა:

– ინტენსიური მსჯელობა მიმდინარეობს იმაზე, რა იქნება საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციის შემდეგი ნაბიჯი. ეს ნაბიჯი რომ იქნება, ფაქტობრივად, ამაზე ვთანხმდებით ყველანი. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება ნატოს ქვეყნებმა, სავარაუდოდ ივნისში უნდა მიიღონ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დარჩენილი თვეები სექტემბრის სამიტამდე გამოყენებული იყოს ამ თემაზე სამსჯელოდ.

რიგი შეხვედრების შემდეგ ირაკლი ალასანიამ განმარტა, რომ „პრაქტიკულად“ არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო იმსახურებს „შემდეგ ნაბიჯს“ ნატოში ინტეგრაციის გზაზე, თუმცა, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, რა იქნება ეს ნაბიჯი:

– ძალიან დინამიკური ორმხრივი ურთიერთობები გავაჩაღეთ იმ ქვეყნებთან განსაკუთრებით, ვისაც არ ჰქონდა საქართველოს მხარდამჭერი პოზიცია 2008 წელს. 2008 წელთან შედარებით აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა, რომელსაც, რაც მთავარია, აღიარებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები – პირველი, საქართველომ გააკეთა ძალიან დიდი ნახტომი (2008 წლის შემდეგ) თავდაცვითი რეფორმების კუთხით; მეორე, საქართველომ შეძლო მშვიდობიანი არჩევნების გზით ხელისუფლების პირველი ცვლილების განხორციელება, რაც ძალიან დიდი წარმატებაა ყველა პოლიტიკური ძალისა და პირველ რიგში, საზოგადოების; მესამე – საქართველო თანმიმდევრულად დემონსტრირებას უკეთებს საკუთარ სწორ პოზიციას რუსეთის ფედერაციასთან დაძაბულობის განმუხტვის.

„სკეპტიკოსთა რიცხვი არა მხოლოდ შემცირდა, არამედ პრაქტიკულად კონსენსუსი არსებობს 28-ვე ქვეყანაში, რომ საქართველო იმსახურებს შემდეგ ნაბიჯს. რა იქნება ინსტრუმენტი, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი, ეს უნდა შეთანხმდეს უახლოეს ორ-სამ თვეში.

დავით უსუფაშვილიც აცხადებდა რომ ევროპაში კონსენსუსი მიღწეულია:

– შევჯერდით იმაზე, რომ სექტემბრის სამიტზე იქნება საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, სასარგებლო გადაწყვეტილება NATO-სთვის და ეს პირველ რიგში განხილული იქნება საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტების მიხედვით.

როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაადასტურეს NATO-ს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ერთგულება საქართველოსთან დაკავშირებით. მისივე თქმით, „თავად NATO-ს კითხვა არ აქვს იმის თაობაზე, აპირებს თუ არა გაფართოებას სამხრეთ კავკასიაში, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია... უბრალოდ, გერმანიას, საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას შესაძლოა, ჰქონდეს დამატებითი კითხვები, არგუმენტები, მოსაზრებები ტაქტიკასთან დაკავშირებით – როგორ უნდა გაგრძელდეს პროცესი და არა კითხვები იმის თაობაზე, უნდა შედგეს თუ არა ეს პროცესი. ორივე მინისტრმა დაადასტურა NATO-ს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ერთგულება საქართველოს NATO-ში გაწევრიანების თვალსაზრისით, მაგრამ კონკრეტულად რა ნაბიჯები იქნებოდა უფრიანი და უფრო ეფექტური, რათა ამ პროცესში საქართველო იყოს უფრო უსაფრთხო და არა უფრო მეტი რისკის ქვეშ, ამაზე საუბარი საჭიროა“.

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ განმარტა:

– ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობის ლოგიკა არის მეტი ინტეგრაცია და მეტი თანამშრომლობა, რასაც მიუთითებს ევროპარლამენტის რეზოლუცია, სადაც პირდაპირ წერია, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი და გამოყენებული უნდა იქნას 49-ე მუხლი. მჯერა, რომ ასეთი ვიზიტებითა და ევროკავშირისკენ სვლის გაგრძელებით საქართველო ბევრად უფრო სწრაფად გახდება ევროკავშირის წევრი, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ამისთვის საჭიროა, ქვეყნის ნორმალური განვითარება, სწორი შიდა განვითარება და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება.

ამ ფონზე საკმაოდ გასკანდალდა გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუ, რომელიც მან პრაღაში ვიზიტის დროს მისცა რადიო „თავისუფლებას“. სოციალურ ქსელებში რუსეთისადმი პრეზიდენტის ლმობიერმა და ოპტიმისტურმა დამოკიდებულებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ისევე როგორც საკამათო გახდა, რა იგულისხმა შტაინმაიერმა, როცა თქვა, რომ 20 წლის შემდეგ რა იქნება, ვერავინ იტყვისო:

– რაც შეეხება ევროპულ ინტეგრაციასა და კანდიდატის სტატუსს, მე ვფიქრობ, რომ ახლა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს და გაიაზროს, ეს არის უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედი და არ უნდა დავივიწყოთ. ხოლო რა მოხდება 10, 15 თუ 20 წლის შემდეგ, ამას ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ. ჩვენ ახლა ვიმყოფებით ასოცირების შეთანხმების გაფორმების წინა სტადიაზე, ხოლო რა მოხდება მომდევნო წლებში, არა მხოლოდ ბრიუსელში, ბერლინში, პარიზში გადასაწყვეტი არის, არამედ მათ შორის საქართველოშიც.

პრორუსებმა ძალებმა მაშინვე თქვეს: ხედავთ, ნატო არ გვიღებს და კარი 20 წლით მიგვიხურესო, პროდასავლემა ძალებმა კი იქვე 2008 წელი გაიხსენეს.

დავით ბაქრაძე: „მახსოვს ჩემი შეხვედრები ბატონ შტაინმაიერთან 2008 წელს, როცა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ვადად სახელდებოდა 10, 15, 20 წელი. მაგრამ ცხოვრება ისე წავიდა, რეალობამ მოიტანა, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა გვექნება“.

ასე რომ, სანამ უკრაინაში ომი მიდის საქართველოც დანაღმულ ველად რჩება. საკმარისია, დასავლეთი ოდავ მაინც მოგვიახლოვდეს, რომ ომი აქაც იფეთქებს.

დავით ბაქრაძე: „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ვადად სახელდებოდა 10, 15, 20 წელი. მაგრამ ცხოვრება ისე წავიდა, რეალობამ მოიტანა, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა გვექნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნუცა ჯანელიძე: „ვფიქრობ, ყოფილი პრეზიდენტის არც ერთ მომღერალსა და მეხოტბეს არ აქვს არსად ბლოკი, არც კორპორაციულ საღამოებში, არც ქორწილებში და არც საკონცერტო დარბაზებში, რაც ძალიან დიდი დოზით გვქონდა ჩვენ“

მაია ჯაბუა: „მე მანუხებს ის, რომ არ არსებობენ ადამიანები, ვისაც კულტურა და კულტურაში არსებული დონე აინტერესებთ“

„ოცდამეერთე საუკუნეში ყველაფერი, რაც ხდება და რაც არ ხდება, პოლიტიკაა“ – კულტურის სფეროს წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ კულტურა პოლიტიკისგან ვერასოდეს განთავისუფლდება. შესაბამისად, მუდმივად იარსებებს ტერმინები: იმისიანი და ამისიანი. ეს შოუბიზნესის წარმომადგენლებს ყველაზე მეტად აკომპლექსებთ, რადგან საკუთარი კოლეგების ტელეგამოსვლების ათვლას სწორედ ამ დეტალით იწყებენ და ასრულებენ. დაპირისპირებებიც ძირითადად ამ მიმართულებით ხდება ხოლმე.

ნაციონალების დროს კულტურის სფეროში ყველაზე დიდ პრობლემად „დაბლოკილთა სია“ ითვლებოდა. მომღერლებისა და მსახიობების ერთი ნაწილი გამუდმებით ცდილობდა ამ სიის დადგენას, მეორე ნაწილი კი ირწმუნებოდა, რომ წარმატებული კარიერა ნიჭისა და დიდი შრომის შედეგად ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში ადვილად მიღწევადი იყო.

დღეს კულტურის სფეროს ყველაზე ორიგინალური შეფასება წინა ხელისუფლების ეგრეთწოდებულმა დაბლოკილმა მომღერალმა გააკეთა. მაია ჯაბუას განცხადებით, დღეს კულტურის სფერო იმდენად თავისუფალია, რომ ის არც კი არსებობს. გურამ ოდიშარია ცალსახად სუსტ მინისტრად ფასდება. მისი შეცვლის არათუ აუცილებლობას, არამედ ვალდებულებას ამავე სფეროს ყველაზე დაპირისპირებული მხარეებიც კი აღიარებენ. თუმცა რამდენად შეიცვლება ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება მინისტრის შეცვლით, ეს კიდევ სხვა საკითხია. ფაქტია, რომ დღევანდელ რეალობაში ნიკოლოზ რაჭველს პრობლემები შეექმნა. უფრო სწორად კულტურის სამინისტრომ მას დროულად არ გამოუყო დაპირებული თანხა. პრობლემა უკვე მოგვარებულია, თუმცა დიდი ძალისხმევის შედეგად. მინისტრის მოადგილის, მანანა ბერიკაშვილის განცხადებით, სამინისტრომ მაქსიმალური გააკეთა ნიკოლოზ რაჭველისა და მისი ორკესტრის დასახმარებლად. თუმცა თავად რაჭველის განცხადებით, ისინი, უბრალოდ, სამართლიანობის დაწესებას ითხოვდნენ და მეტს არაფერს.

ნიკოლოზ რაჭველი:

– ოთხი თვე ამაოდ ველოდებოდით დანაპირების შესრულებას და ჩვენი მუსიკალური ცენტრისთვის მათ მიერ გამოძებნილი თანხის გამოყოფას, სხვა კოლექტივების პირობებთან გათანაბრებისთვის, მაგრამ გარკვეული ბიუროკრატიული თუ სხვა მიზეზების გამო, საკითხის მოგვარება გაიწელა. 180 ადამიანი ელოდებოდა მათ მოქმედებას და შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მათ სრულებით არ აღელვებთ ეს, არადა, მგონი, მათი პირდაპირი მოვალეობაა, ჩვენზე, ორკესტრზე, კაპელაზე, თეატრებზე, მოცეკვავეებზე, მხატვრებზე, მხერლებზე, კინემატოგრაფისტებზე ზრუნვა.

ნიკოლოზ რაჭველის პროტესტს ავტომატურად მოჰყვა მისივე კოლეგების მხრიდან მკაცრი კრიტიკა. ერთ-ერთი პირველი დავით ოქიტაშვილი იყო, რომელიც ნაციონალების კრიტიკაში ბევრს ეჯიბრება.

დავით ოქიტაშვილი:

– ვერ გავიგე, ნიკა მემანიშვილს კულტურის სამინისტრო პროკურატურა ჰგონია? რომელი ხელისუფლების მხარდამჭერიც იყო, სწორედ მათ პირობებში აიძულებდნენ ინტელიგენციას ქვეყნის დატოვებას. ნიკა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ფლაგმანი, რომელიც ყველა საარჩევნო ღონისძიებას სათავეში ედგა. როცა ნაციონალები ქვეყანას ანგრევდნენ, ხალხს ხოცავდნენ და აუპატიურებდნენ, მაშინ ის სტადიონზე იჯდა და დირიჟორობდა. ახლა თავისი განცხადებებით ცდილობს, დაჩაგრულის მანტია მოისხას. მე მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ძალიან უნდა ამ მთავრობის დისკრედიტაცია. არადა პირიქით, კულტურის სამინისტრომ ბევრ რამეზე დახუჭა თვალი მასთან მიმართებაში. მისი საქართველოდან გაძევება რომ ნდომოდათ, მთავრობის შეცვლისთანავე მოახერხებდნენ როგორმე. კულტურის სამინისტროში მუშაობს მისი ბავშვობის მეგობარი, მანანა ბერიკაშვილი, რომელიც ამას არასდროს დაუშვებს.

შეიძლება კრიტიკა ოქიტაშვილის მხრიდან გულწრფელია, მაგრამ ფაქტია, რომ მის მიმართ და, მით უფრო, მისი კრიტიკის მიმართ საზოგადოებაში პატივისცემა ნაკლებად არის. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ყველას და თანაც კარგად ახსოვს ოქიტაშვილის მაღალი თანამდებობები კულტურის სამინისტროსა და მერიაში სწორედ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს. სხვათა შორის, ოქიტაშვილს, როგორც მაღალჩინოსანს, დეკლარაცია უკანასკნელად 2009 წელს აქვს შევსებული, სადაც გარკვევით ფიქსირდება მისი, როგორც ერთ-ერთი დეპარტმანეტის ხელმძღვანელის, საკმაოდ სოლიდური ხელფასი. შესაბამისად, „მძიმე ცხრაწლიანი რეჟიმის შეფასებისას“ ერთადერთი კითხვა ჩნდება – როდის აეხილა მას თვალი და როდიდან გადაწყვიტა, რომ ნიკოლოზ რაჭველი „დაჩაგრულის მანტიას“ ისხამს...

ოქიტაშვილი ერთადერთი არ არის, ვინც კულტურის სფეროში დაძაბულ ურთიერთობებს ქმნის, თანაც რაჭველთან მიმართებაში. ასეთივე და კიდევ უფრო უარეს დამოკიდებულებას აფიქსირებს საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანამშრომელი, ვახტანგ კუპრაშვილი და ამაზე პირდაპირ სოციალურ ქსელში საუბრობს. თუმცა კუპრაშვილი გაბოროტებულ ადამიანს უფრო ჰგავს, ვიდრე ობიექტურ შემფასებელს. ალბათ, მასაც დაუგროვდა თავისი წილი გაღიზიანება გასული ცხრა წლის განმავლობაში...

დავით დეფი: „ვფიქრობ, კულტურის სამინისტრო, არაფრის კეთებაში მაგრად დაოსტატდა“

ვახტანგ კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანამშრომელი: „ისე, ვისაც ნიკუშა გიყვართ, ურჩიეთ, რომ, სანამ დროა, გაქრეს ამ ქვეყნიდან და წავიდეს თუნდაც ევროპაში, რომ იქნებ იქ მაინც ისწავლოს დირიჟორობა... თორემ ძალიან ცუდად მიდის უკვე მაგის საქმეები და სუფთა ადამიანურად ცოდოა, პირდაპირ გეტყვით, მეცოდება იმიტომ რომ განდიდების მანია სჭირს მაგას და დაბნეულია, გვერდით რომ აღარ ჰყავს ცოცხთაყვანისმცემლები“...

საბედნიეროდ, საკუთარ კოლეგებზე ბევრი არ ფიქრობს ასე. მაგალითად,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„კულტურის სფერო იმდენად თავისუფალია დღეს, რომ ის საერთოდ არ არსებობს“

დავით ოქიტაშვილი: „ვერ გავიგე, ნიკა მემანიშვილს კულტურის სამინისტრო პროკურატურა ჰგონია?“

„ფორტეს“ წევრს, ნუცა ჯანელიძეს მიაჩნია, რომ ნებისმიერმა ხელისუფლებამ რაჭველისნაირ ნიჭიერ ადამიანს შელავათი უნდა გაუწიოს...

ნუცა ჯანელიძე, ანსამბლი „ფორტე“:

– შეხედეთ „ცეკვავენ ვარსკვლავებს“, შეხედეთ „ორ ვარსკვლავს“, ერთის წამყვანი ლელა წურწუმია და დუტა სხირტლაძე არიან, მე არ ვეხები მათ შემოქმედებით მხარეს. ხომ არიან ეთერში? ხალხი ხომ უყურებს? ზოგს მოსწონს და ზოგს – არა, ეს სხვა თემაა, მაგრამ ხომ არ არიან დაბლოკილები? „ორ ვარსკვლავში“ ეკა კახიანის სიმღერები შესრულდა და ყველამ მოისმინა, ეკრანზე „კრუპნად“ გამოჩნდა. ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემები ხომ გადის? მე მისი გადაცემები ძალიან მომწონს. ვინმეს აკლია გამოჩენა, გინდა წკრიალაშვილს, სოფო ნიჟარაძეს, არავის არ აკლია გამოსვლა. ახლა ავიღოთ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ – წამყვანი ისევ დუტაა. ავიღოთ „GDS“ – იქაც დუტა გამოდის გადასარევად, ძალიან კარგ შეფასებებს იღებს და ნამდვილად ვერ ვატყობ, რომ დაჩაგრულია.

– ნიკოლოზ რაჭველთან მიმართებაში რა მოხდა, როგორ ფიქრობთ?

– ეს ნამდვილად ძალიან მწყინს, რადგან მე ნიკას ძალიან დიდ პატივს ვცემ და მართალი გითხრათ, არ ვიცი, მისი დაჩაგვრა რაში გამოიხატებოდა, არ გამიგია, მართალი გითხრათ. ნიკა ჩემთვის არის ძალიან ნიჭიერი და რა პერიოდიც არ უნდა იყოს, ღმერთმა დაიფაროს, თუ მაინცდამაინც სისხლის სამართლის დანაშაული არ ექნება ჩადენილი, მის ნიჭიერებას ცოტა შეღავათი უნდა გაუკეთონ, რა მთავრობა და რა ეპოქაც არ უნდა იყოს.

– თქვენი შეფასებით, კულტურის სფერო აბსოლუტურად თავისუფალია პოლიტიკისგან?

– აბსოლუტურად არ ვიცი, მაგრამ იგივე სტეფანე რომ ავიღოთ, რომელიც „X Factor“-შია, „ვოისის“ წევრი იყო ტელეკომპანია „იმედზე“... როგორც ვიცით, „იმედი“ იყო სააკაშვილის მიერ დაბლოკილი თუ გაუბედურებული ტელევიზია. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ახლა არავინ არ იჩაგრება, მეტ-ნაკლებობა ყველგან არის, რაც არ უნდა დემოკრატიული ქვეყანა იყოს. ამერიკა ხომ ძალიან დემოკრატიული ქვეყანაა, იქაც კი არის მეტ-ნაკლებად ვიღაცის გულისტკენა, წყენინება და ასე შემდეგ. ასე რომ, მე პირადად ვფიქრობ, რომ ყოფილი პრეზიდენტის არც ერთ მომღერალსა და მეხოტბეს არ აქვს არსად ბლოკი, არც კორპორაციულ საღამოებში, არც ქორწილებში და არც საკონცერტო დარბაზებში, რაც ძალიან დიდი დოზით გვქონდა ჩვენ. დიდი დოზით კი არა, საერთოდ არ არსებობდა ამ ქვეყანაში მაია ჯაბუა, არ არსებობდა „ფორტე“, არ არსებობდა კიდევ ბევრი მომღერალი.

დავით დეფი ბევრად რეალისტია. მას კარგად ესმის, სად არის პრობლემა და რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ საკუთარი ნიჭის რეალიზება მოახდინოს.

დავით დეფი:

– ოცდამეერთე საუკუნეში ყველაფერი, რაც ხდება და რაც არ ხდება, არის პოლიტიკა. ნებისმიერი პიროვნება პოლიტიკაზე მყისიერ გავლენას მაინც ახდენს, თუნდაც სოციალური ქსელით. საქმე ისაა, ვინ რას ირჩევს და ვინ რას ითხოვს. ამიტომ არტისტები იბლოკებიან თუ არ იბლოკებიან, ვფიქრობ, ყველა ვარიანტში უსაგნო ლაპარაკია. არტისტი თავისუფალია, თუ მას ვინმე რამეს უკრძალავს, ის, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის გამოსავალს, რადგან ნებისმიერი შემოქმედისთვის ყველანაირი აკრძალვა, თავისი არჩევანისა და ხელოვნების წარმოსაჩენად კიდევ ერთი საშუალებაა. მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა და არა კატასტროფა. ხომ იცით, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს.

– რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კულტურის სამინისტროს მიმართ არსებული უკმაყოფილება?

– ვფიქრობ, კულტურის სამინისტრო არაფრის კეთებაში მაგრად დაოსტატდა. რას ვიზამთ, ყოველ ჩვენგანს თავისი არჩევანი და საქმე წარმოაჩენს. ტყუილს კი მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ ჭორებით, სიძულვილითა და უვიცობით გამომპალ ქვეყანაში მას ეს ფეხები უკვე კარგად წამოეზარდა.

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ კულტურის სამინისტრო აბსოლუტურად თავისუფალია პოლიტიკური გავლენისგან?

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ უბედურება ის უფროა, რომ კულტურის სამინისტროს არანაირი პოლიტიკა არ გააჩნია. საქართველო ოთხ წელიწადში ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე მასპინძელი ქვეყანა იქნება, ეს უდიდესი რამაა და რა ხდება თუნდაც ამ მხრივ, წარმოდგენა არ მაქვს. სადაა თარგმანები? გამოცემები? სადაა ენთუზიაზმი? სტრატეგია? და საერთოდ, კეთების ნება სადაა? ნებისმიერი სახელმწიფო ინსტიტუტი პოლიტიკაა... გააჩნია, ვინ როგორ და რა პოლიტიკას ქმნის. აქვე გეტყვით, რას აღარ მაბრალებდნენ და ახლაც მაბრალებენ, მაგრამ ხომ გამოჩნდა – წინა მთავრობისდროინდელ კულტურის სამინისტროს არსებობის მანძილზე ჩემი სამი პროექტი გავიდა მხოლოდ, მინიმალური ბიუჯეტით და ერთი კი საერთოდ სტუდენტებისთვის გაკეთებული. თანაც მე არასდროს ვხვდებოდი და არც ახლა ვხვდები ლიტერატურის ხელშემწყობ პროგრამაში, სხვებს კი ეს მაშინაც კარგად გამოსდიოდათ და ახლაც კარგად გამოსდით. ამჟამინდელმა კულტურის სამინისტრომ კი ჩემს ერთ-ერთ პროექტთან დაკავშირებით ისეთი უნიათობა, უუნარობა და თან სასაცილო რამ აჩვენა, არა თუ ადრე, ახლაც მეზარება ამაზე ლაპარაკი.

ყველაზე მძიმე ჯაბუას განწყობაა. მისთვის არც კულტურის უწყება არსებობს, არც თავად კულტურა და მით უფრო ურთიერთობები ან თუნდაც ადამიანი, ვინც ცდილობს არარსებულის შექმნასა და განვითარებას...

მაია ჯაბუა, მომღერალი:

– კულტურის სფერო იმდენად თავისუფალია დღეს, რომ ის საერთოდ არ არსებობს.

– ეს როგორ?

– კულტურისთვის არავის არ სცალია, კულტურა არავის არ აინტერესებს და ეს სფერო საერთოდ არსებობს თუ არა, ვერავინ ვერ ხვდება. არსებობს თუ არა ადამიანი, ან სტრუქტურა, ვისაც კულტურა აინტერესებს, ესეც კი არ ვიცი.

– ფიქრობთ, რომ კულტურის მინისტრი უნდა შეიცვალოს?

– მე კულტურის მინისტრზე არ გელაპარაკებით, ზოგადად ვლაპარაკობ, რომ კულტურა არავის აინტერესებს, არ არის პრიორიტეტული ამ ქვეყანაში და ეს ძალიან გულდასაწყვეტია. მე ვამბობ ამ ფრაზებს და თქვენ განავრცეთ, თუ გნებავთ.

– თუმცა ფაქტია, რომ კულტურის სფერო სწორედ კულტურის მინისტრის აბარია და ის არის პასუხისმგებელი ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე...

– მე გიპასუხეთ უკვე და ვის სად ბლოკავენ და ვის სად უგებენ ია-ვარდებს, ამ თემაზე საუბარს არ ვაპირებ. მე მაწუხებს კულტურის დონე და ის, რომ არ არსებობენ ადამიანები, ვისაც კულტურა და კულტურაში არსებული დონე აინტერესებთ.

ნიკოლოზ რაჭველი: „ოთხი თვე ამაოდ ველოდებოდით დანაპირების შესრულებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე მძიმე წუთები ლევან

ლევან კობიაშვილი გამოსათხოვარ მატჩზე: „იმედი მაქვს, რომ იქნება“

მაგდა კლდიაშვილი

„ყველაზე პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მინახავს“ - ეს სიტყვები, ცნობილ გერმანელ სპეციალისტს, ოტო რეჰაგელს ეკუთვნის და ის ლევან კობიაშვილის მისამართით თქვა. „მეფე ოტო“ ასეთ სიტყვებს ყველაზე არ ამბობს.

მისი პირველი გერმანული ნაბიჯი „ფრაიბურგში“ გადასვლა იყო. ამ ქალაქში კობიაშვილს დღემდე პატივს სცემენ და ძალიან უყვართ. გერმანიაში, პირველი და მეორე ბუნდესლიგის ჩათვლით, სულ 351 თამაში დააგროვა, რომ არა ინციდენტი და დისკვალიფიკაცია, „კობი“ პიზაროს რეკორდსაც მოხსნიდა, თუმცა ბერლინურმა კლუბმა ქართველისთვის ბევრი იბრძოლა და მოედანსაც 8-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა კაპიტანი.

„ფრაიბურგის“ შემდეგ იყო „შალკე“, გენზელკრიხენიდან კი ლევან კობიაშვილი ბერლინის „ჰერტაში“ გადავიდა. ბერლინურ კლუბში ქართველი 2009 წლიდან ირიცხება, კაპიტნის სამკლაურიც ანდეს. გუნდის თავკაცი, იოს ლუჰუკაი აცხადებს, რომ კობიაშვილი დიდი პროფესიონალია. მალე, მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი დადგება - საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ლევან კობიაშვილი კარიერას, 36 წლის ასაკში, 10 მაისს დაასრულებს. „ჰერტას“ და საერთოდ, სათამაშო მაისურს „კობი“ „დორტმუნდის“ წინააღმდეგ ჩაიცვამს და ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს.

„ჩემთვის პრიორიტეტი ყოველთვის ქართული ფეხბურთი და საქართველო იყო. ამიტომ, ეს ხელს არანაირად არ შემიშლის, თუ გადავწყვეტ, ჩამოვალ საქართველოში“

კობიაშვილის ყოფილმა თანაგუნდელმა, მეგობარმა, ახლა უკვე ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ, რამდენიმე დღის წინ განცხადება გააკეთა, რომ ფეხბურთის ფედერაციის დამდეგ არჩევნებში, რომელიც 2015 წლის იანვარში უნდა დაინიშნოს, ლევან კობიაშვილიც იყრის კენჭს.

„პრაიმტაიმი“ ბერლინის „ჰერტას“ კაპიტანს გერმანიაში დაუკავშირდა, სამომავლო გეგმებზე, საპრეზიდენტო არჩევნებსა და გამოსამშვიდობებელ მატჩზე ესაუბრა. როგორ ემზადება „კობი“ ბოლო შეხვედრისთვის და რა განცდები აქვს, როდესაც ხვდება, რომ მოთამაშე აღარასდროს იქნება. როდის დაიწყებს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებას და გააკეთებს თუ არა არჩევანს საქართველოს სასარგებლოდ - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან.

- კახი კალაძემ განცხადება გააკეთა, რომ ლევან კობიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს. ვარაუდის დონეზე, შენც გითქვამს ამასთან დაკავშირებით, უკვე მიიღე გადაწყვეტილება?

- იგივე მდგომარეობაა დღეს, რაც გუშინ და უფრო ადრე იყო. ვნახე კახას კომენტარი, ბევრმა დამირეკა, მაგრამ არც განცხადების გაკეთება მინდა და არც კომენტარების. ორი-სამი კვირა დამრჩა კარიერის დასრულებამდე. ივნისის თვეში საქართველოში ჩამოვალ და ვრცლად ვისაუბრებ ყველა დეტალზე, რას ვაპირებ, რას გავაკეთებ, სად ვიქნები, დაწვრილებით გეტყვით. ჯერჯერობით არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

- ბევრჯერ გითქვამს, რომ საქართველოში დაბრუნება გსურს, თუკი „ჰერტას“ ხელმძღვანელობისგან შემოთავაზება გექნება, რომ სტაფში დარჩე, საქართველოსა და გერმანიას შორის არჩევანი, რომლის სასარგებლოდ გადაწყდება?

- ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ. კონკრეტულად ის, რომ აქ რაღაც ვალდებულება მაქვს კონტრაქტთან დაკავშირებით, არ ნიშნავს იმას, რომ აქ ვინმე დამაბამს. რასაკვირველია, ჩემი გადაწყვეტილება იქნება და ვთქვი კიდეც, რომ დიდი სურვილი მაქვს, საქართველოში დაბრუნების, კონკრეტულად, მინდა ქართულ ფეხბურთში ვიმოღვაწეო, სად, როგორ და რანაირად, გადავწყვეტ. ჩემთვის პრიორიტეტი ყოველთვის ქართული ფეხბურთი და საქართველო იყო. ამიტომ, ეს ხელს არანაირად არ შემიშლის, თუ გადავწყვეტ, ჩამოვალ საქართველოში.

- სჭირდება თუ არა დღეს ლევან კობიაშვილი, მისი გამოცდილება, ახალი სისხლი?

- ისევ იმ თემას ვუბრუნდებით. კიდევ ვიტყვი, რომ ჩამოვალ, მი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კობიაშვილი: „ყოველდღე, რაც უფრო ნაკლები და ნაკლები დრო მრჩება ჩემს კარიერაში, უფრო მეტს ვფიქრობ, უფრო მიჭირს“

როდის დაიწყებს ლევან კობიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის მზადებას

ნდა ყველა კითხვას ზუსტი პასუხი გავცე. ნაწილ-ნაწილ არ ღირს. ცალ-ცალკე, რა არის გასაკეთებელი, არ ვილაპარაკებ. მირჩევნია, რომ ჩამოვალ, ყველა კითხვაზე გაგცემდით პასუხს.

- „კობი და მეგობრები“ საქართველოში ბავშვთა საფეხბურთო ტურნირს ატარებენ, გამარჯვებული ბერლინში გაემგზავრება. ტრადიციად თუ დამკვიდრდება და რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ასეთ ტურნირებში მონაწილეობა?

- ივლისში ჩამოვა ეს გუნდი ბერლინში. თავად მე, კვირას თბილისში ვიქნები. ფინალურ თამაშზე ჩამოვალ, სადაც გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება და ის გაემგზავრება გერმანიაში. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ ტურნირებსა და ფესტივალებში მონაწილეობა. მე თვითონ, მაგ ასაკში როცა მიწევდა საზღვარგარეთ წასვლა, დღემდე მახსოვს ის განცდები, სიამოვნება და ბედნიერება. დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვებისთვისაც იგივე იქნება. მარტო ფეხბურთი არ არის, პრიორიტეტი კი არის, მაგრამ უამრავი სხვა ღონისძიებაა დაგეგმილი, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება, ეს ბავშვებისთვის სასიამოვნო და კარგია. თვითონ ამ ტურნირს, საფეხბურთო ფესტივალს, ორგანიზაცია „KOMM MIT“, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში ატარებს. ახლა დაემთხვა, რომ ბერლინშია ფინალური ეტაპი. დამირეკეს და მკითხეს, თუ იყო შესაძლებელი, რომ საქართველოდან გუნდი ჩამოსულიყო. დავთანხმდი და ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ბერლინში ტარდება, თორემ ეს ორგანიზაცია, უეფასთან ერთად მრავალ ტურნირსა და ფესტივალს ატარებს ქვეყნებსა და ქალაქებში. ბერლინის გამო, გადაწყდა, რომ ჩემი დახმარებით ჩამოგვეყვანა გუნდი აქ.

„ივნისის თვეში საქართველოში ჩამოვალ და ვრცლად ვისაუბრებ ყველა დეტალზე, რას ვაპირებ, რას გავაკეთებ, სად ვიქნები, დაწვრილებით გეტყვით“

- მას შემდეგ, რაც ამ ტურნირის შესახებ დაანონსდა, გაჩნდა ხმები, რომ ლევან კობიაშვილმა წინასაარჩევნოდ მზადება დაიწყო...

- ზუსტად ამიტომ გითხარით ეს ყველაფერი. ვიღაცამ შეიძლება ასე იფიქროს, შეიძლება ისე, მაგრამ იმის გამო, რომ ვიღაცამ რაღაც იფიქრა, უარს ვერ ვიტყვით. ეს ორგანიზაცია ყოველ წელს ატარებს ფესტივალებს. ფინალური ეტაპი ტარდება წელს ბერლინში, ასე დაემთხვა, ყოველ წელს აქ არ არის. ზუსტად აქედან გამომდინარე, შემეხმიანენ, რომ ბერლინში ვარ და მკითხეს, თუ იქნებოდა შესაძლებელი, ჩამოსულიყო გუნდი. ჩემი ინიციატივით, არ მინდოდა, რომელიმე კონკრეტული გუნდისთვის შეგვეთავაზებინა აქ ჩამოსვლა და სამართლიანობის თვალსაზრისით, ყველას რომ მიეღო მონაწილეობა და ჰქონოდა შანსი, ჩავატარეთ ტურნირი. გამარჯვებულს, ჩემი პირადი დახმარებით, ხარჯებით, უზრუნველყოფ, მის აქ ჩამოყვანას, ცხოვრებას და ამ ტურნირში მონაწილეობას ჩემს თავზე ვიღებ.

- 10 მაისს საფეხბურთო კარიერას ასრულებ. „ჰერტა“ საკუთარ მოედანზე დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუპირისპირდება. ამ მატჩში ბერლინელ გულშემატკივარს გამოეთხოვები. როგორც იტყვიან, ბუცებს ლურსმანზე კიდებ, როგორ ემზადები, ადვილია ეს პროცესი შენთვის?

- ძალიან რთული იქნება. ყოველდღე, რაც უფრო ნაკლები და ნაკლები მრჩება ჩემს კარიერაში, უფრო მეტს ვფიქრობ, უფრო მიჭირს. ყველა ადამიანმა წარმოიდგინოს, რაც ყველაზე ძალიან უყვარს, კარგად გამოსდის, იმას რომ ვეღარ გააკეთებს იგივე მდგომარეობაში. ჩემთვის ძალიან მტკივნეული და ძნელია, მაგრამ წესია და შესაბამისად, რაღაცნაირად ვემზადები ამ დღეებისთვის. ყოველდღე უფრო ნაკლები დრო მრჩება. მოედანზე, ვარჯიშზე, რომ გავდივარ, ისეთ დეტალებს ვაკვირდები უკვე, სულ მინდა, რომ მთელი ჩემი შემდეგი წლები გავყო - გახსენება და სიამოვნება, მანამდე, შეიძლება, საერთოდაც ყურადღება არ მქონდა მიქცეული. ძალიან ემოციური. ძნელი კვირები და დღეები მექნება, მაგრამ ვეცდები, რომ პროფესიონალურად, ყველაფერს საბოლოოდ დავუსვა წერტილი.

- საქართველოს ნაკრებიდან მადლობის და გაცილების მატჩის გარეშე გაგიშვეს. ქართველ გულშემატკივარს ძალიან უყვარხარ და დღემდე აინტერესებს, ექნება თუ არა ლევან კობიაშვილს გამოსათხოვარი მატჩი. აპირებ ამის გაკეთებას?

- იმედი მაქვს, რომ იქნება. დიდი სურვილია, მაგრამ ჯერჯერობით, არ მოხდება. საორგანიზაციო მხარეები ძალიან რთულია. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიო ჩემპიონატია, იმ ფეხბურთელების მოწვევა, ვისი მოწვევის სურვილიც შეიძლება მქონდეს, შეიძლება ვერ ჩამოვიდნენ. იდეაში მაქვს, მაგრამ როგორ მოხდება ამის განხორციელება, ვერ გეტყვით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაბრიელ გარსია მარკესი - შემო

სალი კიპაროიძე

რამდენიმე დღის წინ, მექსიკაში, 87 წლის ასაკში, ნობელის პრემიის ლაურეატი, კოლუმბიელი მწერალი, გაბრიელ გარსია მარკესი გარდაიცვალა. შემოქმედი მწვავე ინფექციური დაავადების დიაგნოზით მეხიკოს საავადმყოფოში რამდენიმე კვირის წინ მოათავსეს, რამდენიმე კვირის შემდეგ კი, სულ ცოტა ხნის წინ, ტელეკომპანია BBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ოჯახის პრესმდივანმა ფერნანდა ფამილიარმა დაადასტურა და საკუთარ ტვიტერის გვერდზე დაწერა „გაბრიელ გარსია მარკესი გარდაიცვალა“.

მარკესს 1999 წელს ექიმებმა ლიმფური სისხლძარღვების კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, შემოქმედი ამ დაავადებას მთელი ეს წლები გმირულად ებრძოდა და სწორედ ამ დიაგნოზის წყალობით დაიწყო მან მემუარების წერაც. ლოს-ანჯელესში მკურნალობის შემდეგ მას დაავადების სიმპტომები გაუქრა, რის შემდეგაც მწერალმა სასწრაფოდ შეწყვიტა ყველანაირი საქმიანობა, მეგობრებთან ურთიერთობა მინიმუმზე დაიყვანა, გააუქმა მოგზაურობის ყველა გეგმა და ტელეფონიც კი გამორთო, რათა თავისი მემუარები დაესრულებინა. მარკესის ავტობიოგრაფიულმა ნაშრომმა „იცხოვრო, რათა მოყვე“ (Vivir para contrala), დღის სინათლე 2002 წელს იხილა. თუმცა დაავადებამ თავი მას მალევე შეახსენა და ამ დიდმა შემოქმედმა 17 აპრილს ამქვეყნიური სამყარო დატოვა. სახელოვანი მწერლის გარდაცვალების გამო, კოლუმბიის ხელისუფლებამ 3-დღიანი გლოვა გამოაცხადა.





გაბრიელ ხოსე გარსია მარკესის ნაყოფიერი სიცოცხლე კოლუმბიაში, არაკატაში, 1928 წლის 6 მარტს დაიწყო. შემოქმედი ბებიასთან და ბაბუასთან იზრდებოდა. სწორედ მათი წყალობით ერგო მარკესს ლიტერატურის სიყვარული, ბებია-ბაბუამ მომავალ მწერალს გააცნეს ხალხური თქმულებები, ზღაპრები და სხვადასხვა გადმოცემები, ეს ყველაფერი კი შემდგომ მარკესის მთავარ ნაწილად იქცა. ბაბუა, გადამდგარი პოლკოვნიკი, შვილიშვილს გაუთავებლად მოუთხრობდა სამოქალაქო ომის ისტორიებს, სიყმაწვილის დროინდელ ამბებს. „მას დავყავდი ცირკში, კინოში და ერთგვარ ჭიპს წარმოადგენდა, რითაც მაკავშირებდა ისტორიასთან და რეალობასთან“, - იგონებდა მწერალი.

1940 წელს, 12 წლის ასაკში, გაბრიელმა, სტიპენდიის მიღების შემდეგ, სწავლა ბოგოტიდან 30 კილომეტრზე, ქალაქ სიპაკირის იეზუიტურ კოლეჯში დაიწყო, 1946 წელს კი, უკვე მშობლების დაჟინებული თხოვნით, ბოგოტის ეროვნული უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, მაგრამ სწორედ ამ ადგილმა გააცნო მას თავისი მომავალი მეუღლე, მერსედეს ბარჩა პარდო, რომლისგანაც მწერალს ორი ვაჟი დარჩა - როდრიგო და გონსალესი. თუმცა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა მან მალევე შეწყვიტა და 1950 წლიდან ჟურნალისტიკას და მწერლობას მიჰყო ხელი. ლიტერატურის სიყვარული მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა და როგორც მწერალი ამბობდა, ეს სიყვარული მას გენიალურმა შემოქმედებმა ერნესტ ჰემინგუეიმ, უილიამ ფოლკნერმა, ჯეიმს ჯოისმა და ვირჯინია ვულფმა შთააგონეს. თხრობის მაღალმხატვრულმა მანერამ და წერის გამორჩეულმა სტილმა გაბრიელ გარსია მარკესი XX საუკუნის ლიტერატურულ სიმბოლოდ აქცია, დღეს კი იგი საყოველთაოდ მოიაზრება, როგორც ლიტერატურული სტილის მაგიური რეალისტი და წამყვანი ფიგურა.

მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი“ 1955 წელს, პუბლიკაციების სერიის სახით, გაზეთში გამოქვეყნდა. წიგნი მოგვითხრობს გემის დაღუპვის ნამდვილ ამბავს, თხრობის პროცესში ამხელს გემზე კონტრაბანდისტული საქონლის არსებობას, რაც ჭარბტვირთიანობის გამო, გემის დაღუპვის მიზეზი ხდება. ამ ნაწარმოებმა საზოგადოების მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან მასში მოთხრობილი ამბავი ეწინააღმდეგებოდა გემის დაღუპვის გამოცხადებულ ოფიციალურ ვერსიას. სტატიებმა ისეთი სკანდალი გამოიწვია, რომ გაზეთი დახურეს, ხოლო ევროპაში კორესპონდენტად გაგზავნილი გარსია მარკესი უფულოდ დარჩა. სწორედ აქედან დაიწყო გაბრიელ გარსია მარკესის ურთიერთობის დაძაბვა კოლუმბიის ხელისუფლებასთან. მარკესის ცხოვრებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმატება და მარცხი. მის ნაწარმოებებს ხან ბეჭდავდნენ, ხანაც სანაგვეზე ყრიდნენ. საბედისწერო 1965 წელს კი ოჯახთან ერთად აკაპულკოში გაემგზავრა დასასვენებლად. გზაში მიხვდა, რომ რაღაც არნახული ძალა დაეუფლა და სასწრაფოდ წერა უნდა დაეწყო. შუა გზიდან მოაბრუნა მანქანა, სახლში დაბრუნდა და ოთახში გამოიკეტა, სადაც 18 თვის მანძილზე წერდა. დღეში ექვს კოლოფ სიგარეტს ეწეოდა და 12 ფინჯან ყავას სვამდა. ერთ დღესაც მარკესმა ოთახის კარი გამოაღო და „მარტოობის ასი წელიწადის“ პირველი ეგზემპლარი გამოიტანა. გაბრიელი 39 წლის იყო, როდესაც მისი სახელი მთელმა მსოფლიომ გაიგო. წიგნის გამოსვლიდან პირველივე კვირას 80 000 ეგზემპლარი გაიყიდა. სულ მალე კი გამაოგნებელი შემოქმედი მსოფლიომ გენიოსად შერაცხა. 1967 წელს დაწერილი რომანით მწერალმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, „მარტოობის 100 წელიწადი“ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შევიდა და მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის დღემდე დამსახურებულად მოიხსენიება. რომანი 25 ენაზე ითარგმნა და მსოფლიოს მასშტაბით მისი მილიონობით ეგზემპლარია გაყიდული. ნაწარმოები მოგვითხრობს გამოგონილი სოფლის, მაკონდოს მცხოვრებლების რამდენიმე თაობაზე, სოფლის დაარსებიდან უკანასკნელი ბუენდიას დაღუპვამდე. წიგნში ნაამბობია მარტოობის იმ ას წელიწადზე, რომელიც თან სდევდა ბუენდიების გვარის წარმომადგენლების ცხოვრებას, თაობდიან თაობამდე. ესაა ლათინო-ამერიკული მაგიური რეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში. ლიტერატურული ტექსტი მკითხველს ცხოვრებისეული სიმართლით, მოვლენებისა და ხასიათების ეპიკურობით აოცებს. ეს არის რომანი, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას სინამდვილე და გამონაგონი, დრამა და ლირიკა, ტრაგედია და კომედია. ამ საოცარ რომანში უხვად არის გამოყენებული უძველესი კულტურული სიმდიდრე: კლასიკური მითოლოგიური თემები და ბაბუისგან შთაგონებული ხალხური ზღაპრული სახეები. 1972 წელს, სწორედ ამ რომანით დაიმსახურა გაბრიელ გარსია მარკესმა რომულო გალეგოს პრემია, 1982 წელს კი მას ნობელის პრემია მიენიჭა, ნაყოფიერი და შემოქმედებითი ლიტერატურული კარიერისათვის. მან ხომ სიცოცხლის 87 წლის განმავლობაში უამრავი რამ ასწავლა ხალხს და თავად ისწავლა ხალხისგან: „ღმერთო ჩემო, მე რომ სულ მოკლე სიცოცხლე მქონოდა, არ გავიყვანდი არც ერთ დღეს ისე, რომ ხალხისთვის არ მეთქვა, რომ მე ის მიყვარს, დავარწმუნებდი ყოველ ქალსა თუ კაცს, რომ თითოეული მათგანი ჩემთვის განსაკუთრებულია და ვიცხოვრებდი სიყვარულზე შეყვარებული. ადამიანებს დავუმტკიცებდი თუ რაოდენ ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ შეყვარება აღარ ძალუძთ, როდესაც ბერდებიან. ისინი ბერდებიან, როდესაც კარგავენ შეყვარების უნარს! პატარა ბავშვს ვაჩუქებდი ფრთებს, მაგრამ მას მხოლოდ ფრენის სწავლის უფლებას მივცემდი. მოხუცებს დავანახვებდი, რომ სიკვდილი სიბერესთან ერთად კი არა, დავიწყებასთან ერთად მოდის. რამდენი რამე ვისწავლე თქვენგან ხალხო. დავინახე ის, რომ ყველას უნდა მთის წვერზე ცხოვრება და არ იციან, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სწორედ იმაშია თუ როგორ ადიხარ ციცაბო ფერდობზე“.





ბევრს გაუგია და წაუკითხავს მისი ნაწარმოებები, თუმცა აქედან ძალიან ცოტამ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ცხოვრება იდეალური მწერალია და მან ყველაზე უკეთ იცის თუ სად უნდა დასვას თავისი ლოგიკური წერტილი“



თუ იცის მისი ცხოვრების უცნობი ფაქტები. შემოქმედის ცხოვრების განხილვის დაწყებას, მის ბიოგრაფიაში გათვითცნობიერებული საზოგადოება მარკესისა და კუბის რევოლუციის ლიდერისა და მთავრობის მეთაურის, ფიდელ კასტროს მეგობრობით იწყებს. მათ მეგობრობას შემონახულ ფოტო და ვიდეომასალებთან ერთად თავად ფიდელ კასტროც ამტკიცებს, რომელიც მწერალთან შეხვედრას ასე აღწერს: „ჩვენი შეხვედრა ძალიან პირადული, ფამილარული ხასიათის ელფერს ატარებდა, სადაც ადგილი გულახდილ მოგონებებსა და ჭორებს დაეთმო, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გაბოს მთელი ცხოვრებაა ვიცნობ, თუმცა გარსია მარკესისეული პოეტური გეოგრაფიის დაბურულ ტერიტორიაზე წამიერად პირველად აღმოვჩნდი“.

გენიალური მწერლის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება მოუტანა მსოფლიოს საზოგადოებას. მისი დაკრძალვის ნაციონალური ცერემონიალი, ორშაბათს, 21 აპრილს გაიმართა, ოჯახის წევრების თხოვნით კი იგი მშობლიურ კოლუმბიაში დაიკრძალა. ჩვეულებრივ მოსახლეობასთან ერთად მსოფლიოს უამრავმა წამყვანმა გამოხტა მწუხარება შემოქმედის გარდაცვალების გამო, მათ შორის არიან დღევანდელი მსოფლიოს წამყვანი შემოქმედები, სხვადასხვა ქვეყნების ყოფილი თუ ამჟამინდელი პრეზიდენტები, მსახიობები, მომღერლები და ა.შ. თუმცა ჩვენი დროის გენია და მისი შემოქმედება, ყოველთვის იცოცხლებს ნებისმიერი ადამიანის გულში, მისი უკვდავი შემოქმედება დავიწყებას არასოდეს მიეცემა, მარკესიც არასოდეს მოკვდება, რადგან „სიკვდილი სიბერესთან ერთად კი არა, დავიწყებასთან ერთად მოდის“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტატუ - მოდადაქცეული სხეული

სალი კიპაროიძე

იეროგლიფები, ცხოველები, მწერები, მცენარეები, წარწერები, საგნები და ა.შ. ნახატი აქაც საღებავებით იქმნება, თუმცა ძირითადად უფრო შავ-თეთრი და თანაც, ტრადიციულისაგან განსხვავებით, სახატავი ადგილი ადამიანის სხეულია. თავად ხატვის პროცესი რომ არცთუ სასიამოვნოა, ყველამ იცის, ვინც ტატუირებას იკეთებს. როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, დღეს თბილისში ტატუ კულტურა უკვე საკმაოდ კარგად ესმით. გასულ წლებს თუ გადავხედავთ, კანის „აჭრელებით“ მამრობითი სქესი უფრო ხშირად იყო ხოლმე დაკავებული, თუმცა დღეს აქტიურობით გოგოები უფრო გამოირჩევიან. ნახატების სტილი და მოდა მუდმივად იცვლება. ყველაფერი, რაც მოდურია, ხშირად სასიამოვნოა, მაგრამ იშვიათად ვფიქრობთ ხოლმე მომავალზე, ძალიან ბევრ ადამიანს, ასაკის მატებასთან ერთად, ტატუ ბეზრდება და მისი მოშორება საკმაოდ პრობლემური საკითხია. მედალს ორი მხარე აქვს, ასე რომ, მართალია ტატუს ქონა სხეულზე მის პატრონს სიამოვნებას ანიჭებს, მაგრამ შესაძლებელია ამ პატარა ნახატმა პატრონს პრობლემები შეუქმნას. ოფიციალურ სამუშაო გარემოში, ბანკებში, დაცვის სამსახურში და სხვა სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებული ადამიანებისთვის მსგავსი აღნიშვნების გამოსაჩენ ადგილას ტარება მიუღებელია. მიუხედავად ტატუსთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის გართულებებისა, მოდას აყოლილი თაობისთვის სხეულის მოხატვა სულ უფრო პოპულარული ხდება. ექიმები კი გვირჩევენ, რომ ბრმად ნუ ვენდობით ტატუს სპეციალისტებს. ამ პროცედურის დაწყებამდე საჭიროა კანზე ინდივიდუალური შემოწმების გავლა და ჰიგიენა, რომელიც ამ დროს ასე აუცილებელია, და რაც მთავარია, დარწმუნება საკუთარ გადაწყვეტილებაში. მიუხედავად იმისა, რომ სხეულის მოხატვით უფროსი თაობის წარმომადგენლებიც აქტიურად არიან დაკავებულები, ამ პროცედურას ძირითადად მაინც უფრო ახალგაზრდა გოგონები მიმართავენ.

- რა დატვირთვას ატარებს შენთვის შენი ტატუ?

მარიამ ბაზალი, 21 წლის (სტუდენტი):

- ჩემი საყვარელი შემსრულებლის ნიშანია, Led Zeppelin-ის სოლისტის, რობერტ პლანტის სიმბოლო, რომელიც მარჯვენა მაჯაზე ამოვისვირინგე. კიდევ ვაპირებ ტატუს გაკეთებას, ზუსტად არ ვიცი ახლა რა მინდა, მაგრამ რამე ისეთს გავიკეთებ, რაც ჩემს პიროვნებას გამოხატავს, თან აუცილებლად უნდა დავრწმუნდე, რომ ეს ის არის, რაც მინდა მთელი ცხოვრება ჩემი თანმდევი გახდეს.

- როგორ ფიქრობ, რატომ იქცა მოდად სხეულის ამ სახით მოხატვა?

- რა ვიცი, ალბათ, იმიტომ, რომ ზოგი, უბრალოდ, მოდას აჰყვა, ზოგიც ცდილობს ამით გამოხატოს თავისუფლება და ხაზი გაუსვას თავის განსხვავებულობას, ძირითადად, მე როგორც ვხედავ, ძალიან ცოტა იაზრებს თუ რას იხატავს და რატომ.

- სახელმწიფო სამსახურებში, ტატუ რომ პრობლემებს ქმნის, რა აზრის ხარ? თან შენ სვირინგი საკმაოდ გამოსაჩენ ადგილზე გაქვს.

- რა შემიძლია, რომ ვთქვა. ეს ხომ თავისუფალი ნების შეზღუდვაა. ტატუს არ უნდა ჰქონდეს არანაირი გავლენა ადამიანის სამსახურებრივ საქმიანობაზე.

ერთი სიტყვით, ტატუირება დღეს „თავის მორთვის“ ყველაზე მოდურ საშუალებად იქცა. ბევრმა ახალგაზრდამ კი სულაც არ იცის, რომ ნოვატორი სულაც არაა და სხეულის მოხატვის მოდა ძველისძველი მოვლენაა, რომელიც არაქრისტიანულ ხალხებსა და აფრიკულ ტომებში ათასწლეულების მანძილზე არსებობდა. აფრიკაში, შუა აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში, უძველესი დროიდან, ქალები სხეულზე იხატავდნენ გამოსახულებებს, რომლებიც, მათი აზრით, უბედურებას აცილებდა და ბედნიერებას იზიდავდა. ბუდისტი ბერები სხეულს ტაილანდშიც ისვირინგებდნენ, რადგან ეს პროცესი მორწმუნეებისა და ძველი ქურუმების შემაერთებელ ძაფად იყო მიჩნეული. ტატუს ისტორია 6 000 წლის წინ დაიწყო და საკმაოდ მრავალფეროვანი გზები განვლო. სიტყვა „ტატუ“-ს წარმოშობა, ორი ვერსიით განიხილება, პირველი პოლინეზიური სიტყვა „ტა“, რომელიც თავისი მნიშვნელობით „ჭრილობას“ ნიშნავს, ხოლო მეორე ვერსიით კი, ამ სიტყვის ფესვები ტაიტურ ენაში უნდა ვეძებოთ, სადაც სიტყვა „ტატაუ“ მონიშვნას ნიშნავს. ყველაზე ძველი ტატუები გიზას პირამიდის შესწავლისას აღმოაჩინეს, სადაც ჩვ.წ.აღ-მდე 2 000 წლით დათარიღებული ქალი მუმიების სხეულებს სხვადასხვა ფორმისა და მნიშვნელობის უამრავი ტატუ აღმოაჩნდათ. ეგვიპტელებმა ეს ხელოვნება მემკვიდრეობით მიიღეს, შემდგომ კი მათ სხეულის მოხატვა ძველ ბერძნებსა და სპარსელებს ასწავლეს. 21-ე საუკუნემდე, უძველესი წესით მოღწეულ გარდაცვლილთა ტატუირებული სხეულები მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყანებში აღმოაჩინეს. შვეიცარის მთებში იპოვეს დაახლოებით 2 000 წლით დათარიღებული პირველყოფილი ადამიანის სხეული, რომელსაც ასევე უამრავი სვირინგი აღმოაჩნდა. თუმცა ტატუმ ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოპულარობა იაპონიაში მოიპოვა. სხეულებზე სამგანზომილებიანი სურათების დახატვა სწორედ იაპონელების შემოღებულია. სხეულის მოხატვას თავიდანვე დიდი დატვირთვა ენიჭებოდა. მაგალითად, ინდიელები სხეულზე სალოცავ ტოტემებს გამოისახავდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ეს მათ ძალას მატებდა. ჩინეთში კი კანონდამრღვევებს შუბლზე სამ ხაზს ახატავდნენ, რათა ყველას გაეგო, რომ ისინი დამნაშავეები იყვნენ. ანკების ბელადები კი სხეულებზე მათ მიერ ჩადენილი გმირობების სცენებს იხატავდნენ, ვთქვათ, ბიზონის მოკვლას ან მტრად გადაკიდებული სხვა ტომის ბელადის დამარცხებას. თუმცა სვირინგის გაკეთების უფლება მხოლოდ ბელადს როდი ჰქონდა. რიგითი ინდიელები უმეტესად საკუთარ სახელთან დაკავშირებულ სურათებს იხატავდნენ, მაგალითად, არყის ხეს, ირემს და ა. შ.



თუმცა პირველად ტატუ ბრიტანელი კაპიტნის ჯეიმს კუკის დღიურში იყო მოხსენიებული. ტაიტში მოგზაურობის შემდგომ კაპიტანმა ევროპელებს ახალი გასართობი გაუჩინა და 1769 წელს, მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ჯეიმსმა, მთლიანად მოხატული გვამი ჩამოასვენა, გვამის მოხატულმა სხეულმა ევროპელები აღაფრთოვანა და განაცვიფრა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ინგლისელმა მეზღვაურმა ჯონ რეზერფორდმა, ველურთა ტომის ათწლიან ტყვეობას დააღწია თავი, ლონდონში მოხატული სხეულით დაბრუნდა, მის სხეულზე ერთმანეთს ველური ჩიტები და ცხოველები ანაცვლებდნენ. ბევრს სურდა საკუთარი თვალით ენახა ცოცხალი ნახატი და ჯონიც სიამოვნებით უჩვენებდა მათ საკუთარ სხეულს, რა თქმა უნდა, ფულის სანაცვლოდ. სწორედ ამ მოვლენების შემდეგ დაიწყეს ევროპელებმა დიდი მონდომებით სხეულის სხვადასხვა სიმბოლოებით მოხატვა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ტატუირებამ ზღვაოსნების წრეებიდან პატიმრების წრეში გადაინაცვლა, სადაც განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა, მოგვიანებით კი, ჰიპების მოძრაობასთან და როკ მუსიკის დამკვიდრებასთან ერთად, ამ „გასართობმა“ მთელი ახალგაზრდობა გაიტაცა.

ტატუ მხოლოდ ამ საუკუნის ახალგაზრდების გატაცება როდია. იგი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო პოპულარული. სვირინგს განსაკუთრებით კრიმინალები იკეთებდნენ, რომლებიც, ინდიელი ბელადების მსგავსად, თავიანთ „საქმეთ საგმირონთ“ იხატავდნენ ხოლმე სხეულებზე. დღეს ტატუირება ხელოვნების დონემდეა აყვანილი. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ სხეულის მოხატვა განსაკუთრებით პოპულარული გახდა თინეიჯერებში. უამრავ ახალგაზრდას უჩნდება მძაფრი სურვილი, სხვადასხვა ფორმისა და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ულის მოხატვის ხელოვნება



მნიშვნელობის ტატუ საკუთარი სხეულის ნაწილად აქციოს. ამ გზით ისინი ცდილობენ, ხაზი გაუსვან თავიანთ ინტერესებს, მსოფლმხედველობასა და ინდივიდუალურობას. მიუხედავად იმისა, რომ სხეულს ბევრი იხატავს, ხშირად უმეტესობამ არ იცის თუ რა სიმბოლო რისი აღმნიშვნელია და ვერ აცნობიერებენ თუ რატომ იკეთებენ ამა თუ იმ ტატუს. არადა, როგორც ტაილანდელები ამბობენ, ტატუირება იდუმალი ხელოვნებაა და ადამიანის ბედის შეცვლაც კი შეუძლია.

პირველად საქართველოში ტატუ ისეთი მამაკაცების სხეულებზე გაჩნდა, რომელთაც ე.წ. „შავ სამყაოსთან“ ჰქონდათ კავშირი, ან სასჯელი ჰქონდათ მოხდილი. ამიტომ ჩვენს საზოგადოებაში არც ისე პოპულარობით სარგებლობდა, გავიდა დრო და საზოგადოების დამოკიდებულებაც შეიცვალა. თუმცა ახლაც შეხვდებით საზოგადოების ისეთ ნაწილს (ძირითადად საბჭოთა კავშირის პერიოდში აღზრდილებს), ვისთვისაც ტატუ დღემდე ცუდი ტონია. მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დღევანდელი ახალგაზრდობისთვის, ტატუს ფუნქციაში მხოლოდ სხეულის გალამაზება შედის.

მაჰმადიანური რელიგიის მიხედვით ტატუირება აკრძალულია. სუნიტების რწმენით, სხეულის მოხატვა ღმერთის ქმნილების ხელყოფაა და ამიტომ ტატუს გაკეთებას ცოდვად მიიჩნევენ. სხეულის მოსვირიგებას კრძალავს იუდაიზმიც. რაც შეეხება ქრისტიანობას, არაერთი მოძღვარი თავის მრევლს ურჩევს, რომ უმჯობესია, ღვთისგან ბოძებული სხეული ხელუხლებელი დატოვონ. როგორც ვიცით, ბოძების მიუხედავად, ჩვენი სხეულები ღმერთს ეკუთვნის, სწორედ ამიტომ, სანამ მას ტატუებითა და პირსინგებით მოვრთავთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სხეულზე მოქმედების უტყუარი „ნებართვა“ უკვე აღებული გვაქვს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი სერვისი თბილისში - Fitcafe სწორი და ჯანსაღი კვებისთვის

მაგდა კლდიაშვილი

„ჭამ, იმიტომ, რომ გჭირდება და არა იმიტომ, რომ გშია“

ჯანსაღი საკვები, მარილის, ცხიმის და ქოლესტერინის გარეშე, მყუდრო გარემო - ამ ყველაფერს Fitcafe მომხმარებელს უკვე ორ კვირაზე მეტია სთავაზობს. მისი შექმნის იდეა, ნატურალური ბოდიბილდინგის ფედერაციას, მოდელ, სალომე ღვინიაშვილსა და დავით დვალიშვილს გაუჩნდათ. იდეა სამი თვის წინ დაიბადა, მცირე შეფერხებებისა და წინააღმდეგობების შემდეგ, მას ფრთა შეესხა და ახლა უკვე, ყაზბეგის 14 ნომერში, დილის 9 საათიდან, საღამოს 11 საათამდე, მათ, ვისაც სწორი კვება და წონაში დაკლებაც სურს, Fitcafe ელოდება.

როგორ შეიძლება უმარილო და უცხიმო საკვები გემრიელი იყოს. რა მომსახურებას სთავაზობს Fitcafe მომხმარებელს და რით არის მიმზიდველი ეს ადგილი. „პრაიმტაიმი“ Fitcafe-ს დამფუძნებელსა და დირექტორს, ოთო გვარაძეს ესაუბრა.

„კაფე ყველასგან განსხვავებულია. არ გვაქვს არანაირი ცხიმიანი საკვები, ყველაფერი კალორაჟითაა გათვლილი. ყველაფერს გრილზე ვამზადებთ, ზეთზე არ ვწვამთ. ყველაფერი ჯანსაღია და სპორტული კვებისთვის მიზანშეწონილი“, - ამბობს Fitcafe-ს დირექტორი, ბოდიბილდერი და ფიტნესინსტრუქტორი ოთო გვარაძე.

კაფეს წაღების სერვისი აქვს, თუმცა, როგორც ოთო გვარაძე ამბობს, მალე ისინი ადგილზე მიტანის სერვისსაც აამუშავებენ. გარდა ამისა, Fitcafe მომხმარებელს საკვები გეგმის შედგენასაც სთავაზობს, რომლის ხანგრძლივობის ამორჩევაც, თავად მომხმარებელს შეუძლია. წინასწარი გადახდის სერვისით, შესაბამის რაციონს თავად ობიექტი არჩევს და ადამიანს მისი წაღება ნებისმიერ, მის მიერ ამორჩეულ დროს, დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეუძლია.

- ვინ ადგენს მენიუს?

- Fitcafe-ს შეფმზარეულები კულინარიის აკადემიიდან ჰყავს, რომლებსაც უშუალო დავალებებს ოთო გვარაძე აძლევს. კეთდება ტესტებიც, რომლის შემდეგაც კერძებს ემატებათ, ან აკლდებათ ინგრედიენტები. როდესაც სპორტსმენებისთვის ხდება მენიუს შედგენა, ისეთი ინგრედიენტებით ხდება საკვების ჩანაცვლება, რომელიც სპორტისთვის მიზანშეწონილია.

მენიუ

ხშირად, კაფე კლიენტს მანუალურ მომსახურებას სთავაზობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია აირჩიოს ინგრედიენტი და სამზარეულოში მიქსი გაკეთდეს. სალათები აქ ყველაზე მოთხოვნადია. ქათმის, თევზის ფილე, ქათმის გულმკერდი და საქონლის ხორცი - ეს Fitcafe-ს სამზარეულოში შეუცვლელია. აქ ღორის ხორცს ვერ ნახავთ, მხოლოდ ისეთს, რომელიც ბალცხიმიანია. პურიც სპეციალურად, ჯინჯერითა და ასკილით მზადდება, რომელშიც საფუარი არ ურევია.

ყველაზე მოთხოვნადი მწვანე სალათია, რომელიც ისპანახისგან, ქათმის ფილესგან, სოუსისა და დრესინგებისგან შედგება. ხორცი, თევზი, ქათმის გულმკერდი, ყველა სალათის შემადგენელი ნაწილია.

მარილი

ოთო გვარაძის თქმით, მარილსა და შაქარს მათთან არ ხმარობენ. ყველაფერი გრილზე იხარშება და იწვება, სოუსებითა და გარნირებით კი მისი გაგემრიელება ხდება.

საფირმო კერძი

კაფეს საფირმო კერძი ფრეშმიქსის საუზმეა, რომელიც ორნაირი ხაჭოსგან, ბანანისგან, ჰერკულესისა და გაყინული ხილისგან შედგება.

სასმელი

აქ ალკოჰოლურ სასმელს ვერ ნახავთ. სამზარეულოსგან განსხვავებით, ბარი აქ 12 საათამდე მუშაობს, სადაც მხოლოდ წყლისა და ნატურალური წვენების დალევაა შესაძლებელი. ხილის დაწურვაც ადგილზე ხდება. კაფის ხელმძღვანელობას სურს, რომ დაწესებულებაში წითელი ღვინო შეიტანოს, რომელიც სტეიკს უხდება და ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა. გარდა ამისა, მუშაობენ ბრინჯის ლუდის შემოტანაზეც, რომელიც, ოთო გვარაძის განმარტებით, ნაკლებ კალორიულია და არ ასუქებს ადამიანს.

Fitcafe-ს მომარაგება ქართული პროდუქტებით ხდება. გვარაძის განმარტებით, ისინი ცდილობენ, რომ ყველაფერი ქართული მოიხმარონ, რის საშუალებასაც ქართული ბაზარი იძლევა.

კაფეში შვიდი მაგიდაა და ის 40 ადამიანზეა გათვლილი. მისი დირექტორის, ოთო გვარაძის განმარტებით, მოთხოვნილების შესაბამისად, ადგილების გაზრდაც მოხდება, ხოლო მისი სრულად დატვირთვისა და ამუშავების შემთხვევაში, დამფუძნებლები ფილიალის გაკეთებაზეც დაფიქრდებიან.

ყველასთვის კარგად ცნობილია, მოდელი სალომე ღვინიაშვილი ჯანსაღად იკვებება. მისი კვების რაციონში არც ცხიმები შედის და არც მარილი. ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ Fitcafe-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი სწორედ ის არის. თუ ოთო გვარაძის ინფორმაციას ვენდობით, მოდელი, რომელიც ძალიან კარგ ფორმაშია, სწორედ აქ იკვებება, დილით საუზმობს და დღის განმავლობაში სამჯერ სტუმრობს ამ ადგილს.

რაც შეეხება ფასებს, მენიუსთვის თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ აქ ყველაფერი ხელმისაწვდომია და კაფის მენეჯმენტმაც ეს კარგად გათვალა. მომხმარებელს აქ მოსვლა ნებისმიერ დროს შეუძლია. როგორც სპორტსმენებს, ისე ბავშვებსა და მოზარდებს. იმ ადამიანებს, ვისაც დიეტით დაკლება სურთ, ადგილზე კვების რაციონს შეუდგენენ. გარდა ამისა, თუ მომხმარებელს საკვები კალორაჟი გათვლილი აქვს, Fitcafe-ში, მენიუში, შეუძლია, ნახოს და აირჩიოს კერძი კალორაჟის მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა ადამიანმა იცის, რასაც მიირთმევს და რამდენ კალორიას შეიცავს ის საკვები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველი სიმფონიის პრემიერა

ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან ვახტანგ მაჭავარიანი ორ ამპლუაში წარდგება

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

30 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტს გამართავს. ორკესტრს უდირიჟორებს ცნობილი ქართველი დირიჟორი - ვახტანგ მაჭავარიანი. თუმცა, ამ საღამოს ის კომპოზიტორის როლშიც წარსდგება აუდიტორიის წინაშე, ვინაიდან ვაგნერის ოპერის „რიენცის“ უვერტიურასთან, ჯაკომო პუჩინის „მადამ ბატერფლაის“ II მოქმედების II სცენის შესავალთან, ვახტანგ მაჭავარიანის მიერ გაორკესტრებული სერგეი პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატის III ნაწილთან (პირველი შესრულება საქართველოში, ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის ხსოვნას) ერთად, გაიმართება ვახტანგ მაჭავარიანის პირველი სიმფონიის „სამყარო ჰარმონია“-ს პრემიერა (სიმფონია ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს).

ბოლო წლების მანძილზე ვახტანგ მაჭავარიანი საზოგადოებამ კომპოზიტორის ამპლუაშიც გაიცნო, როდესაც მან მსმენელს წარუდგინა თავისი ნაწარმოებები - კონცერტინო ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, სიმფონიური პოემა „ნაცარქექია“, ამჯერად კი შედგება პირველი სიმფონიის პრემიერა.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესოა პირველი სიმფონიის „სამყარო ჰარმონია“-ს ავტორისეული ხედვა.

ვახტანგ მაჭავარიანი: „პირველი სიმფონიის შექმნა გადავწყვიტე კლასიკური სტრუქტურით, ანუ ოთხ ნაწილად, ისე როგორც ამას აკეთებდნენ პირველი სიმფონისტები და როგორც ეს გძელდებოდა (გამონაკლისის გარდა) XX საუკუნემდე. ოთხნაწილიანი ფორმა არ წარმოიშვა შემთხვევით. მისი ფესვები ანტიკურ ხანაშია, დაკავშირებულია მეცნიერების და ფილოსოფიის განვითარებასთან, რომელიც მუდამ მჭიდრო კავშირში იყო მუსიკის განვითარებასთან.

ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით 160 წელს ალექსანდრიაში ცხოვრობდა დიდი მეცნიერი, წარმოშობით არაბი, სახელად პტოლომეუსი. თანამედროვენი მას კლავდიუსს პტოლომეუსიდან უწოდებდნენ. იგი მუშაობდა თემაზე, სადაც სამყაროს ცენტრად წარმოდგენილია დედამიწა. ეს თეორია შემდგომ ქრისტიანობაშიც ვითარდება. პტოლომეუსი იყო არისტოტელეს ფილოსოფიის და მეცნიერების უზადო მცოდნე.

არისტოტელემ დაჰყო სამყარო ორმაგობად - ორგვაროვნებად და ამით დასვა „ყოფნა არყოფნის“ კითხვა. ორმაგობამ კი წარმოშვა დუალიზმი, სადაც ციფრი ოთხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ ემპედოკლეს დროიდან, (495 – 435 ძვ.წ), რომელმაც გვაუწყა ოთხი ელემენტის შესახებ: ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი, რომლებისგანაც შედგებიან საგნები ან არსებანი, დაიწყო ფილოსოფიურ - მეცნიერული მსჯელობა ციფრ 4-ზე. შემდგომ ჰიპოკრატემ განმარტა, რომ სიცოცხლეს ეკუთვნის: სისხლი, ნერწყვი, შავი და ყვითელი ნაღველი, აქაც ფიგურირებს რიცხვი 4. პლატონისთვის გადამწყვეტი იყო ოთხი თვისება: სიმამაცე, ჭკუა, სამართლიანობა და თავდაჭერილობა. არისტოტელესთან ეს ოთხი გამოიხატება 4 კაუზაში: მასალა, ფორმა, გეგმა, მიზანი (ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ფინალიზაციას). პითაგორელები აღმერთებდნენ ციფრ 4-ს და შექმნეს მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლიკა, რომელიც წარმოდგენილი იყო „ტეტრაქტისის“ ფორმაში. ეს არისტოტელესთვის იქცა

საფუძვლად, რათა ამ იდეალზე აეგო ოთხი კაუზის თეორია. შემდგომში აღნიშნულ თემას ავითარებენ ეუკლიდე, არქიმედე და ჰიპარქოსი. ახალი წელთაღრიცხვის ხანაში მეცნიერების ეპიცენტრმა არაბულ სამყაროში გადაინაცვლა. პტოლომეუსი მუშაობდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, სადაც მან შექმნა ნაშრომი სახელწოდებით „ჰარმონია“ და იგი შეიძლება ჩაითვალოს მუსიკის თეორიის პირველ სახელმძღვანელოდ. აქ ბგერათა წყობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიტმებს, განსაკუთრებით კი რიტმს 4/4-ზე. პტოლომეუსის ნაშრომებით მოიხიბლა დიდი გერმანელი მეცნიერი იოჰანეს კეპლერი. XVII საუკუნის სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი მონაწილე კეპლერი სხვა შრომებთან ერთად ქმნის ნაშრომებს „Astronomia Nova“ („ახალი ასტრონომია“), „Harmonices Mundi“ („სამყარო ჰარმონია“), რომლებშიც იგი ადარებს კოსმოსს მუსიკალურ ჰარმონიას. ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ჩემს პირველ სიმფონიას. პტოლომეუსი ხსნის კოსმოსის და მუსიკალური ჰარმონიის არსს, მათ კავშირს ნაშრომში - „დიდი ხელოვნება“, სადაც საუბარია პლანეტათა მოძრაობის და მუსიკალური ჰარმონიის კავშირზე. სრულიად ნათელია, რომ მუსიკაზე განსჯისას შეუძლებელია დაყრდნობა ცალმხრივად ციფრებზე, მათემატიკაზე და მეცნიერებაზე მთლიანობაში. შემთხვევით არ მომყავს ამ წერილის დასაწყისში ღვთაებრივი პლატონი, რომელიც მუსიკას

ვახტანგ მაჭავარიანი: „არაერთხელ გამიგონია მამაჩემისგან, რომ ინტუიცია გადამწყვეტია კომპოზიტორის შემოქმედებაში. აქ იკვრება წრე: ინტუიცია, იდეა, აზროვნება - ფილოსოფია და მეცნიერება - მათემატიკას შორის, რაც შემოქმედების საწინდარია. ამ სულისკვეთებით შეიქმნა ჩემი სიმფონია“

და პოეზიას უწოდებს ფრთოსანს, მოფრენილს იდეათა სამყაროდან. დიახ, მუსიკა არის აჟღერებული იდეა, მეტყველი იდეა და მეტყველი სული, მაგრამ უდავოა, რომ მისი ერთ-ერთი კომპონენტი რიცხვია, რაც, პირველ რიგში, მის რიტმთანაა კავშირში, ასევე მის ფორმასთან. აქ მინდა მოვიყვანო იმ ადამიანის სიტყვები, რომელმაც შეძრა არა მარტო მეცნიერება, არამედ თვით ეკლესიაც, „აამოძრავა პლანეტები“. კოპერნიკის საქმის და იდეების გამგრძელებელმა, მუსიკის თეორეტიკოსის შვილმა, თვით მუსიკოსმა და ფლორენციაში ოპერის დაბადების ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა თანამონაწილემ, გენიალურმა გალილეო გალილეიმ 1623 წელს ბრძანა: „ბუნების წიგნის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯერ გაიგებ მის ენას და ასოებს, რომლითაც იგი მეტყველებს და წერს. იგი დაწერილია მათემატიკური ენით, ხოლო ასოებს წარმოადგენენ სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები და სხვა გეომეტრიული ფიგურები და ფორმები. ამ დამხმარე ხელსაწყოების გარეშე ადამიანებს არ ძალუძთ ამ წიგნიდან ერთი სიტყვის გაგებაც კი“.

იგივე შეიძლება ითქვას მუსიკაზეც, რომელსაც ჰყავდა კიდევ ერთი გენიალური თაყვანისმცემელი ისააკ ნიუტონის სახით, რომელმაც 1675 წელს წარმოადგინა ჰიპოთეზა შუქის წარმოშობის შესახებ. მან ფიზიკის თეორია გეომეტრიის მეშვეობით განმარტა და ამით კოსმოსის ფუნქციონირების საკუთარი მოდელი შექმნა, რომელიც მხოლოდ აინშტაინამდე შენარჩუნდა. ნიუტონი ადგენს, რომ მზის შუქი არის არა თეთრი, არამედ მრავალი ფერის ნარევი. ასე გამოჰყო მან 7 ფერი და საკითხში უფრო ჩაღრმავებისას დაინტერესდა საგანთა - არსთა ჰარმონიით, რომელიც შეადარა 7 პლანეტას მზის სისტემაში და დაუკავშრა 7 მუსიკალურ ბგერას. მუსიკალური ბგერების თანახმად ნიუტონმა ფერები ასეთი წყობით წარმოგვიდგინა: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იასამნისფერი. ამასთან შესაბამისობაში მოჰყავს 7 ბგერაც შემდეგი თანმიმდევრობით: D-E-F-G-A-B-C და განმარტავს, რომ ფერთა წყობის განლაგებაში მას დაეხმარა მუსიკალურ ბგერათა წყობა.

XIX საუკუნის უდიდესი ინგლისელი მეცნიერი, მაგნიტური ველის აღმომჩენი - მაიკლ ფარადეი, შეკითხვაზე თუ როგორია ეს მაგნიტური ველი, პასუხობს - მოგისმენიათ ბეთჰოვენი? ფარადეი წერს, რომ იგი მუდამ თავის ინტუიციას ეყრდნობა და ამ ინტუიციის მეშვეობით მიხვდა იმას, რასაც მაშინ სახელიც კი არ ჰქონდა და ეს არის მაგნიტური ველი.

არაერთხელ გამიგონია მამაჩემისგან, რომ ინტუიცია გადამწყვეტია კომპოზიტორის შემოქმედებაში. აქ იკვრება წრე: ინტუიცია, იდეა, აზროვნება - ფილოსოფია და მეცნიერება - მათემატიკას შორის, რაც შემოქმედების საწინდარია. ამ სულისკვეთებით შეიქმნა ჩემი სიმფონია“.

ვახტანგ მაჭავარიანს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა და აკავშირებს საქართველოს და მსოფლიოს ცნობილ კოლექტივებთან, რომელთან ერთად გამართული აქვს კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ავსტრალია, იტალია, თურქეთი, სერბეთი, შვეიცარია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საბერძნეთი, ისრაელი, რუსეთი, ხორვატია, უკრაინა, სომხეთი, სინგაპური, ტაივანი, ბრაზილია და სხვ. ამჟამად იგი თანამშრომლობს ბელგიის ნაციონალურ სიმფონიურ ორკესტრთან. უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს კონცერტები გერმანიასა და აშშ-ში. საოპერო დადგმები განხორციელებული აქვს გერმანიაში, მოსკოვის დიდ თეატრში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ლატვიაში და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში. იგი არის შოტლანდიის საოპერო თეატრის მიწვეული დირიჟორი.

1984-1991 წლებში ვახტანგ მაჭავარიანი იყო მარიას თეატრის მთავარი მიწვეული დირიჟორი, 1990-2001 წლებში მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთან ერთად არაერთხელ გამართა გასვლითი კონცერტები საზღვარგარეთ. 1996-2004 წლებში იყო საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2001-2008 წლებში კი რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის - „მილენიუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი. 2011 წლიდან ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს თურქეთის



საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან, რომელთან ერთადაც შესრულებული აქვს: შოსტაკოვიჩის სიმფონიები № 7, 9, 10, 12; მალერის სიმფონია № 3; ბეთჰოვენის სიმფონიები № 2, 5, 6; მოცარტის სიმფონია № 39. 2013 წელს ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მან იდირიჟორა კომპოზიტორის მეორე სიმფონია. ამავე წელს ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით შესრულდა რიხარდ ვაგნერის ოპერები - „ტრისტან და იზოლდა“ და „ლოენგრინი“, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქი და გერმანელი საოპერო მომღერლები. 2013 წლის 28 და 30 ივნისს ვახტანგ მაჭავარიანმა, ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვერონას რომაულ ამფითეატრში (Arena di Verona) იდირიჟორა ვერდის „ტრუბადური“ საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით. 2013-2014 წლებში ვახტანგ მაჭავარიანმა კონცერტები გამართა პეტერბურგის მარიას თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან და მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან. ამავდროულად თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარსდგა ანკარაში, აშშ-ში, კანადასა და ჩინეთში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ბახუტაშვილმა, ბრწყინვალე შვიდეულ

my View
თამარ გონგაძე

თაკო შოშიაშვილი: „მანამდე დეპრესიული ვიყავი. ემოციური ვარ და ძალიან მოქმედებს ჩემზე ყველაფერი. ახლა რომ ვიცი, გიორგი მყავს, ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ“

გიორგი ბახუტაშვილმა რომ ჯვარი დაიწერა, პირველად „პრაიმტაიმნიუსმა“ ამცნო საზოგადოებას. „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობმა ჯვარი, გეგმისამებრ, 22 აპრილს დაიწერა, სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებიდან ექვსი თვის თავზე. თუმცა პატარა გაუთვალისწინებლობა შეხვდათ, ბრწყინვალე შვიდეულში ჯვარს არ წერენ. მამა კირიონმა კი პატრიარქის კურთხევით წყვილს ჯვარი საგურამოში, ილია მართლის სახელობის ტაძარში დაწერა. „რახან დავგეგმეთ, აღარ გადავდეთ, საამისოდ ერთი თვე ვემზადებოდით. ხელიც თავისით შეგვეწყო. ყველაფერი კარგად გამოვიდა.

წინა დღეს წვიმდა, იმ დღესაც, მაგრამ ჯვარი რომ დავიწერეთ, მზე გამოვიდა. ტრადიციულს არ „მივაწექით“. მეგობრების წრეში ყვარელში ტბაზე აღვნიშნეთ...“ - გვითხრა გიორგიმ.

თაკო

მსახიობის რჩეული 22 წლის თაკო შოშიაშვილია. გიორგი სამი კვირის წინ თავის რჩეულზე გვესაუბრა, უბრალოდ, მაშინ ვინაობა არ დაასახელა. „არ მიყვარს ეს თემა. ძალიან არაკომფორტულად ვგრძნობ თავს, როდესაც თავის პირად ცხოვრებაზე დეტალურად ლაპარაკობენ. შემიძლია ის გითხრათ, რომ რამდენიმე თვეა კარგად და კომფორტულად ვარ. ამაზე ლაპარაკი მეგობრების წრეშიც არ მიყვარს“.

სამი წელია თაკო სამოდელო სააგენტო „ნატალის“ მოდელია. თვე-ნახევრის წინ თაკო ჟურნალ „ნარგიზის“ პრეზენტაციაზე დეფილეზე გამოვიდა. გაზაფხულის ბოლოს „ბინექსთის“ ჩვენებებზე გამოვა.

თაკო ოპერატორია. თეატრალურ უნივერსიტეტს ამთავრებს, საოპერატორო ფაკულტეტს. ექვსი თვე „კომედი არხზე“ მუშაობდა, გახსნის დღიდან. თითქმის ყველა გადაცემას იღებდა, მათ შორის „ქეთო და კოტეს“, „ქლაბ შოუს“, „ქომედი ქიდსს“, „ბექაბაიტს“. ახლა აღარ მუშაობს. ამბობს, რომ ტელევიზიაში ისეთი დაკავებული ვიყავი, რომ არ წამოვსულიყავი, გიორგის ვერც გავიცნობდიო.

„ფოტოხელოვნება მიტაცებდა. მერე მივხვდი, რომ გაცოცხლებული კადრი უკეთესია და ოპერატორობა გადავწყვიტე“.

„ექვსი თვეც საკმარისი იყო ამ ნაბიჯისთვის, ნამდვილს რომ ეხები, მაშინვე გრძნობ. მივხვდი, რომ ამ ადამიანის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მე რომ თაკო არ მენახა, სხვანაირად არ არსებობს“

„სრულყოფილი გავხდი“

ერთმანეთი საერთო მეგობრის სახლში გაიცნეს. გიორგი თაკოთი მაშინვე მოიხიბლა. ურთიერთობა ვცადე და გამომივიდაო, მსახიობი ამბობს. მალე დაახლოებულან. ახალ წელს სიყვარული აუხსნა... მარტყოფში, გიორგის აგარაკზე, მეგობრებთან ერთად შეხვდნენ 2014 წლის დადგომას. იყო ფოიერვერკები და სიყვარულის ახსნა... თაკომაც მაშინვე უპასუხა გრძნობით, რაც მასაც აკვირვებდა.

თაკო შოშიაშვილი: - ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ჩემგან უცებ ნათქვამი მიყვარხარ. მაგრამ თავისით წამოვიდა, გულიდან...

გიორგი ბახუტაშვილი: - მივხვდი, რომ რაღაც ძალიან ნამდვილს შევეხე. გულწრფელობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თაკოში ეგ თვისება დავინახე და ჩავავლე. გულწრფელობით მომნუსხა. ძალიან ცოტა ხანი, ერთი კვირა ვეპრანჭებოდით ერთმანეთს. მერე უკვე გახსნილი ურთიერთობა გვქონდა. ჩემთვის ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, არ შემეძლო ზერელედ მივდგომოდი. ძველ ურთიერთობებში კომპრომისზე ამიტომაც არ წავსულვარ. როცა რაღაც არ მომწონდა, ვცდილობდი ჩემს თავთან მეღიარებინა, რომ რაღაც ისე ვერ არის და ვასრულებდი. მე დღეს ბედნიერი ვარ, ჩემთვის იდეალურია ჩემი ახლანდელი მდგომარეობა. ამაში დასარწმუნებლად ბევრი არ დამჭირდა. მე და თაკოს აზროვნებაში დიდი თანხვედრა გვაქვს. ჩემთვის თაკოსთან ერთად გატარებული ყველა დღე ზეიმი რომ გახდა, გადავწყვიტე, ამ ურთიერთობას ოჯახის სახე მისცემოდა. ყოველთვის მერთულებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. ექვსი თვეც საკმარისი იყო ამ ნაბიჯისთვის, ნამდვილს რომ ეხები, მაშინვე გრძნობ. მივხვდი, რომ ამ ადამიანის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მე რომ თაკო არ მენახა, სხვანაირად არ არსებობს. თაკუნა ჩემი მეორე ნახევარია. სხვა ფასეულობები გამიჩნდა, რთულად შევხედე ყველაფერს, სხვანაირად დავფიქრდი, პასუხისმგებლობა მომემატა. გრძნობამ სენტიმენტალური გამხადა. ემოციურ ექსტაზში ადვილად შევდივარ.

თაკო შოშიაშვილი: - გიორგი ძალიან უკომპლექსოა და გულწრფელი და ამან მომხიბლა. თავისუფალი ადამიანია. ყველაფერი მიხარია და სხვანაირად ვუყურებ. მანამდე დეპრესიული ვიყავი. ემოციური ვარ და ძალიან მოქმედებს ჩემზე ყველაფერი. ახლა რომ ვიცი, გიორგი მყავს, ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ.

გიორგი: - თაკოს ეს ლეგენდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ბახუტაშვილი:

„ჩემთვის თაკოსთან ერთად გატარებული ყველა დღე ზეიმი რომ გახდა, გადავწყვიტე, ამ ურთიერთობას ოჯახის სახე მისცემოდა“

„მე მომწონს ცოტნე. გიორგი ძალიან ნიჭიერია. გმირის უარყოფითი თვისების მიუხედავად ცუდად არავინ არის განწყობილი. მე ვიჭერ გიორგის მომენტებს ცოტნეში, გულწრფელად აკეთებს იმპროვიზაციებს“

„გრძნობამ სენტიმენტალური გამახადა. ექსტაზში ადვილად შევდივარ“

„თაკოს ეს ლეგენდა უყვარს. ღმერთი ადამიანზე გაბრაზდა და ის ორ ნაწილად გაყო. მას შემდეგ ეს ნაწილები დადიან და მუდმივად ერთმანეთის ძიებაში არიან. თაკოსაც მიაჩნდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო ის ადამიანი, ვინც თავის მეორე ნახევარს იპოვიდა. ახლა უკვე დავწრმუნდით, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ და სიმშვიდეც მოვიდა“

უყვარს. ღმერთი ადამიანზე გაბრაზდა და ის ორ ნაწილად გაყო. მას შემდეგ ეს ნაწილები დადიან და მუდმივად ერთმანეთის ძიებაში არიან. თაკოსაც მიაჩნდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო ის ადამიანი, ვინც თავის მეორე ნახევარს იპოვიდა. ახლა უკვე დავწრმუნდით, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ და სიმშვიდეც მოვიდა. შეყვარებული აბსოლუტურად ყველაფრის ძალასა და რესურსს ვხედავ ჩემს თავში.

თაკო: - სრულყოფილი გავხდი, შევივსე.

ცოტნე ცოტაშვილი

გიორგის ცხოვრება წელს კარგი „პალასით“ დაიწყო. პირადი და კარიერა წარმატებით აეწყო. „ჩემი ცოლის დაქალებში“ „ფორმულა კრეატივთან“ თანამშრომლობამ მოახვედრა. უფრო კონკრეტულად კი ფილმმა - „ჩემი ცოლის დაქალი კინოში“, სადაც მემონტაჟის როლშია. ახალ სეზონზე კი სცენარისტმა ახალი პერსონაჟი გამოძერწა და ცოტნე ცოტაშვილი - „ურა პატრიოტების“ ლიდერი გვაჩუქა. უარყოფითი პერსონაჟია, ცოლს ღალატობს, ბაქია პოლიტიკოსია, მაგრამ მაყურებელში დადებითი გამოხმაურება აქვს. ამ დროს, დათოს სტომატოლოგთან ცოლის ღალატის გამო ლამის მიტინგები მოუწყვეს, კარზე პოსტერებს ახვედრებდნენ - ნათიას გამო ცოლს არ დაშორდეო. ეტყობა, პოლიტიკოსს ადვილად აპატიეს ცოლის ღალატი. ჩვენთან ხომ პოლიტიკოსი ყალბ დაპირებებთან და სიცრუესთან ასოცირდება. გიორგი ტიპაჟურადაც კარგადაა როლზე შერჩეული, ცოტნეს საქციელები უხდება. 24 წლის გიორგი მუსკომედიის თეატრის მსახიობია.

გიორგი: - ცოტნე რეალური ტიპია, პოლიტიკოსების რეალური სახე შევქმენით. ჩემი დამოკიდებულება პოლიტიკოსებისადმი ეწინააღმდეგება ჩემ შემოქმედებით პროცესს, ამიტომ ნუ მალაპარაკებთ კონკრეტულად. ჩემს ტვინში მოხარშული იყო პოლიტიკოსის სახე, თავისი ძირითადი თვისებებით და მას ვთამაშობ. პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია, ლიდერობაში სერიოზულ განაცხადს ნიშნავს. პოლიტიკოსები სხვანაირად ქარიზმატულები და მოწესრიგებულები არიან. ეს ის თვისებებია, აუცილებლად უნდა გაჩნდეს, რომ ერთმა ადამიანმა მაინც დაუჭიროს მხარი. მასებზე არ არის საუბარი. ძალიან საინტერესოა პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების შეთხზვა. პოლიტიკოსი რომ გამოდის, გგონია, პრობლემა არ აქვს. ან შეიძლება აგრესიულობის გამო ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, გეგონოს პირად ცხოვრებაში აქვს პრობლემებიო. ჩემი გმირი, მიუხედავად იმისა, რომ ტყუილებისა და ინტრიგების სამყაროში მოღვაწეობს, კომფორტულად გრძნობს თავს და თვითონაც ერთ-ერთი ჯაჭვია ამ ყველაფრის, არც პირად ცხოვრებაში იკლებს ინტრიგებს. საინტერესო ტიპაჟია. ძალიან კარგია, რომ ცოტნეს გმირში ვიღაც კონკრეტული პოლიტიკოსი არ ამოიცნეს. ბევრს აინტერესებს - ვისი პროტოტიპია? გულწრფელად ვამბობ, არ ჰყავს ცოტნეს რეალური პროტოტიპი. ცოტა ხანი მქონდა მოსამზადებლად და შეიძლება ჩემი პირადი თვისებები გადაჰყვა კიდეც.

- რითი გგავს?

- საერთოდ არაფრით, სხვადასხვა პოლუსებზე ვართ. შეიძლება ცოტნეს საქმისადმი დამოკიდებულებით ვგავდეთ. მეც ვგიჟდები ჩემს საქმეზე. შეხედულებების მხრივ თანხვედრაში აბსოლუტურად არ ვართ. ტყუილების და ინტრიგების სამყაროში თავს არაკომფორტულად ვგრძნობ. პოლიტიკა კიდევ ეგ არის, რაც უფრო დამაჯერებლად იტყუები, მით უფრო ქარიზმატული ჩანხარ.

- შენი პირადი და საქმე კარგად აეწყო...

- სწავლის გამო თავი გადავდე და ბევრ ცხოვრებისეულ სიამოვნებებზე უარი ვთქვი. მერე ჩემს პროფესიაში ვიცოდი, სად რა იდო, მივდიოდი და ვიღებდი. მარტივად მოდიოდა ყველაფერი. კარიერა რომ კარგად წავიდა, მერე სულ მაკლდა გვერდით ახლობელი ადამიანი. იცით, როგორ მიჭირდა? ახლა ეს ადამიანიც მყავს. ჩვენ პროფესიას ეტყობა გაფანტული როცა ხარ. გადატვირთული დღის ბოლოს ვახერხებდი, რომ მენახა თაკო. ახლა უკვე ვიცი, სახლში რომ დავბრუნდები თაკოს ჩავეხუტები. ეს ძალიან მამშვიდებს.

თაკო: - ჩემთვის დიდი სიამოვნებაა გიორგიზე ზრუნვა, საჭმელს რომ ვუმზადებ და ვასიამოვნებ, მეც მსიამოვნებს. მე მომწონს ცოტნე. გიორგი ძალიან ნიჭიერია. რომ გავიცანი, სპექტაკლზე დამპატიჟა, ვნახე „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“, გიოს როლშია. აღვფრთოვანდი. არ მაღიზიანებს გმირი. ცოტნე უარყოფითია, ცოლ-შვილი ჰყავს და მოღალატეა, მაგრამ გიორგი ისეთი საყვარელია, რომ გმირის უარყოფითი თვისების მიუხედავად ცუდად არავინ არის განწყობილი. მე ვიჭერ გიორგის მომენტებს ცოტნეში, გულწრფელად აკეთებს იმპროვიზაციებს. მთვრალის როლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მართლა დაათვრეთო?! ერთად დაგვილევია და ბევრიც, მაგრამ ისე არასდროს დამთვრალა, რომ თავი დაეკარგა.

გიორგი: - ვიცი გადამყვება ხოლმე ჩემი რაღაცები. შეხედულებებით, ქმედებებით სხვადასხვა ვართ. ძალიან მიხარია, რომ ჩემ თამაშს პროფესიული კუთხით აფასებენ. მიხარია ისიც, რომ რეიტინგულია სერიალი და მეც მისი ნაწილი ვარ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი გაბუნია: „X ფაქტორ

my View

თამარ გონგაძე

„X Factor“-მა გარკვეული შოკი ჩემს ოჯახის წევრებსაც განაცდევინა. მათთვისაც კი, ვინც კარგად მიცნობს, რეალურად შოკი მოგვარა ჩემმა შეფასებებმა. ასეთ რამეებს ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ვამბობ ხოლმე. ბევრად მტკივნეულად აღიქვეს, სერიოზულად მელაპარაკებიან, მე კიდევ ვიცინი, „მკიდია“ და ვიცინი. დედამ? ასეთი რამ არ შეიძლებაო, მითხრა. სხვა ფრაზებიც იყო, უბრალოდ, კრებითი ფრაზა გითხარით“ - ასეთ ტალღაზე დავიწყეთ მე და გიორგი გაბუნიამ საუბარი.

ბევრი გადაიმტერა, ბევრს ტელეწამყვანზე შთაბეჭდილება შეეცვალა, ეს ყველაფერი კი იმის გამო, რომ კონკურსანტების მისამართით არაორდინარული, კრიტიკული, „არაფერ შუაში“ შეფასებები გააკეთა. ვთვლი, რომ სულაც არ არის მისი შეფასებები გამაღიზიანებელი, მით უმეტეს, იუმორი აქვს, შეფასებებსაც იუმორში ატარებს, კეთილად იღიმება და ობიექტურია.

„წინა ორშაბათის მერე ვისაც შეხვდები, სულ ჩემ შეფასებებზე მელაპარაკებიან, სხვაზე არაფერზე. ვინც ხვდება, რომ ეს იმიჯი და შოუს ნაწილია, ის, რა თქმა უნდა, ისე იღებს, როგორც რეალურად არის. ინტერნეტში გამოხმაურებებს მე არ ვადევნებ თვალს, მაგრამ სულ რომ არ მინდოდეს, მაინც ვიგებ გარშემომყოფთაგან. როგორც ვთქვი, ამ გამოხმაურებას ახლობლები და მეგობრები ბევრად უფრო მძაფრად აღიქვამენ, ვიდრე მე თვითონ. ბევრი შეშფოთებით მომმართავს და მე რომ სიცილით ვხვდები, უკვირთ.

- საზოგადოების იმ ნაწილის შეფასება არ განაღვლებს ვინც ამბობს, რომ გიორგი როგორი ცინიკოსი ადამიანი ყოფილა ცხოვრებაშიო?

- ამას დიდად არ ვნაღვლობ და არ განვიცდი. ჩემი გამოსვლა მოულოდნელი იყო, თუმცა იმედი მაქვს, დროსთან ერთად მიხვდებიან, რომ ცხოვრებაში ცინიკოსი არ ვარ, ეს შოუა და ეს რეალური გიორგი გაბუნია არ არის, ისევე როგორც არ ვარ რეალური

„უნდა ვაღიარო, რომ სიყვარულის მარცვალი დევს ჩემში, მაგრამ არ ვაძლევ გაღვივების საშუალებას. რაც მეტს გავიმეტებ სათქმელად, მით მეტი მოჰყვება“

„იმედია, არ ამერევა და რომელიმე პოლიტიკოსს არ ვკითხავ, რას გვიმღერებ-მეთქი“

„საქმეც მაგაშია, არც მოდის ექსპერტი ვარ, არც მუსიკის, მაგრამ ჟიურიში ყველაზე მეტს ვატრაკებ“

„დიდად არ ვნაღვლობ და არ განვიცდი. ჩემი გამოსვლა მოულოდნელი იყო, თუმცა იმედი მაქვს, დროსთან ერთად მიხვდებიან, რომ ცხოვრებაში ცინიკოსი არ ვარ, ეს შოუა და ეს რეალური გიორგი გაბუნია არ არის“

„კურიერში“ და „არჩევანში“. იმ გადაცემებს თავისი იმიჯი აქვს, რომელშიც ვჯდები. ჟიურიშიც ჩემი ფუნქცია მაქვს. საქართველოში შოუებში ჟიურის დამოკიდებულება კონკურსანტებისადმი, ხშირად გაუმართლებელი ქებადიდებაა. სწორედ ამიტომ ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც ჟიურიში იყო, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის იმას არ ფიქრობდა, რასაც ამბობდა. ხალხზე მუშაობდა და მხოლოდ დადებით შეფასებას აკეთებდა. სწორედ იმის ეშინოდათ, რისიც მე არ შემეშინდა. მე უკან არ დავიხიე. მე ჩანერის დროსაც გითხარი, მაქსიმალურად შევეცდებოდი ობიექტური ვყოფილიყავი, თუმცა ჩემ შემთხვევაში გაღიზიანება არა ობიექტურობამ, არამედ სწორედ იმან გამოიწვია, რომ ზღვარს გადავცილდი და ისეთი რამეები ვთქვი, რაც ჟიურის საერთოდ არ ეხება.

- ელოდი ასეთ რეაქციას?

- სიმართლე გითხრათ, ასე გადაჭარბებულ რეაქციას არ ველოდი. ძალიან გაზვიადებულია, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, რაც ხდება საზოგადოებაში.

- რომ გცოდნოდა ასეთ მძაფრ რეაქციას გამოიწვევდი, მაინც გააკეთებდი ასეთ შეფასებებს?

- მაინც გავაკეთებდი და მაინც ვაკეთებ. „კურიერშიც“ გამიკეთებია ისეთი განცხადებები, რაც ვიცოდი, რომ ბევრ ადამიანს არ ესიამოვნებოდა, მაგრამ მაინც ვაკეთებდი. რა შუაში იყო შარვლის მოჭერაზე კომენტარის გაკეთებაო, ამბობენ. არაფერ შუაში რომ არ იყო შარვალი, ამიტომ იყო შუაში ჩემი კომენტარი. მე ამით კონკურსანტს არაპირდაპირ ვუთხარი, როგორც ჩემი კომენტარი ახლა არაფერ შუაში არ არის ამ კონკურსთან, ზედმეტი და შეურაცხმყოფელიც არის, ისევე არავითარ შუაში არ არის ამ კონკურსთან შენი ნამღერი-მეთქი. თუ მაყურებელი დააკვირდება, ღიმილით ვამბობ და არა გაბოროტებული.

- სწორედ ეს ღიმილი აღიქვეს ცინიკურ ღიმილად.

- რა სისულელეა, დაცინვა და ცინიზმი აქ არაფერ შუაშია.

- ქამარი ხომ გიჭერს რატომ უთხარი, ეს მის ხმაზე აისახა?

- ჩემი შეფასება მრავალმნიშვნელოვანია. ერთ-ერთი ესეც არის, თუ ქამარი და შარვალი გიჭერს შეიძლება ვერც იმღერო. ეს ნათქვამი ძალიან პირდაპირი იყო და არ მიკვირს კონკურსანტების ვისაც მძაფრი რეაქცია ჰქონდათ.

- დანჯღრეული მერსედესი?

- მაგ კონკურსანტს გამოსვლა ჰქონდა ისეთი, რომ სიტყვა დანჯღრეული შეეფერებოდა. მერე „მერსედესის“ ლოგო დავუნახე ქამარზე და იმიტომ ვუთხარი დანჯღრეულ „მერსედესს“ ჰგავხარ-მეთქი. სტეფანეც მეუბნებოდა რა შუაშია, ტანსაცმელზე რატომ ელაპარაკებიო. თავიდან ჩემთან დაკავშირებითად ხომ გაჩნდა შეკითხვა, რა შუაშია გაბუნია ჟიურიშიო? იმედი მაქვს მაყურებელი მიხვდება, ზუსტად იმაში ვარ შუაში, რომ არაფერ შუაში არ ვარ. ეს არის შოუ, ეს უბრალო გამოცდა არ არის, სადაც კონკურსანტებს უბრალო „კი“ ან „არა“ უნდა ვუთხრათ. არიან კონკურსანტები, რომლებიც ყველამ იცის, რომ ვერასდროს ვერ მივლენ გამარჯვებამდე, მაგრამ მაყურებლის გართობაზეა გათვლილი. ჟიურიც ისეა შერჩეული, რომ კონფლიქტი იყოს, რაღაც საინტერესო ხდებოდეს, აბა, როგორი შოუ იქნება, სადაც ყველა კონკურსანტი ძალიან კარგად მღერის და ყველა ჟიურის წევრი მხოლოდ კის ან არას ამბობს და მშრალი პროფესიონალური შეფასებები კეთდება? მაყურებელზე გათვლილი შოუა და არა დახურული გამოცდა. სცენაზე რომ გადიხარ, ხარ ფილმში, ვირტუალურ სამყაროში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, სადაც ჟიურიში ზის ისეთი ინტრიგანი ადამიანი, როგორიც მე ვარ და რომელიც მხოლოდ კონკურსანტებს კი არა, ჟიურის წევრებსაც გადაწვდება.

- გეგას კომენტარი გამახსენდა, გიორგი, სად უყურებ კონკურსანტებსო...

- შარვალი, ქამარი და კომენტარი გაუკეთებია, რომელიც მე ხომ არ ვიცოდი. ვერ ვხედავდი. მერე ვნახე.

- ბიჭი რომ დაგემუქრა, სად დაგიბარა? ხომ არ მოგვარდნია?

- არა. არც მე ვიცოდი და ვიკითხე, მეთორმეტე მიკრორაიონი ყოფილა რუსთავში. უკვე ხუმრობაა და თვითონ ვამბობ, მიჭერს შარვალი-მეთქი, სხვამ რომ არ მკითხოს - შარვალი ხომ არ გიჭერსო? გამარჯობას აღარ მეუბნებიან, მეკითხებიან - გიორგი, შარვალი ხომ არ გიჭერსო? პირველი გადაცემა რომ დამთავრდა ხომ მეთორმეტე მიკრორაიონი მემუქრებოდა და მეორე გადაცემის მერე სტეფანეს მეგობრები მემუქრებიან. სტეფანემ მითხრა, მწერენ, ხომ არ გავლახოთო? ვნახოთ, მესამე გადაცემის მერე ვინ დამემუქრება, აღარ მახსოვს, ვის რას ვეუბნები. მაყურებელი უნდა მოეშვას და ასე დაძაბულად არ უყუროს და ასე სერიოზულად არ უნდა აღიქვას.

- მტრები გაიჩინე?

- ყველას ჰყავს და გამონაკლისი ხომ ვიქნებოდი?

- შენი რესპონდენტი პოლიტიკოსები რას გეუბნებიან?

- რამდენიმემ მითხრა, „X ფაქტორში“ სკანდალი მოგიწყვიაო, ჩვენგან რომ იღლები, შოუში ისვენებ, არაო? ასე რომ პოლიტიკოსებიც უყურებენ.

- სტეფანემ თქვა - გაბუნია რომელი მოდის ექსპერტი მყავს, მაგას ვკითხო რა ჩავიცვა და როგორო.

- საქმეც მაგაშია, არც მოდის ექსპერტი ვარ, არც მუსიკის, მაგრამ ჟიურიში ყველაზე მეტს ვატრაკებ. სტეფანეს ძალიან ლამაზი ტყავის პიჯაკი ჰქონდა მოცმული. რა ლამაზი ტყავის პიჯაკია-მეთქი, ვუთხარი, იმან ლეოპარდის საყელოზე აღნიშნა და ორივეს ჩაგვრჩა. მერე სცენასთან განვითარდა ჩვენი პაექრობა. ფრაზები და შეფასებები ბუნებრივად მოდის, წინასწარ დაწერილი სცენარით არ ვსარგებლობთ.

- მერე სტეფანეს შევაფასებინე შენი ჩაცმულობა. თქვა ახალგაზრდულად აცვია, სადად და თავშეკავებულად, ფერადი პერანგებიო. „მაესტროს“ სკოლა გაიარა, სადაც ფერადი პერანგების ჩაცმა სიახლე იყო, ვეჰაესის პერიოდშიო.

- საინტერესო განმარტებაა. შეიძლება ეგრეც არის, მაგ კუთხით არ მიფიქრია. ცხოვრებაში მიყვარს ყველაფერი ფერადი. მაყურებელს ჰგონია სტეფანესთანაც მტრული დამოკიდებულება მაქვს. არაჩვეულებრივი დამოკიდებულება გვაქვს. სტეფანე ჟიურიში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნევრია, თავისი ტიპაჟიდან გამომდინარე, აქვს მდიდარი იუმორის გრძნობა, რაც კარგად არ ჩანს. შეუძლებელია სტეფანესთან ცუდი ურთიერთობა გქონდეს. „მუქარა“ სტეფანესგანაც მაქვს, დაერხევა გიორგისო. მუქარების კოლექციონერი ვარ.

- ცხოვრებაში მტერი გყოლია?

- არ მყოლია, „X ფაქტორმა“ პირადი მტერი გამიჩინა. ბევრმა ჩემი იუმორი და კვიმატი ენა ამ შოუში აღმოაჩინა, თუმცა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მა“ პირადი მტერი გამიჩინა“

„საზოგადოებას ნებას არ ვაძლევ იმაზე მეტად გამაკონტროლოს, ვიდრე მე მსურს“

„გალიზიანება არა ობიექტურობამ, არამედ სწორედ იმან გამოიწვია, რომ ზღვარს გადავცილდი და ისეთი რამეები ვთქვი, რაც ჟიურის საერთოდ არ ეხება“

„გამარჯობას აღარ მეუბნებიან, მეკითხებიან - გიორგი, შარვალი ხომ არ გიჭერსო?“

„პოლიტიკოსებმა გაძრომ-გამოძრომა მასწავლეს“

მე პოლიტიკურ გადაცემებშიც ვაკეთებ ხოლმე მსგავს ჩართვებს. პროდიუსერები, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ, სპეციალურად ეძებდნენ ჩემნაირ ტიპაჟს და მიპოვეს.

- გიორგი და დემნა ამ კუთხით გიცნობდნენ?

- კი, მიცნობდნენ და სხვა გადაცემებშიც გამომიყენებია ჩემი ენაკვიმატობა, ანუ მთლად „არაფერ შუაშიც“ არ ვარ. საახალწლო დღეები იყო, „კურიერში“ გვერთვებოდა ნინო სამყურაშვილი მთაწმინდიდან, ახალი მისული ვიყავი „კურიერში“. ილუზიონისტმა ჟურნალისტზე რაღაც ფოკუსები ჩაატარა. უცებ ჩვეულებრივად ვეუბნები, რაც აქამდე საინფორმაციოს ნამყვანს არ უთქვამს - კარგი იყო, მაგრამ მაინცდამაინც ეფექტური ფოკუსი არ იყო, მაგალითად, პირდაპირ ეთერში რომ გაეხერხე, ბევრად საინტერესო იქნებოდა-მეთქი. პარლამენტში რომ ითქვა, ჟურნალისტებს ზოგჯერ ყური უნდა ავუწიოთ შეცდომების გამო, მე კომენტარი გავაკეთე - ყველა შეცდომაზე თუ ყური აგვინიეთ, ვირებს დავემსგავსებით-მეთქი. ასე რომ, ხშირად საკუთარი თავია ჩემი ირონიის სამიზნე.

- საკუთარი სიცილიც აღმოაჩინე შოუში?

- ეს რა იყო. სხვა გადაცემებში ასეთ ხმაზე სიცილი არ მიწევდა და შოუში აღმოვაჩინე, რომ მოულოდნელი სიცილი მქონდა, გაგრძელებული. ძველ პრეზიდენტზე ამბობდნენ, როგორ იცინისო და მეც არანაკლები ვყოფილვარ თურმე.

- ჩაწერის დღეს მითხარი, ჟიურიში გვერდით ისეთი გოგო მიზის, ვხურვარო...

- ჟიურიში თამთა გოდუაძე ჩემთვის აღმოჩენაა. ჯერ გარეგნულად იყო აღმოჩენა, მერე პიროვნულად. საინტერესო პიროვნებაა. იგრძნობა ცხოვრებისეული გამოცდილება. ჭკვიანი ადამიანია, ცხოვრება სწორად აქვს გაანალიზებული.

- როგორ ათავსებ „X ფაქტორს“ და პოლიტიკურ გადაცემებს?

- ბიპოლარული აშლილობა მაქვს. ორი პარალელური სამყარო მიდის ჩემს გრაფიკსა და თავში, რომელსაც ერთმანეთთან არაფერი საერთო არ აქვს. ახლაც შუა გზაზე ვარ პოლიტიკასა და მუსიკას შორის. იმედია არ ამერევა და რომელიმე პოლიტიკოსს არ ვკითხავ, რას გვიმღერებ-მეთქი.

- თვითონ რა სტილის მუსიკას უსმენ?

- ინდიროკს, ალტერნატიულ როკს, მიყვარს ბრიტანელი შემსრულებლები, მაგალითად, „რედიოჰედი“.

პირადი

გიორგი თავის პირად ცხოვრებას ყოველთვის ასაიდუმლოებს. ჩემთვის მოცემულ ძველ ინტერვიუს გადავხედე, სადაც მეუბნება, იმედია, არასდროს შემიყვარდებაო. მზეზე ვერ ჯდება, არ უყვარს. ზაფხულს ყველაზე უინტერესო პერიოდად მიიჩნევს. არ სვამს, არ ეწევა, სწორად იკვებება. ასაკი არ ეტყობა, სიყვარულს უარყოფს, კარგ ფორმაშია, ამკარად რაღაც საიდუმლოებას ფლობს...

„პოლიტიკური თოქშოუ რომ დავიწყე, ითქვა, როგორ შეიძლება ასეთ ბავშვს ანდო პოლიტიკური თოქშოუო. ახლაც ხომ პატარა თავხედი ბიჭი ვგონივარ ხალხს.

ორგანიზმს არ ვანგრევ. საკმარისად მძინავს. შუაღამისას არ ვჭამ. სულიერადაც და ფიზიკურადაც ვაკონტროლებ საკუთარ თავს.

ასაკის შეგრძნება არ მაქვს, ასაკი ჩემთვის ცარიელი ციფრებია, ზღვარს ვერ ვხედავ. სტერეოტიპებით რომ ცხოვრობენ, 20 თუ 30 წლის ადამიანს ეს აღარ შეეფერებაო, ჩემთან ეს არ არსებობს, ამიტომ ვერ გამოვყოფ ასაკს. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურშიც და პირადშიც კალეიდოსკოპივით იცვლება მოვლენები, მაინც ვერ გამოვყოფ ასაკობრივ ზღვარს - ასე იყო, ამას მივხვდი, ასე გავხდი-მეთქი...

- პირადში რა იცვლებაო?

- რაღაცები ხდება, ჩემ შემთხვევაში ეს ტაბუირებული თემაა.

- ფარდას როდის ახდი?

- ჩემით არასდროს, თვითონ თუ არ წამოუფრიალა ქარმა და არ გადახადა.

- შოუბიზნესში შემოაბიჯე და შენ მიმართ ინტერესი იზრდება.

- დაე, გაიზარდოს. მე არც ხელს ვუშლი, არც ვუწყობ. რაღაცები იცვლება. რომ მიხვდე, რა იცვლება, ნინა უნდა იცოდე, რახან ნინა არ იცით, არც წინას მოვყვები და არც უკანას. საზოგადოებას ნებას არ ვაძლევ გამაკონტროლოს იმაზე მეტად, ვიდრე მე მსურს. საზოგადოებას ყოველთვის აქვს მიდრეკილება იმისკენ, რომ გაგაკონტროლოს. როდესაც ჩანხარ, დიდ წილად შენ თავს აღარ ეკუთვნი. ამიტომაც არ მაქვს რეაქცია და მოთხოვნა, რატომ ერევით ჩემს ცხოვრებაში, ვინ გეკითხებათ-მეთქი. თუ მე კონკურსანტებს რაღაცებს ვეუბნები, ვალდებული ვარ ისიც ავიტანო, რასაც ჩემზე ამბობენ. მე ხომ ამის საბაბს თვითონ ვაძლევ.

- მოკლედ, კარგად ხარ.

- ყოველთვის კარგად ვარ. ეგეც ჩემი კარგი თვისებაა, შემიძლია ყოველთვის კარგად ვიყო.

- სამი წლის წინ მითხარი, იმედია, არასდროს შემიყვარდებაო.

- ეგეთი რამ ვთქვი? ესე იგი საფრთხე არსებობს? მართალი მითქვამს. მე ის ტიპი ვარ, ვისაც ყველაფრის კონტროლი უყვარს, განსაკუთრებით საკუთარი თავის. დროსაც მუდმივად ვაკონტროლებ, საათი მუდმივად მიკეთია, მთვარეზეც რომ მოვხვდე, იქაც მექნება საათი. სიყვარული კალაპოტიდან აგდებს. მაგის თავი არ მაქვს.

- რამდენჯერ ყოფილხარ ამოვარდნილი?

- სიყვარულის გამო არასდროს. ამოვარდნილები და ამოგდებულები რომ დაიარებიან, სხვებს ხომ ვხედავ, არა?

- არ ხარ შეყვარებული?

- მოისვენე, უნდა ვაღიარო, რომ სიყვარულის მარცვალი დევს ჩემში, მაგრამ არ ვაძლევ გაღვივების საშუალებას. როგორც კი შევამჩნევ, რომ ჩემი სიმპათია ადამიანის მიმართ ზღვარს გადადის და შეიძლება იმ გრძნობას მიუახლოვდეს, რომელსაც შენ სიყვარულს ეძახი და მე ამოგდებულობას, მაშინვე ვახმობ ამ მარცვალს. იმ მზეს ვაცხუნებ, რომელიც მე ასე ძალიან არ მიყვარს. რაც მეტს გავიმეტებ საათქმელად, მით მეტი მოჰყვება.

- არ გინდა იყო შეყვარებული?

- არა, რა საჭიროა?

- შენ რაღაც საიდუმლოება იცი და არ ამხელ, ასაკი არ გემატება, სიყვარულს უარს უცხადებ.

- სინამდვილეში დორიან გრეი მქვია და სახლში პორტრეტი მაქვს :)

- განტვირთვას როგორ ახდენ?

- ძალიან მიყვარს საკუთარ თავთან განმარტოება. თუმცა ბოლომდე ვერ ვიკმაყოფილებ საკუთარ თავთან მარტო დარჩენის სურვილს.

- საყურე რატომ აღარ გიკეთია?

- საყურე ზოგადი განწყობის ნაწილია და არამხოლოდ აქსესუარი, რომ გაიკეთო და მოიხსნა. „კურიერში“ რომ დავჯექი, იმ პერიოდში ვიკეთებდი საყურეს და ეთერში დაჯდომისას ვიხსნიდი. ზოგადი განწყობა მაქვს შეცვლილი და აღარ მიკეთია. პოლიტიკური გადაცემები მაქვს და საყურეების განწყობაზე არ ვარ.

- რა გასწავლეს პოლიტიკოსებმა?

- პოლიტიკოსებმა გაძრომ-გამოძრომა მასწავლეს:).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუსუდან ბოლქვაძემ თავისი სპექტაკლი ქართველ დაღუპულ ემიგრანტს მიუძღვნა



26 აპრილს დიდუბის პანთეონში ქართული სახელმწიფოს მიერ ამერიკიდან ჩამოსვენებული ქართველი ემიგრანტი, პეტრე ხვედელიძე დაკრძალეს. 27 აპრილს კი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ნათამაშევი სპექტაკლი „ზვავი“ მხცოვანი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებას მიუძღვნეს. სპექტაკლი ორი წლის წინ მსახიობმა რუსუდან ბოლქვაძემ დადგა. ეს მსახიობის სადებიუტო სარეჟისორო ნამუშევარია. მას შემდეგ სპექტაკლი რეპერტუარშია.

რუსუდან ბოლქვაძე: „ბატონი პეტრე 1991 წელს ვაშინგტონში გასტროლის დროს გავიცანი. მოკლედ რომ დავახასიათო, ეს იყო უხუცესი ქართველი ემიგრანტი, ვინც ბოლოს დროს ემიგრაციაში იმყოფება. ის „ამერიკის ხმის“ ქართული გადაცემის პირველი წამყვანი გახლდათ. დისიდენტობის პერიოდის ფიგურაა, როცა „ამერიკის ხმას“ საბჭოთა კავშირში ახშობდნენ. 1918 წელს, საქართველოს გასაბჭოების წელს არის დაბადებული და 95 წლის ასაკში დაიღუპა. იყო დიდი ქართველი, არაჩვეულებრივი პიროვნება. ჩემს სპექტაკლთან კი ის კავშირი აქვს, რომ პიესაა დისიდენტური, თავისუფლებასა და ხმის ამოღების შიშზე. თანაც ბატონი პეტრე გულშემატკივრობდა ჩემს საქმიანობას, მირეკვდა და მეხმიანებოდა. გადავწყვიტე, რომ მისი ხსოვნისთვის მიმეძღვნა „ზვავი“. მას არ ჰყავდა შვილები და ყველა მის შვილებად ვთვლით თავს, ვინც მიხედა და მოუარა ამ კაცს“.

სპექტაკლს ემიგრანტის მეგობრები და ავღანეთში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები დაესწრნენ.

თანამედროვე თურქი მწერლის თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესა „ზვავი“ რუსუდან ბოლქვაძემ ერთმოქმედებიან სპექტაკლად ორი წლის წინ აქცია. წარმოდგენა მუსიკალურად ია საკანდელიძემ გააფორმა. მხატვრობა ნინო ჩიტაიშვილს ეკუთვნის, ქორეოგრაფია - ზურა ბეგლარიშვილს, პროექცია კი კობა ცხაკაია. როლებს ასრულებენ: ლია კაპანაძე, ლაურა რეხვიაშვილი, დარეჯან ხაჩიძე, ანი იმნაძე, გია აბესალაშვილი, გიორგი ყიფშიძე, ნიკა წერედიანი, ნუგზარ წერედიანი.

- დღეს რა სათქმელი გაქვთ ამ სპექტაკლით?

- ავტორს აქვს მინიშნებული, ეს ამბავი შეიძლებოდა ყველა ქვეყანაში და ყველა ეპოქაში მომხდარიყო. სპექტაკლი არის შიშზე, სიყვარულით მის დაძლევაზე და გამარჯვებაზე. ადამიანები ზვავსაშიშ ზონაში ცხოვრობენ და ხმის ამოღებას უკრძალავენ, ეშინიათ ზედმეტმა ხმის ამოღებამ ზვავი არ გამოიწვიოს. ეს არის პირობითობა, ალეგორიაა. იმდენად დიდია ხმის ამოღების შიში, რომ დადუმებულები არიან. ერთმანეთს უკრძალავენ ხმის ამოღებას. ზუსტად ორი წლის წინ, როცა დავდგი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ცოტა საშიშიც იყო... ჩვენ არ გვაქვს მითითებული სად ხდება მოქმედება, რომელ ქვეყანაში ხდება მოქმედება, ალეგორიულია.

სპექტაკლი ორ საერთაშორისო ფესტივალზე იყო. ტრაპიზონის საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო სპექტაკლად გამოცხადდა და მსოფლიო თეატრალურ აფიშაშია შეტანილი. ანუ როცა „ზვავი“ თამაშდება, მსოფლიო თეატრალური ორგანიზაცია ამის შესახებ აცხადებს. სპექტაკლი ახლა ქუთაისში მიაქვთ.


პეტრე ხვედელიძე

ბოიბენდი, რომელიც „ევროვიზიაზე“ საბერძნეთს წარადგენს

წელს ევროვიზიის კონკურსზე საბერძნეთს სამი ბიჭისგან შემდგარი ბოიბენდი - „Freaky Fortune და Risky Kidd“-ი წარადგენს. „Freaky Fortune და Risky Kidd“ მაშინ გაერთიანდნენ, როდესაც მათი სიმღერა „Rise Up“ ჯერ კიდევ შექმნის პროცესში იყო. Freaky Fortune ნიკოლას რაპტაკისისა და თეოფილოს პოუზბურისის დუეტია. ისინი მუსიკას ადრეული ასაკიდან სწავლობდნენ. თეოფილოსი ბავშვობიდან უკრავს გიტარასა და ფორტეპიანოზე. მან მუსიკის ისტორიასა და თეორიაში ხარისხიც მოიპოვა. ხოლო ნიკოლასი დღესაც საბერძნეთის ეროვნული მუსიკალური სასწავლებლის ვოკალის ფაკულტეტის სტუდენტია. ის და თეოფილოსი სიმღერებს ერთად წერენ.

ჯგუფმა პირველი წარმატება გლობალურ ინტერნეტ სივრცეში მოიპოვა, მათ პერიზ ჰილტონის მიერ ორგანიზებულ ცნობილი ჰიტების შემსრულებელთა კონკურსში გაიმარჯვეს. ჯგუფმა კონტრაქტი გააფორმა Universal Music Greece -თან და ჩაწერა სამი წარმატებული საცეკვაო სინგლი ინგლისურ ენაზე. ამ სიმღერებზე მათთან ერთად საბერძნეთის მუსიკალური ინდუსტრიის გამოჩენილი წარმომადგენლებიც მუშაობდნენ.

RiskyKidd 19 წლის რეპერია, რომელიც ლონდონში დაიბადა და გაიზარდა, დედამისი იამაიკელია, ხოლო მამა გერმანელი. მისი ნამდვილი სახელი შეინ შულერია. მასზე ბავშვობიდანვე მოახდინა გავლენა მრავალმხრივმა კულტურულმა ოჯახურმა მემკვიდრეობამ და მრავალფეროვანმა მუსიკამ. RiskyKidd -მა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან გამოავლინა მისთვის დამახასიათებელი უნიკალური სტილი მუსიკაში. ბოლო 4 წელია ის საბერძნეთის მოქალაქეა, RiskyKidd ცნობილი გახდა მას მერე რაც Playmen-თან და 2005 წლის საბერძნეთის ევროვიზიის გამარჯვებულ ჰელენა პაპარიზუსთან ერთად შექმნა საერთაშორისო ჰიტი All Time. მოკლედ, ბიჭები გაერთიანდნენ და „ევროვიზიაზე“ გამოდიან. თეოფილოსმა და ნიკოლასმა სიმღერის ტექსტი და მუსიკა დაწერეს, ხოლო RiskyKidd-მა სიმღერის გარეპილი ნაწილი შექმნა. საბერძნეთის გამოსვლა 2014 წლის ევროვიზიის კონკურსზე მხოლოდ დადებითი ენერგიით აავსებს მსმენელს. „Rise Up“ - ეს არის სიმღერა დაუოკებელ სურვილზე, რომ გადავლახოთ სიძნელეები და თავი დავაღწიოთ იმას, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. ამ სიმღერამ ევროპას უნდა დაანახოს საბერძნეთის უდრეკი სული, სწორედ ასეთია ეს ენერგიული საცეკვაო სიმღერა. სიმღერა მიუძღვნეს ყველაზე ამაღლებულ ახალგაზრდულ მოძრაობას „Rise Up“-ს, რომელიც მთელს ევროპაში გავრცელდა! ევროვიზიის წლევანდელი კონკურსი ამ ახალგაზრდებისთვის უნიკალური შანსია, რომ მთელს ევროპას გააცნონ საკუთრი დევიზი - „Rise Up“ ანუ აღვსდგეთ და გავაერთიანოთ მთელი დადებითი ენერგია მუსიკით და ნათელი მომავლის იმედით.

თქვენც შეუერთდით მოძრაობას - „Rise Up!“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N16 (266) ორშაბათი, 28 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

პირველად „პრაიმტაიმში“

გიორგი პაჭუტაშვილის ექსკლუზიურად პირადი

პოლიტიკა ქართულ კულტურაში

„კულტურის სფერო იმდენად თავისუფალია დღეს, რომ ის საერთოდ არ არსებობს“

EXCLUSIVE

Fitcafe
Healthy and fitness way

ახალი სერვისი თბილისში - Fitcafe სწორი და ჯანსაღი კვებისთვის

ISSN 1987-7404

9 771987 740005

EXCLUSIVE

exclusive

ლევან კობიაშვილი მამოსათხოვარ მატჩზე: „იმედი მაქვს, რომ იქნება“

ლევან კობიაშვილი: „ყოველდღე, რაც უფრო ნაკლები და ნაკლები დრო მრჩება ჩემს კარიერაში, უფრო მეტს ვფიქრობ, უფრო მიჭირს“

ყველაზე მძიმე წუთები ლევან კობიაშვილის ცხოვრებაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება